# ალეფბეი

4 2023

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

# ჭოროხი

გამოცემის 65-ე წელი | ივლისი-აგვისტო | №4 | 2023 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი



მთავარი რედაქტორი

**სანდრო ბერიძე**

სარედაქციო კოლეგია

**როინ აბუსელიძე**
**ცისანა ანთაძე**
**გენრი დოლიძე**
**იაშა თანდილავა**
**დავით თედორაძე**
**ლალი კონცელიძე**
**გურანდა ნიჟარაძე**
**ჯემალ სურმანიძე**
**ბელა ქებურია**
**ვახტანგ ღლონტი**
**თინა შიოშვილი**
**მაია ჯაფარიძე**

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

**მალხაზ ფაღავა**

ოპერატორი

**მარიკა ლაშხია**



დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459


© „ჭოროხი“, 2023



რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com



გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
სტამბა „კოლორ პრესში“.
ქ. თბილისი, ა. ენუქიძის ქ., 5


**ავტორთა საყურადღებოდ:**
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

# შინაარსი

## ᲬᲘᲗᲚᲘ, ᲨᲐᲕᲘ


**ნიაზ ზოსიძე** – „ქაშუეთური ჩანაწერები“ ..... 3
**გიორგი ტულუში** – ლექსები ..... 11
**მინდია ფუტკარაძე** – ლექსები ..... 24
**ქეთი გაგინაშვილი** – მოთხრობები ..... 27
**პოეტ პოეტიშვილი** – ლექსები ..... 46
**დარინა მახარაძე** – ლექსები ..... 54
**ქრისტინე ჩიხლაძე** – ლექსები ..... 58
**ირაკლი ლაითაძე** – კედელზე ამოკაწრული ამბები ..... 63
**ირაკლი ვაშაყმაძე** – ლექსები ..... 72
**დალი თედორაძე** – ყვავილების ქურდი (მოთხრობა) ..... 78
**მზია დიასამიძე** – ლექსები ..... 83


## ᲬᲘᲗᲔᲚᲘ, ᲬᲣᲜᲚᲘᲡᲤᲘᲚᲘ


**შორენა მახაჭაძე** – „სული – დევნილი და მარტოსული“ ..... 86
„ზამთრისპირის მელოდიები“ ..... 92
**მაია ჯალიაშვილი** – „ღმერთებზე შურისძიება“ ..... 100
„სიყვარულის ექოები“ ..... 103
**ლევან გიგინეიშვილი** – ორიოდე სიტყვით ..... 110


## ᲓᲘᲓᲘᲚᲘᲜᲘ


**მამია ფაღავა** – ორიოდ სიტყვა პროფესორ თინა შიოშვილზე და
მის ნაკვლევზე „ქართული ზეპირსიტყვიერება“ ..... 112
**ნუნუ დიასამიძე** – მემედ აბაშიძის მოსაზრებანი ქართული ენის სიწმინდისათვის ..... 118



# ᲜᲘᲐᲖ ᲖᲝᲡᲘᲫᲔ

## „ᲥᲐᲨᲣᲔᲗᲣᲠᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ“

### ᲛᲐᲒᲣᲚᲘ...

კიდევ ერთხელ მივეახლე მის იმქვეყნიურ საცხოვრისს...

მაგული გოგიტიძე... უპოვართა მწყალობელი, მიუსაფართა ნუგეშისმცემელი, სიკეთის მთესველი, ლტოლვილთა და დუხჭირთა ქომაგი, ახალგაზრდების მშველელი, ქართული კულტურის შემწე... ვის მედიკამენტებით ეხმარებოდა, ვის სახლ-კარი აღუდგინა, ვის ოპერაცია დაუფინანსა, ვის წიგნი გამოუცა, ვის სიტყვა შეაშველა, ვის ხელი გაუწოდა, ვის გული გაუთბო... და ეს ყველაფერი უხმაუროდ და უჩუმრად...

მაგული... ლამაზი გარეგნობით, ლამაზი მანერებით, ლამაზი ღიმილით...

დედა რომ გარდაეცვალა, ცრემლიანი მიყვებოდა, ბოლო ამოსუნთქვისას, ეზოში უზარმაზარი ხე წამოიქცაო... კიდევ მითხრა, ნეკროლოგის ტექსტი შენ დაწერეო...

...„ბენზეში“ ნავთობის რეზერვუარებს მეხი დაეცა, საშინელი ხანძარი იყო. სანთელი დავანთე და მუხლმოდრეკილმა დავიწყე ლოცვა, სანთელი რომ ჩაქრა, ინფორმაცია მოგვივიდა, ხანძარი ლიკვიდირებულიაო...“

...„ჩემს მართალ გზაზე მწედ და მხსნელად სიკეთე მქონდა...“

ასეთი იყო ჩვენი კუთხის და სრულიად საქართველოს გამორჩეული ქალბატონი, გაჭირვებულს მალამოდ რომ ედებოდა და თავად მას ვერა მალამომ ვერ უშველა...

მომენატრა...

### ᲐᲛ ᲙᲐᲪᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲜᲝᲑᲓᲔᲗ!.. – ᲡᲙᲔᲜᲓᲔᲠ ᲪᲘᲕᲐᲫᲔ

„ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა...

ათეულობით ენას ფლობდა...

სტამბოლსა და ქაიროში მიიღო იურდიული და სასულიერო განათლება...

ფუფუნებაში ცხოვრება არ ინდომა, საქართველოში დაბრუნდა და მემედ აბაშიძეს ამოუდგა მხარში...

1916 წელს რუსეთის მეფისნაცვალს მიწერა, თურქეთში მუჰაჯირად აოტებულ აჭარლებს ნება დართეთ საქართველოში დაბრუნდნენო...

მერე ლენინს შეუთვალა, რამე სიმრუდე არ ქმნათ, გულშიც არ გაივლოთ, აჭარა დედასაქართველოს ღვიძლი შვილიაო...

აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, არნოლდ ჩიქობავას, სერგი ჯიქიას თხოვნით დედაუნივერსიტეტში რამდენიმე ლექცია წაიკითხა, მერე იუარა, ადრე ხოჯა ვიყავი და ახალგაზრდებთან მეუხერხულებაო...

ბოლშევიკებმა პირწმინდად გააკულაკეს და ოჩხამურის ჭაობებში მიუსაჯეს გაუსაძლისი მუშაობა...

– „ვიცი ესენი საქართველოს სანატრელს გამიხდიან, მალე მომიღებენ ბოლოს, ჩემიანის ხელით სიკვდილი არ მინდაო“, – უთხრა მემედ ჭყონიას...

1967 წელს საქართველოზე გულგადამკვდარი სამსუნში აღესრულა...

ყოფილა მაგარი ქართველი??!!

* * *

უფალს მადლობა, სოფელი ჯერ კიდევ სავსეა მდიდარი ლექსიკური მარაგით, კილო-კავებით, დიალექტებით, ფოლკლორით, ანდაზა-შაირებით, მახვილი, სხარტი ფრაზებით. აქაურ, მივიწყებულ დიალექტს სხვა სული და სურნელი აქვს, სხვა ეშხი, სხვა ჟღერადობა, სხვა ემოციას იწვევს, სხვა გულისძგერას...

სხვანაირად იშინაურებენ სიტყვას სოფელში.

* * *

– ნიაზო, შენც რამ გადაგრია, „დაფრეწილი“ (დახეული) შარვლით რომ ამოი აქა, ისე, კაი „ტაროსი“ (დარი) ამეიტაი და გაგვახარე. „ბრძანე“ (თქვი) ახლა, რას შეჭამ, რა გაგიმზადოს რძალმა, თვარა, ჩვენ, „ბერებს“ (მოხუცებულებს) რაღა შეგვიძლია. შენზე თქვეს „რომე“ (რომ) სოფლისკენ ფეხი დაუმძიმდაო...

* * *

ზემოაჭარულ ამ პატარა მიმოკითხვაში, ხუთი სიტყვა „ვეფხისტყაოსნისაა“...

რაზე გავიხსენე ახლა ეს?

აგერ ახლა, მე და ჩემი მეგობარი, ქართული ენის ცნობილი მასწავლებელი წავკამათდით. მსაყვედურობდა, მომკალი და არ მომწონს, რაღაც სიტყვას რომ გადმოაგდებ, მერე არ კადრულობ მის ახსნას, იხტიბარს არ იტეხ, გაიძახი: ბებიაჩემი ასე საუბრობდა ან სულხან-საბაში ჩაიხედეთო...

მე პირიქით ვუტევდი, წერეთ და იკითხეთ მაშინ: მესიჯი, იმიჯი, ქასთინგი, ლეტალური, სტაფი, კრეატიული, რელაქსაცია, კლასტერი და მისთანანი, ამაზე ვიდარდოთ-მეთქი...

არც მაგი მომწონსო, იმან. ერთი სიტყვით, ვერ შევთანხმდით...

მე ისევ ვჩემულობ, ასეთი დიალექტების სამყაროში, უცხო სიტყვები რატომ თვარა, კი! კაცო, კოდში (ხის სათლი) თაფლი გესხას და ერთხელაც არ ამოჰკრა თითი?! დიალექტებით სავსე კოდზე ვამბობ!

სხვანაირი ფერი და ჯადო აქვთ ჯერ კიდევ შემორჩენილ კილოკავებს... დასაკარგად და დასავიწყებლად არ მემეტება ბებია-ბაბუების დიალექტები, მათებური თქმანი... ადრე ვბრაზობდი, ახლა

სინანულით და სიყვარულით ვიხსენებ დიდნენეს შეგონებას: რა კაი ბაღანა გიგიშვი ქალაქში, რა ლამაზად პარტყალებდი (მეტიკტიკებოდი) და ე, რა ჩამომიტაი შე, ენამოსატეხოო!

ზოგიერთი ამჩნევს ალბათ, ჩემს ნაწერებში ხშირად შეგნებულად შემომაქვს დიალექტები... რაც არ უნდა მიმტკიცოს და ვინც არ უნდა მიმტკიცოს, მაინც ვიჩემებ, დიალექტები, კუთხური კილო-კავები არ ნიშნავს ენის უპატივცემულობას. აი, უცხოური სიტყვების დამკვიდრება კი ნამდვილად ენის შეურაცხყოფაა! მოკეთე-სახლიკაცნო, იმაში ხომ ვთანხმდებით, რომ დიალექტები და კილოკავები სალიტერატურო ენის მთავარი შემავსებელია, დიალექტები ალამაზებენ და განსაკუთრებულ სურნელს მატებენ ენას, რომ ხალხურ ფოლკლორში, დიალექტებში იშვიათი მეტაფორები და შედარებებია...

* * *

აგერ ახლა ძველი ქაღალდები მიმოვაწესრიგე. 1999 წლის ერთ ჩანაწერს მივაყოლე თვალი: „რედაქციაში სიტყვამარილიანი და საქმემადლიანი შემოქმედი სულიკო ჟღენტი დამადგა თავს, ჩემთვის ნომერ პირველი კინოსცენარისტი – „ჯარისკაცის მამა“, „ღიმილის ბიჭები“, „ნერგები“, „ფესვები“, „წუთისოფელი“, „რაჭა, ჩემო სიყვარულო“, „ბურთი და მოედანი“, სხვაც მრავალი“...

ბარემ გავიხსენებ სულკურთხეულ სულიკო ჟღენტთან შეხვედრებს...

პირველად 1997 წელს შევხვდი, ფრიდონ ხალვაშთან ერთად მესტუმრა. მასალები გქონია, ქართულ პრესაში აჭარაზე მიძღვნილი წერილებისა, ხომ ვერ მანახებთო, – მითხრა. რა თქმა უნდა, გადავეცი. აღელვებული მომეჩვენა, როგორ შეიძლება ასეთი ღვარძლით წერა, ვინ მოიგონა, აჭარის სეპარატიზმიო?.. მალე აჭარის სიყვარულით დაყურსული წერილი დაბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში“...

მეორედ, 1999 წლის ივნისში, სიცხიან დღეს, გაზეთ „აჭარის“ რედაქციაში მესტუმრა. კაბინეტში შემოვიდა, ჩამოჯდა, რამაზ სურმანიძეც მოვა მალეო... გაოცებული და დაბნეული შევცქეროდი თვალებში. ისე მესაუბრებოდა, ვითომ ძალიან ახლობელი ვიყავი, შენი ჩანაწერი ვნახე „შუამთობაზე“, მომეწონა, უბრალოდ, სადად წერო...

მერე მიჩუმდა, როგორც სჩვეოდა, სიტყვაძუნწობდა...

სამაგიეროდ, მე მოვუშვი ლაგამი: ოცდათორმეტგვერდიანი გაზეთი მინდა გამოვუშვა, მთლიანად თქვენ მოგეძღვნებათ, თქვენი პირველი მოთხრობები დავბეჭდოთ, იმით დავიწყებთ, ჯერ კიდევ ბავშვი, მოხალისედ რატომ წახვედით ომში-მეთქი...

თვალებში ალერსი ჩაუდგა, გაუხარდასავით მისი ფასი რომ ვიცოდი, მთლად გაუბრალოვდა, ისიც იგუმანა, მისი გულის კარების შეღებას რომ ვლამობდი და მხარზე ხელი დამადო: აგერ, რამაზ სურმანიძე მოკაზმავს მაგ ყველაფერსო... რამაზი ახარხარდა: იცი, ნიაზ, მე რატომ მავალებს? თვითონ ეზარებაო...

რედაქციის წინ, „სტეკლიაშკაში“ გადავიპატიჟე ყავაზე. ეზოში ერთ-ერთ ხეზე მიმითითა, ძვირფასი ხეა მაგი, ყველა მაგას ევლებოდა თავს, მაგასთან იღებდა ფოტოს, ყველას მაგაზე უყვარდა იდაყვის ჩამოდება, განსაკუთრებით, ზურაბ გორგილაძეს. მერე გამაღლდა, აიშოლტა და დაისვენა ჩვენგანო...

თბილი, ნუგეშის მომგვრელი სიტყვებით დამემშვიდობა...

მერე, 2000 წლის 15 თებერვლის „აჭარაში“ რამაზ სურმანიძის წერილი დავბეჭდე სათაურით: „როგორ შეიქმნა „ჯარისკაცის მამა“. ფოტოც დავურთეთ, მშობლებმა სოჭის ჰოსპიტალში რომ მიაგნეს სულიკოს...

20 წელი გავიდა მას შემდეგ. აზრი არ შემცვლია, – მის საქმეში ნომერ პირველი იყო...

## დედე ნიჟარაძე...

დედე ნიჟარაძე... ალამბრის ეკლესიის ამშენებელ ბასილ ნიჟარაძის შთამომავალი...

ქართული იდეით შეპყრობილი, უმწეოთა და გაჭირვებულთა ქომაგი და შემწე...

ოსმალოს ფაშას მიახალა: „ქართველი ვარ, ფაშავ, ქართველი, სისხლხორცეული ქართველი მაჰმადიანი. ჩვენი წინაპრები ქართველობას თავს სწირავდნენ. იმათ ნაკვალევს ვერ ავცდებით... თურქებმა ყველაფერი წაგვართვეს, ქართული სინდისი – ვერა. ამ სამკაულს კი ვერ შეელევიან აჭარა-მესხეთის მკვიდრნი“.

1865 წელს თანამოაზრეებთან ერთად თურქ მონათმოვაჭრეებს მუხაესტატეს ტყეში 40 ქართველი გოგო-ბიჭი წაართვა...

2000 შეიარაღებული ქობულეთელი დაახვედრა რუს-ქართველთა ჯარს ოსმალებთან საომრად...

ოსმალებმა სახლ-კარი გადაუწვეს, მამული აუოხრეს...

1877-1878 წლების ომში ალამბრის რაზმს მეთაურობდა...

შემდგომ რუსეთის ჯარშიც მაღალი ჩინი მიუღია...

თავისნაირებთან ერთად იბრძოლა და ქობულეთში ქართული სკოლა გაიხსნა, ამ დღის აღასანიშნავად დიდი ნადიმი გამართა...

რომ არა დედე ნიჟარაძე, გულო კაიკაციშვილი, ხუსეინ ბეჟანიძე, ესედ ცივაძე, ხუშუტ ჯაში „მუჰაჯირობას“ სხვა მასშტაბები ექნებოდა...

დედეს სიტყვა სოფლის ყრილობაზე: „ახლავე დაბრუნდით თქვენს ოჯახებში, არ გადელდეთ და მუჰაჯირობას არ დათანხმდეთ... აქ სიკვდილი სჯობია დასაკარგავში სიცოცხლეს“.

რუს გენერალ-ლეიტენატს, სმეკალოვს, შელაპარაკებისას მათრახი გადაურტყამს დედესთვის. დედეს ჯერ შუბლზე მიუდვია ნაგანი და შემდეგ ფეხში დაუჭრია გენერალი...

დედეს შვილი მურადი ქობულეთის ყავახანაში მკლვლელობას შესწრებია, ამის გამო კაზაკები დედეს სახლში შეჭრილან. ლოგინად ჩავარდნილ დედეს მეუღლისთვის უყვირია, შინელი მომიტანეო, მოუსხამს რუსულ ეპილოტებიანი შინელი და გაჭიმულან კაზაკები დედეს წინაშე, ბოდიში მოუხდიათ და წასულან...

იკურთხოს შენმა სახელმა, დიდო ქართველო დედე ნიჟარაძევ!..

## ერთი ფოტოს ისტორია... – ჟიული შარტავა...

ჩემი გმირი და გმირთაგმირი, გულიანი და გულისგულიანი ქართველი...

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე აჭარას სტუმრობდა, ასლან აბაშიძეს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ, რადგან ძალიან ჩქარობდა, ჟურნალისტებისათვის ველარ მოიცალა. ბედად, რაღაც საქმეზე უმაღლეს საბჭოში აღმოვჩნდი. უარი არ უთქვამს და გავისაუბრეთ.

სამწუხაროდ, ინფორმაციის და ამ სურათის მაშინდელ პრესაში გამოქვეყნება ვერ მოხერხდა.

იმდროინდელი ჩანაწერებით შევეცდები აღვიდგინო ჩვენი საუბარი, მომეჩვენა, რომ ბატონი ჟიული ძალიან გულნატკენი იყო აფხაზური მხარის მიერ სოჭის ხელშეკრულების დარღვევის გამო. მახსოვს ისიც თქვა, ორგულებით და მოღალატეებითაა სავსე ქვეყანაო და ისიც, ჩემს აფხაზ მეგობრებს ვარწმუნებ, სანამ გვიან არ არის, წყენა დავივიწყოთ, ცეცხლი შევწყვიტოთ, პატიება და შენდობა ვთხოვოთ ერთმანეთსო... დანანებით ნათქვამიც მახსენდება, ერთიანობა გვაკლია ქართველებსო...

მერე იყო 1993 წლის 27 სექტემბერი – დღე ჯვართამაღლებისა...

...დაჩოქება უბრძანეს და არ დაიჩოქა...

გადამთიელმა ტყვიების ჯერით მუხლები გადაუცხრილა, ფეხზე რომ ვერ დამდგარიყო...

## ღომა და „ვეფხისტყაოსანი“...

ღომას მთას სხვა ჯადო აქვს... ღომა შეუდარებელია... ჩემზე რომ იყოს, მოვჭუჭკავდი ახალგაზრდა ლიტერატორებს, ავიყვანდი ღომაზე, წადით ახლო-მახლო ქოხებში, გაესაუბრეთ ნენეებს, საღამოს ვინ რამდენ რუსთველისეულ სიტყვას მომიტანს, იმდენ ლავშ დაფწნილ-ჩვილ ყველს გაგატანთ ბარში- მეთქი... მერე რომელიმეს დისერტაციის დაცვას „მივუსჯიდი“... (იოსებ ბექირიშვილის ნატვრა გავიმეორე. მისი ნაშრომიც წამოვიხმარე აქ – ნ. ზ.)

სანამ ვინმე ასე იზამს, მანამ მე „წავუმეცნიერებ“, ხომ ვიყავ ღომაზე ორი დღე...

ა, ბატონო, ღომაზე, საყენდრიას იაილაზე ასულს, ნენემ მომახარა: ხომ კაი ტაროსი (დარი – ნ. ზ.) დაგახვედრეთო („საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების“ – „ვეფხისტყაოსანი“).

ღომაზე ასულს, ყველაზე ასაკოვანი მოხუციც კი ფეხზე წამოგიდგება, – „მობრძანდითო“ – გეტყვის, – აგერ „დაბრძანდითო“, – შემოგთავაზებს, რაიმეს თქმას დააპირებ და, – „ბრძანეო“ – შემოგცინებს, შეეკითხები და პასუხს სანამ დაიწყებს, – „ბრძანება თქვენიო“, მეზობელი გაიგებს შენს ასვლას და სხვა მეზობელს მიახარებს – „ესა და ეს კაცი აქ ბრძანებულაო“...

შოთასთან: „რად ბრძანეთ თქვენი ბერობა“, „ბერს“ აჭარაში მოხუცებულს ეტყვიან, „არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად“, „ყმა არ ახლავს, არცა ბერი“...

ღომაზე მოსმენილი: „რაფერ ჩაზანგულა (გამურულა) ეს კასრულაი, პაწაი გააპრიალე“ (შოთა: „შევიდა ზანგი პირშავი“)...

ღომაზე მოსმენილი: „ამას ახლა ყურებინა დააფრიწო“, „ერთი შეხედე რა დაფრეწილი შარვალი აცვია“, „ქარმა ცელოფანი სულ დაფრიწა“ (შოთა: „არ დარჩა კაცი ცოცხალი, მუნ მისგან დაუფრეწელი“)...

ღომაზე მოსმენილი: „ნიაზო, ამელამ ვისთან დგები?“, „წამოი, ჩემთან დადექ“ (ე. ი. ვის სახლში გაათენებ ღამესო – ნ. ზ.), „დადექ, კარგად დაგინახო“ (ე. ი. გაჩერდიო) (შოთა: „ფრიდონ დადგა, ყმა წავიდა)...

„რომე“ აჭარაში ფართოდ გავრცელებული სიტყვაა. აბა, შოთას მივაყურადოთ: „მე რომე ცეცხლი მედების“, „ასრე რომე ცასა ქვეშე“, „რომე სრულად მომიძულვა“...

„ვეფხისტყაოსანში“ ამოკითხული და ღომაზე გაგონილი სხვა სიტყვები: ხასი, მორჩვი, შემეჭედა, გაქუცვა, გაგულვანება, უკუდგა...

ჰო, სხვა ხიბლი აქვს ცოცხალ ენა-მეტყველებას, ის ცდილობს გაექცეს სალიტერატურო ენას, გაილაღოს, გათავისუფლდეს არტახებისაგან, ცოცხალი მეტყველება, კუთხური დიალექტი სრულად გამოხატავს ადამიანთა ხასიათს, განწყობას, განცდას...

მიყვარს დიალექტები... მიყვარს ილია, ვაჟა, ყაზბეგი, ეგნატე ნინოშვილი, რეზო ინანიშვილი, ფრიდონ ხალვაში, ზურაბ გორგილაძე, ოტია იოსელიანი, ასე რომ ელოლიავებოდნენ დიალექტებს...

მიყვარს ღომას მთა...

პოეტ როინ აბუსელიძის ღომაზე დაწერილმა გემრიელმა მინიატურამ დამაწერინა ის, რაც ახლა წაიკითხეთ...

...და, მთავარი – საქართველოში ყველაზე უხვად რუსთველის ლექსიკა- ტერმინოლოგია უფრორე აჭარულ დიალექტში დასტურდებაო, ცნობილმა მეცნიერ-მკვლევარებმა...

* * *

ასლან აბაშიძემ დაცვის პირით შემომითვალა, დღეს ჭაბუა ამირეჯიბს მთიან აჭარაში უმეგზურეო. თვალები გამიბრწყინდა, ჭაბუასთან ერთად ჩემს ღელე-ღურდანში ყოფნას რა სჯობს-მეთქი...

შუახევში, მახალაკიძეების თავში, სანალიის ახლადაშენებული ჰესის სანახავად გავეშურეთ. იმ დროს სრულიად საქართველოში ინგრეოდა, ჩანაგდებოდა, კაპიკებად იყიდებოდა, იძარცვებოდა ობიექტები, ბევრს ვერ წარმოედგინა ახალმშენებლობის ამბავი...

ბათუმს გავცდით თუ არა, როგორც გათამამებულმა ექსკურსიამძღოლმა დავიწყე: ბატონო ჭაბუა, კარგად მოგეხსენებათ, ჩემგან რა გესწავლებათ, ეს გზა გაიარა ანდრია პირველწოდებულმა და საქართველოში პირველი ეკლესია აქ აშენდა-მეთქი, ამ სანახებში რომ თამარ დედოფლის თაღოვანი ხიდებია, იმდენი არსად არ არის შემორჩენილი, აქ მოღვაწეობდა აბუსერისძე ტბელი, აქ გაიქუხა სელიმის სიტყვამ თავწარკვეთის წინ, ხულოელ ხოჯას რეჯებ მეხეშიძეს აქ აღმოუჩინეს სახლში გადამალული ხატები, რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ მესხურ-აჭარულ დიალექტზე რომ არის შექმნილი, თქვენზე კარგად ვინ იცის-მეთქი, აქ ასეულობით რუსთველისეული სიტყვა დღესაც გამოიყენება-თქვა...

დედაბრულ დამწერლობაზეც ვთქვი, აქაურმა ქალებმა რომ გამოიგონეს, მოვყევი სასტუმრო ოდის („მეიდან ოდა“) ისტორია და დავამთავრე: აქ დღესაც არ იტყვიან მოკვდა ან გარდაიცვალა, „დაიხარჯა-ო“ ამბობენ, აქ კუბოს „აკვანს“ ეტყვიან, დასაფლავებას – „შენახვას“-მეთქი, ხორუმზე და განდაგანაზეც ვთქვი, მარკოზ აჭარელზე და თევდორე აჭარელზე, სხვა ბევრ რამეზე...

ბატონმა ჭაბუამ ხელი საზურგის უკან გადმოყო და რაც შეეძლო მუხლზე მომიჭირა, სახეს ღიმილი უნათებდა: – სანამ ამ წუთისოფელს მივატოვებ, რაც მომიყევი, ყველაფერი ერთ წიგნში ჩაყარე, ამაზე კარგ საქმეს სიცოცხლეში ვერ იზამო, – ძლივსგასაგონად მითხრა და პაუზის შემდეგ, განაგრძო, – განსაკუთრებით, დედაბრული დამწერლობაა საინტერესო, აქაური ქალის გმირობა და სიქველე. თუ გინდა იმით დაიწყე, ქალებიდან ქრისტესთვის არავის რომ არ უღალატნია და აღდგომის მერმე პირველად ქალებს რომ ეჩვენაო...

შუა გზას რომ გავცდით, ავტომანქანა შეგვაჩერებინა, შეუძლოდ ვარო... გავჩერდით, წყაროს წყალი დავალევინეთ, აბებიც გადაყლაპა, ჰაერს ხარბად ისუნთქავდა, სჯობს უკან დავბრუნდეთ, ეტყობა სიმაღლემ მაწყინაო...

უკანა გზაზე თანდათან მოფერიანდა და მოჯანიანდა... სულ ღიმილ-ღიმილით მოყვა, ბათუმში, ახალგაზრდობაში, ხულიგნობისთვის, რამდენიმე ღამე როგორ აყურყუტეს კამერაში...

ამ დროს დამირეკეს, გზისპირზე სახელდახელო სადილი გავამზადეთ, ჭაბუას მდუღარე მჭადი გავატეხიოთ, პაწაი მოვასვენოთო... – კაი-მეთქი...

ღვინით სახემიბნედილი, წამოჭარხლებული, გულისგულიანი, ლაზათიანი და ენაწყლიანი მაწყვალთელი ტარიელ მაკარაძე შემოგვეგება გარმონით და „ჰიდაინანოთი“... ღობეზე გადმომდგარი გოგო-ბიჭები აზუზუნდნენ: – ამან დაწერა „დათა თუთაშხიაო“? ამ გზას, ამ ხეობას სტუმარი არასოდეს არ აკლდა, მარა ამხელა კაცის სტუმრობა ისტორიაშია ჩასაწერიო, სიამაყით გაშალა ხელები ერთ-ერთმა მასპინძელმა...

ლამის მთელი სოფელი შეიკრიბა მწვანე გზისპირზე... ერთმა მთიელმა დაიმორცხვა, ძალიან მინდა, მარა მეხათრება თქვენთან მოსვლა, ტკვაფჩიანი ხელები მაქვსო.

– ნიაზ, რა თქვა, რა მაქვსო? – ჭაბუამ.

– „ტკვაფჩი“ თქვა, ბატონო ჭაბუა.

– რას ნიშნავს?

– დამწვრობისგან ამობურცულ კანს ნიშნავს, ბატონო ჭაბუა.

– გასძახე მოვიდეს აქ!

მოვიპატიჟე. ჭაბუა მხარზე ეამბორა, ეს რა კარგი სიტყვა გამაგონეო.

– ნუ შევაწუხეთ აი ჩვენი „გორა მბორგალი“, მოღლილი იქნება, ი, რამდენი ურბენია ციხიდან გამოქცეულს, – ჩაიღიმილა ფეშტემალიანმა ქალმა.

ფურცლის ნახევზე რამდენიმე დიალექტური სიტყვა ჩამაწერინა ჭაბუამ: მერაყი – ჯავრი, ძგეფია – უშიშარი, ქოქი – ძირი, ერკიელი – ნისლიან ცაზე მზის გამობრწყინება...

ალალ სადღეგრძელოებს ამბობდნენ სოფლელები, ენამზეობდნენ და პირიმზეობდნენ...

დავემშვიდობეთ გულიან მთიელებს... სოფელს ლივლივა ნისლი დაეფინა... მერმე ერკიელიც გამოვიდა...

* * *

კარი გამოვაღე, რას ვხედავ... ჩემს წინ ღიმილგადაფენილი ლეილა აბაშიძე დგას...

– თვალი ხომ არ მატყუებს?! – ხელისგულები ამოვისვი.

– არა, არ გატყუებს, მე ვარ, შემომიშვი სახლში, მეშინია გული ბუდიდან არ ამომივარდეს, სადღა შემიძლია ფეხით მესამეზე ამოსვლა, ყავა გაქვს?

– კი მაქვს, მაგრამ მოდუღება არ ვიცი.

– მეუღლემაც არ იცის?

– კი, მაგრამ ბავშვებთან ერთად სოფელში ისვენებს.

– სირცხვილი შენ! კაი, მე მოვადუღებ.

...მანამდე, რამდენიმე დღის უკან გაზეთ „აჭარისთვის“ ლეილასთან ინტერვიუ ჩავწერე, კარგი გამოვიდა, სკანდალურიც, მიხაროდა, ქალაქი კარგხანს ამაზე ილაპარაკებს-მეთქი...

...ნელ-ნელა ვწრუპავთ ყავას ღვთივკურთხეული „ჭრიჭინა“ და მე... მინის ჭიქებში კონიაკი ჩავალიკლიკე და სადღეგრძელო ვთხოვე, თქვენ გაგიმარჯოთ, თქვენს ნიჭს, შემოქმედებას, სილამაზეს, თავი სიზმარში მგონია, ვის დავაჯერებ ლეილა აბაშიძე მყავდა სტუმრად-მეთქი...

– მიდი, ეზოში გადაიხედეო, – მანიშნა სახეამზევებულმა, გაფრენილი წარბებით...

აღტაცებისგან დავმუნჯდი. ეზოში ასამდე მეზობელი იდგა. ლეილას კითხვა-კითხვაში, ზოსიძე სად ცხოვრობსო, კი შეკრებილან. ხომ მალე ჩამოვაო, მეზობლებმა, კი-მეთქი, თავი დავუქნიე.

– ნიაზ, სათხოვნელად გესტუმრე, რედაქციაში დაგელოდებოდი, მაგრამ იქნებ სულ არ მოვიდეს-თქვა და სახლში დაგადექი. ხვალ თბილისში მივდივარ და ინტერვიუსთან დაკავშირებით მინდოდა მეთქვა.

– გისმენთ, ქალბატონო ლეილა.

– ბევრი არსათქმელებიც გამეპარა და იქნებ ამოვიღოთ, ვინმეს გული არ ვატკინოთ, ძველი, პირადული ამბების ქექვა ულამაზო მგონია მაინც.

– თუ გინდათ, სულ არ დავბეჭდოთ, ქალბატონო ლეილა!

არასოდეს არ დამავიწყდება ულამაზეს და უსათნოეს ლეილას შეფაკლული ღაწვები, აელვარებული თვალები...

– ღმერთმა გაგახაროს, ნიაზ, ე. ი. ტყუილად არ მოვსულვარ...

სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ღვთისმშობლის ხატი ვაჩუქე ღვთისმშობელივით ლამაზ ლეილას...

მეზობლების ხვევნა-კოცნა-მოფერებაში, მქუხარე ტაშით გამოვიარეთ ეზო... მალი-მალ თვალებს აკვესებდა მომღიმარი ლეილა...

რამდენიმე დღის შემდეგ, სულგანათლებულმა სიცილის დედოფალმა მზია კვირიკაშვილმა მითხრა, ასე რით გაახარე ლეილა აბაშიძე, სულ თბილად რომ გიხსენებსო...

იმ დღეს რა დამავიწყებს!..

## მზია... სიცილის დედოფალი

ახლა, მზია რომ გამახსენდა, გულზე თბილმა ტალღებმა გადამიარა... სიცილის დედოფალი, სულგრძელი და კეთილი, უბრალო, წრფელი, ემოციური, თბილი, ენაწყლიანი, მახვილგონიერი, დიდი, ნაღვლიანი თვალებით, ალალი, მიმზიდველი ღიმილით...

90-იანებში გავიცანი, მაშინ, როდესაც ლუკმის წაგლეჯა, დასმენა, ცილისწამება, შური, სიძულვილი, გაუმაძღრობა, დაყაჩაღება, ტყვია, დანა, სისხლი, შიმშილი, ცრემლი და ვაება ზეობდა...

გაზეთ „აჭარის“ თანამშრომლებს დაგვიახლოვდა, დაგვდაქალდა, ცირკის სცენაზე კონცერტს ვატარებ და თქვენი თანადგომა მინდა, აქაურების გარეშე რას შევძლებო...

ბათუმში პატარა ოთახი იქირავა და იმ დღიდან ჩვენი ნავთსაყუდელიც გახდა ის ოთახი... მაშინდელი სითბო, სიტკბო, ატან-გატანა, თანადგომა და თანამოდარდეობა არ მავიწყდება...

ბევრი ცნობილი მომღერალი და მსახიობი ასტუმრა ბათუმს, ბევრი ლამაზი საღამო აჩუქა ბათუმს. ერთ-ორი კაპიკი გაუჩნდებოდა და ახალ კონცერტს გეგმავდა, დანარჩენს ჩვენთან ხარჯავდა. თავის სულის სინატიფეს თავ-კისერზე გვაყრიდა... მის გულში ათასი მზე ბრწყინავდა და ჩვენს გულებსაც ათბობდა, ხელგაწვდილ ვინმეს დაინახავდა და ჯერ თავის ჩანთას ეცემოდა, მერე ჩვენ ჩამოგვივლიდა და ცრემლით სავსე თვალებით იღიმოდა, ახლა ხომ უფრო კარგად ხართ ჩემო ცარიელ-ტარიელებოო...

ნარდი უყვარდა, ძალიან აზარტული იყო, მისი თამაშის ყურება სპექტაკლად ღირდა. ჩემზე იყო ნამეტანი „გადამტერებული“, რადგან წაგების მიუხედავად, ქალაქში ხმას ვყრიდი, მზია კვირიკაშვილი დავფშვენ-მეთქი. ერთხელაც შემომითვალა, მოი, მასტერ კლასი უნდა ჩაგიტაროო. მივედი, შემომცინა, მადლიანი თვალები მომაშუქა: რას მიყურებ ბოჩოლას თვალებით, მაინც არ მეცოდები, „პაშჩადი ნე ბუდეტო!“

– ოღონდ დღეს მოვიგო და ორ დღეს ქეიფის მაგიდას არ ავშლი-მეთქი, – შევპირდი.

– კაი, დავი-დავბასეთი ვთამაშობთ, იცოდე! – დამემუქრა.

შემოვსცხეთ, მარა რა შემოვსცხეთ! ოცდახუთით თხუთმეტზე, ხელები ავწიე, დაგნებდი, დღეს ზარმა გამყიდა-მეთქი.

კარისკენ პირშებრუნებულს მომაძახა: რას მირბიხარ სველ ჭუჭულივითო და მოსთქვა: მეზობლებო, მოით, ანუგეშეთ საწყალი აჭარელიო! იტალიური ეზოს მეზობლები წინასწარ ჰყოლია გაფრთხილებული სანარდო ჯახზე და ეზო აივსო სიცილით, ამ, ჩამოსულმა კახელმა ქალმა რაფერ გაგლახაო... ბოლოს კისკისით დამამშვიდა, გულიანი ბიჭი კი ხარ, მარა ნარდის ფხა არ გაქვსო... რედაქციაში რომ დავბრუნდი მაინც გამარჯვებულად გამოვაცხადე თავი, ცხარე ცრემლებით ვატირე მზია-მეთქი...

მშიერ, გაძვალტყავებულ, ჩაშავებულ თბილისში, რკინიგზის სადგურზე, ჩემზე ცდაში დაქანცული, ქოლგიანი მზია მახსოვს, ვაგონიდან ჩამომხტარს, რომ გადამეხვია...

სულხორციანად ემსახურა სოფელ ქვეყანას...

დავასრულე მოგონება და გულზე ისევ თბილმა ტალღებმა გადამიარა...

# გიორგი ტუღუში

## თავიდან ბოლომდე

თუ გინდათ გამშოლტეთ, თუ გინდათ მაამეთ,
არ მხიბლავს ალერსი, არც დავიდარაბა,
მომთოკა ბურანში მიმქრალმა მალარმემ,
წამებას მაშორა, ჩამომაბარაბა.
ოღონდაც გამოჩნდი და დავთმობ დიდებას,
ოღონდაც მომრწყე და არ დავწერ შედევრებს,
თან შენით მოცული – სიცოცხლის დინებას
გავყვები, გავუძლებ პოეტთა შეტევებს!
აბიშაგ შუნამელ, სულს შემოეჭამე,
ვიდექი ზღვასთან და ვუმზერდი მწვერვალებს,
ნეტავი, მეშვიდედ უსიტყვოდ მეწამე,
ვაქცევდი სიმშვიდედ შინაგან მტარვალებს!
მე უკვე შემარქვეს წმინდანთა მდევნელი,
ნეტავი, დუმილით მექროლა შენამდე,
და თუკი ოდესმე კვლავ ამაკანკალე,
ჩაგკერავ, ჩაგქოლავ ავადმყოფ ნეკნამდე!
მე უკვე ჩამაგდეს ბნელ სამსხვრეველაში,
თუმცაღა ლექსები ჩემი ვერ დამალეს,
უიღბლო ხიზანო, ულმობელ დევნაში,
ბავშვური თეზები გააჰიმალავეს!
არ გადავიქცევი სამყაროს ჯალამბრად,
ტაკიმასხარობა რომ არ შემოგაკლდეს,
არ გარდავიქმენი მეფეთა ჯამბაზად,
შენმა დემონებმა სული შემომაბრდღვნეს!
მიყვარხარ, დევნილო, თავიდან ბოლომდე,
მიყვარდი მაშინაც, როდესაც მტოვებდი,
გაროზგვამ მათრია სიცარიელემდე
და მაინც შენამდე სისავსით მოვედი!

## ცივი აპნისი

**(იანვარს)**

გავხედე ქუჩას,
იდგა აპრილი, მაგრამ მაინც უნდოდ ციოდა,
ცივი ნისლივით მოაპობდა ცხელ ბუხარს კვამლი,
როგორც მაშინ, როს გატაცება გამითეთნულდა,
როცა დავტოვეთ ნარნარა და ნანატრი სახლი.
გამოვემართეთ გადაღლილნი ზღვისპირა პარკში,
წერდა კედელზე იანვარი კლდისებურ კლანჭით,
მანიფესტს, თანაც ჩაგვითრია ლოთების მარშში,
იმ დღეს დაცემა ამოვდენეთ ზღაპრული ვალსით.
და განუცდელი სიქათქათე, გაუსაძლისი,
ელავდა გიშრად ნურიგელის ტბისებურ ფანდში,
ფანდში, რომელმაც გააფითრა ძალმომრეობა,
ჩემში ტბიური დაამკვიდრა ზნე და საწყისი.
და მერე ისევ მარტოსულად გამომეღვიძა,
კვეთდა ვარსკვლავებს თავმომწონე, დენდი დაისი
– როგორც დედა გამოზრდილთა ურიცხვ აზარტებს,
გვიდა სიმარდეს სამშვინველში ზანტი აპნისი.
ყინვაში შუქნი სიშორესაც აქაოტურებს,
წყლისფრად დაენთხა აჩქარებას თხელი მაისი,
თუ მონატრებით გაზაფხული დამაორსულებს,
კვლავ მამარხულებს პირქუში და ცივი აპნისი!

## პროტომუზები

ჩემი ლექსები როკ-ენ-როლია,
ვერ ეთავსება უმიზნო მიღმურს,
ჩემი ლექსები მძიმე როკია,
წააგავს მითებს, გაოფლილ მისურს.
ეს პოეზია შეტაკებაა,
მაგრამ არ გეტყვი, მტერო, ,,ადიოს“,
ეს პოეზია შეხამებაა,
უკვდავებასაც რომ შეუტიოს.
ჩემი ლექსები გადალახვაა,
როდესაც დინჯი სიკვდილი მიხმობს,
ჩემი ლექსები გადახლართვაა,
ვწყევლი სიცოცხლეს, მარდსა და მინმდობს!
ეს პოეზია გამარჯვებაა,
მაგრამ ჯერ არა, ჩემო დედილო,

ეს პოეზია ამაღლებაა,
ოდეს მოვკვდები-ჩემებრ დევნილო!
ჩემი ლექსები შენებებაა,
აქაურობის-იქაურობის,
ჩემი ლექსები შეფერხებაა,
გაუსაძლისი ჭიაღუობის.
ვიხილე მტვერი, მტვერში მარატი,
შემოვიტანე სიახლე რიტმის,
ქარს გავატანეთ სადღაც ბარათი,
გილიოტინა მოკითხვას გვითვლის!
მკლავები უნდა დავიკაპიწო,
უნდა დავთესო პროტომუზები,
შემდეგ შემქმნელმა ისევ დაიწყოს,
ქარტეხილები სოდომურები!

## საჰარა

შენი ხმა მზეზე შემომესმა, მე კი სიზმარში,
პლაზმურ ბაღებში დაგეძებდი, ვით რილკე მუზებს,
ყველა პოეტის შეშლილობის ბრწყინვალე მარშში,
ბოლო ტკივილი სტრიქონებად ამომაბუნტებს.
ცვარავდა ღამე საჰარაში დამჭკნარ ამინდებს,
ეძალებოდა პოეზიის უბადლო სული,
თუკი ჩემი ხმა მზიდან მაინც გაგაბანდიტებს,
მეც გაპატიებ, რომ დამიდგეს დღესასწაული.
ო, ჩემო ღმერთო, ნეტავ რატომ გაუმადურდი,
უტყვი სიმორცხვე მომეძალა, ჯერ არნახული,
რომ შენს სუნთქვაში აღტაცებით გავუცნაურდი,
ვისი ბრალია?! აღარ მმართებს არც საზღაური.
შენი ბრალია, ჩემო ღმერთო, ეს გაორებაც,
რადგან შეჰქმენი ყოველივე და არაფერიც,
მეც შენებრ მიყვარს მთაწმინდიდან გადმოძახება:
„დაე, დავეცეთ, ყველაფერი, ან არაფერი“!
მწველო საჰარავ, გადმომისხი მდუღარე სისხლი,
გამაქანდაკე, განმადიდე – როგორც მიკალუ,
თუ აცეცხლილი ალმურებში კვლავ გადავნისლდი,
ნუ გამიწყრები და ცოდვებიც არ დამითვალო!
გადავივიწყებ რელიგიებს ახალს და ძველსაც,
მარად ავ-კარგი დაგვებედოს, დავიცვათ ზღვარნი,
მიღმური ფანდი, ავხორცობა, გადამეტება –
მე შენი ყველა გატაცება გამოვიცანი!

## მაგრამ მე აღარ ვიქნები

ისევ ადგება მზე და შეენივთება დანისლულ ნაპირს,
ისევ ირბენენ მოზარდები ზღვისპირა პარკში,
ისევ გაითამაშებს გადაღლილი წყვილი განშორებას,
მაგრამ მე აღარ ვიქნები.
ისევ ივლიან მანქანები ჩემს მშვიდ და მზიან ქუჩაზე,
ისევ შესძახებს დედა პირმშოს, ავიდეს სახლში,
ბებია შვილიშვილს უამბობს ზღაპარს ძველ ყაიდაზე,
მაგრამ მე აღარ ვიქნები.
ისევ მოუდუღებს ყავას ადრე გაღვიძებული
ქვრივი სხეულის გასაკაჟებლად ადრევე გაღვიძებულ
მეზობლის ბიჭს, რომელიც ვერ შეჰბედავს დაეწაფოს
შვილისტოლა დემონს, გახედავს ცას დაცარიელებული,
მაგრამ მე აღარ ვიქნები.
ისევ აუკანკალდება მუხლები გამოუცდელ ვაჟს,
რომელიც შეყვარებულს დაშორდა და ორი წლის შემდეგ
დაინახა, თუ როგორ კვეთდა ქუჩას სხვა ბიჭთან ერთად,
მაგრამ მე აღარ ვიქნები.
ისევ იმოძრავებს დედამიწა თავისი ღერძის გარშემო,
მაგრამ მე აღარ ვიქნები.
ისევ იმოძრავებენ პლანეტები უკვდავი მზის გარშემო,
მაგრამ მე აღარ ვიქნები.
ისევ შეასკდებიან ერთურთს უშორესი გალაქტიკები,
მაგრამ მე აღარ ვიქნები.
არაფერში დანთქმული ვიხილავ შვილთაშვილისშვილს,
მოთამაშეს ცხელ ქალაქში, რომელშიც დავსეირნობდი,
მაგრამ მე აღარ ვიქნები.

## ასთავა სულნი

ველარ დავივიწყე სივრცის ვერც ერთი ნაწილი,
რომელსაც ჩემი ასთავა სულნი შეხებიან,
ამ სამყაროში ჟანგბადივით გადავნაწილდი,
ჯერ არშობილნიც მომავლიდან მეგებებიან.
და ჩემო სულნო, ნეტავ ერთი თავი გქონოდათ,
ახლა ვნებები ასკეტურად გენივთებიან,
თქვენს მოსაზელად უფალს თიხა რომ გამოჰქონდა,
დაუდგრომლობა, გაორება შემორევია!
ამპარტავნება შეხვდა ჩემში დაღლილ სიმშვიდეს,
როს ვიყავი ჭურჭელი დემონების ვნებათა,

ველარ მაწრთობს სიკვდილი, შევეჩვიე სიბილწეს,
სიჩუმემ გადამლახა ოკეანურ გემბანთა!
ვერავინ ვერ დაგჩაგროთ და არც გაბოროტდებით,
სიმხდალე შობს ბოროტსა საშოთაგან ტანჯულთა,
სულნო, იქეცთ ერთარსად, ნულარ ამოტოტდებით,
გაირინდეთ სხეულში, როგორც ნება მსაჯულთა!
გამოვქროლდი მზესავით ფოტონების ბუდიდან,
არ ვიქცევი, მერწმუნეთ, დაჟანგებულ მერმისად,
უარვყოფ მატერიას და სიცოცხლის ხუფიდან,
მოვალ სამარადჟამოდ უსპეტაკეს ვეზირად!

## MULTUM IN PARVOS

**(ბევრი ცოტაში)**

ამ ქარაგმებში ჩაბუდებულ ბუნდოვანებას,
მინდა ვუწოდო წამება და მედიდურობა,
გაურკვევლობით აღზევებულ სულოვანებას,
მე მირჩევნია უტიფარი მესიურობა!

გონი დავკარგე, ატმისფერო, წმინდა მტევანო,
გამომაფხიზლე, თორემ უკვე გადამიყოლეს,
განმარტოება თავნება და საქარავანო,
ამ ჯალათებთან განშორებას გამიიოლებს.

ო, ჟანგისფერო, მომნუსხველო, სანდო ბელტებო,
თუ მომენატრეთ სიკვდილის წინ, ავქვითინდები,
დედის სოფელში ხის ქოხებთან თუ ამეტუზეთ,
მაშინ მოვიწყენ, მაგრამ მაინც ავბიბინდები.

საივერიოდ არ გცალიათ, ერთმანეთს ებრძვით,
დაე, დაიმსხვრეს მაჭახელას წერწეტა თოფი,
დაე, დასრულდეს ომები და გაუმაძღრობა,
გარდაისახოს ნაკლოვანი პითეკანთროპი!

არ გამეფდეო, მიმაბჯინეს კისერზე დანა,
მე კი გვირგვინით შევმკობილვარ უძლეველ მეში,
ჩემი სამყარო არის უტყვი და ჰარამხანა,
ჩუმად მიყვარდი იმ შენისლულ დედის სოფელში!

და რად შექმენი ეს სამყარო multum in parvos?!
რად ველარ იტევს ჩვენს სურვილებს პატარა სივრცე?!
რომ მიგვამსგავსე ზნედაცემულ კაციჭამიებს,
ყოველ ჩვენგანში რომ ბობოქრობს შეშლილი ცირცე!

## კდემით შობილ უკვდავებას

სიმორცხვით შობილ უკვდავებას სინანულით ვგმობ,
რადგან სიკვდილი მირჩევნია, მაგრამ საამო,
როდესაც დაჰქრი და მღალატობ, სიტყვას არ ვამბობ,
ასეთი კვდომა მირჩევნია, საჭირ-ვარამო!
სიმორცხვით შობილ უძრაობას ცვეთა არ ახლავს,
გაყინულ ღაწვებს დაედება ფერი უკვდავთა,
ჩემი სული კი-შენს სხეულში კანკალს ვერ მალავს,
ერთხელ შეგეხო, დაე, მერგოს ხვედრი უგვანთა!
მაინც მოგწვდები, თუნდაც უკვე გაოკეანდი,
შენს დამონებას შემოვწირავ ბოლო სიმხდალეს,
ავხორცობაში თუ ღმერთივით გამოეკარი,
დავრწმუნდები, რომ წმინდანობა ვერ მიმახალეს!
სხაპასხუპით ვთქვი არაფერი და დავიბენი,
ვკარგავ სამოთხეს, რომ ვეძებო ისევ სამოთხე,
ჩემო ზვარაკო, სიმორცხვისგან ვერ დაგიხსენი,
შენ ღმერთთან დარჩი, მანძილია ჩვენში სათოფე!
მე შენ მიყვარხარ უბილწესი ვნებებიანა,
სხეულიანა, სულიანა, არ გეხუმრები,
ეს დაშორება იმედებით შემეხმიანა,
რომ კვლავაც მოხვალ და ბურანში დამემუქრები!

## მცირეწლოვანი სული

ო, ჩემო ნაადრევად დაბერებულო სულო,
მაპატიე, რომ გაწრთობდი.
როდესაც ბავშვი ისახება, მისი სულიც თესლის მარცვალია,
მაგრამ ყველაზე ბედნიერი სწორედ მაშინაა.
მას ხომ ჯერ სამყარო არ შეუმეცნებია, ანუ არც მობეზრებია.
რა ბედნიერი ვიყავი, როდესაც პირველად წვიმამ გამახარა,
რა ბედნიერი ვიყავი, როდესაც პირველად თოვამ დამაამა,
რა ბედნიერი ვიყავი, როდესაც პირველად შემიყვარდა,
მაგრამ კიდევ უფრო ბედნიერი ვიყავი, როდესაც
სიყვარულის მოსვლას ველოდებოდი, რომელიც იგვიანებდა.
ჯერ ხომ ყველაფერი წინ იყო და ხარობდა მცირეწლოვანი სული.
გათვითცნობიერება – უკიდეგანო კედელს წარმოშობს;
უკიდეგანო კედელი – მობეზრებაა;
მობეზრება – დაბერება;
ბედნიერებისკენ გადადგმული ნაბიჯი – უბედურება;

სილაღე – დაცლაა;
შერკინება – სიცარიელე.
თრთოდეთ, როდესაც გაიაზრებთ, რომ გასააზრებელი აღარაფერი გაქვთ.
ვიზრდებით და ვბრძენდებით, დიახ, ეს ასეა, მაგრამ აქვეა
ჩასაფრებული სიბერეც, მოძრაობით გამოწვეული უძრაობაც
და შემეცნებით დაგეშილი მელანქოლიაც, რომელიც შევქმენით.
ო, ჩემო ნაადრევად დაბერებულო სულო, მაპატიე, რომ გაწრთობდი!

## ჩემს სიმხდალეში

ჩემს სიმხდალეში შენი ბილწი ხელიც ერია,
მაგრამ ავდიდდი, მდინარე ვარ, თან საარაკო,
ჰეი, აქაბო, ერთად მოვსპოთ ჩვენ ნინევია,
შემოპარული ტირანების იგავ-არაკო!
ირგვლივ მოლია და ბრწყინვალე ამუდარია,
მე კი ვიძინებ, დაცემული ვხედავ სადგურებს,
სიცარიელეს ტიანშანზე აუტანია
სიცარიელე, რომლის მიღმაც დავისადგურებ.
ირგვლივ თოვლია და სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია,
როგორც სატურნი არაფრისგან შექმნილ ყუნწებზე,
უტყვი მაყრები წასაყვანად შემომივლიან,
მე ავდუღდები, შევხურდები თეთნულდის გულზე!
თვალებზე მეტად მომნუსხველი და სახიფათო,
შენი ზღაპრული, ანტიკური თვალის ჭრილია,
ბოლოჯერ უნდა ამ თვალებში წამოვიმართო,
მერე რაა, რომ შენკენ გზები გადაჭრილია!
ჩემს სიმხდალეში შენი ბილწი ხელიც ერია,
მაგრამ ავდიდდი, მდინარე ვარ, თან საარაკო,
ჰეი, აქაბო, ერთად მოვსპოთ ჩვენ ნინევია,
შემოპარული ტირანების იგავ-არაკო!

## ცარიელ ქალაქს

ყველაფერი გაქრა:
ქალაქი, სახლები, ქუჩები, გემები.
მაგრამ ვაი, რომ ეს სიჩუმე კი აღარა მკლავს,
არამედ მაწრთობს,
როგორც ქრისტეს უდაბნოში ბილწი სატანა,
შუადღის წვაში სიმარტოვე შიშებს ვერ მალავს.
ყველაფერი გაქრა:

წვიმები, ჩიხები, სკვერები, გედები.
მაგრამ ბავშვობის სილაღენი მუდამ თან მახლავს,
რომელიც მალღობს,
როგორც ეჭვი, გარდახვეწა და ვერატანა,
ამ არაფერში გლახაკივით თავნებად მავალს!
მე ახლა წავალ, მივატოვებ ცარიელ ქალაქს,
აქ რაც ვისწავლე, შევასწავლი სხვა ტანჯულებსაც
– თანაქალაქელს სათქმელს ღიად თუ ვერ მიახლი,
აგუბებ ბოღმას და ხელს უწყობ გამრუდებასაც!

## მზე იყო ძუძუ

მზე იყო ძუძუ შენიღბული, უტყვი ქალღმერთის,
ვეწაფებოდი ბილწი შვილი ამ სიდიადეს,
რძის მაგივრად კი მოჩუხჩუხე ნეიტრონეთით,
უჯრედებად და განკაცებად გამაზვიადეს.
ასე შემცოდეს პირველი და ბოლო სხეული,
მაგრამ ჩემს შემდეგ განიბნევა აღარაფერი,
სიცოცხლე სიკვდილს სატანჯველად შემოპნეული,
რაღატომ შობე, სიბოროტით გადანაფერი?!
არც ბრძოლა მიღირს მოგონილი სიმართლისათვის,
ყველა გავქრებით, მეფენიც და უკვდავი დრონნიც,
რადგან სიცოცხლე მზადებაა სიკვდილისათვის,
გინდ მეფე იყავ, გინდ უფალი, გინდ ორიონი.
სიცარიელე ღმერთია და ყოვლისმპყრობელი,
ხოლო ჩვენ ორნი-ცდომილების ჩამონაწერნი,
ამიტომ კვდება მეოცნებედ ყველა მთხრობელი,
ამიტომ ვდნებით არაფრიდან ჩამონაბერნი!

## ცეცხლისფერ სიზმარში

ამოლითონდა ჩემგან დანაღმული მზის რისხვა,
მკვდრის ფერი ადევს გაკერპებულ როდოსის კოლოსს,
მე დიდებულმა აფეთქებამ ისე მომნუსხა,
როგორც მზე სუსხმა საბოლოოდ ანთების ბოლოს!
ცეცხლისფერია სიზმარი და ვარ დაპლაზმური,
ჩემი სიფათის ყველა ნაკვთიც ჩამოისისხლა,
ძრწოლამ მომნიშნა მოკანკალე სიასამურის,
მაგრამ გადავრჩი, რადგან ძრწოლა გამოიფიტა!
შიშია სწორედ გამომჩარხი უკვდავი ღმერთის,

შიშია სწორედ მოქანდაკე უშიშრობისა,
შიშმა წარმოშვა აჩქარება მარდი ბაბრების,
ვინც არ კანკალებს – საკვებია უმიზნობისა!
იმიტომ კი არ მეზიზღები, გროსმაისტერო,
რომ ბოროტი ხარ, თან თავადაც სიავეს სჩადი,
გადამიფლიდდი, რადგან წვდომის ნიჭი არ გეყო,
რომ ბოროტებაც სიკეთეა და მარიფათი!
ცეცხლისფერია სიზმარი და მე ვიბუნტები,
ვცდილობ მოვძებნო გასასვლელი ცეცხლის სიზმრიდან,
გამიტაცებენ შემოქმედის ბნელი ტურები,
ოღონდ გამოვძვრე საკუთარი სიმძიმილიდან!

## მიყ-ვარ-ხარ

მიყ-ვარ-ხარ, რადგან ვარ და ხარ, რადგანაც ერთნი ვართ,
მიყ-ვარ-ხარ, რადგან ყოველთვის იყავი-ვიყავი,
ასე უტუხად გაყრის პირას იმიტომ ვდგავართ,
რომ კიდევ უფრო მოგენატროს ჩემი ხელკავი!
და სიყვარული, ჩემო მირქმავ, ის კი არ არის,
რომ ერთად ვიყოთ, ყოველ დილით ჩამისუნთქავდე,
არამედ ის, რომ უბრალოდ ხარ და ღამღამობით,
მოხვალ გაშოლტვად, პოეზიად გადაქცევამდე!

## სულგამოცლილნი

საზიდი ყველა განცხრომათა გამონაფიტის,
იქნება მძიმე, საწამლავი და გალანდება,
რადგან ასკეტნი დაითვლიან შთამომავლობას,
მათგან მოხდება გენიათა გადაბანდება.
სამკვიდრო ყველა მეკობრეთა, მხედართმთავართა,
გახდება ბასრი სატევარი გასაფატრავთა,
გასაფატრავთა სიყვარულით გამონაგონი,
ზედმეტი, როგორც სიბრძნის კბილი და ომიკრონი.
რა საშიშია, თვინიერნო, ეს სიყვარული,
მოუთმენლობა საკუთარი სიბრალულისა,
ცივი გონება სიზმარივით გადაფანტული,
დაოკება და დამძიმება ტარანტულისა.
და მზრუნველობით ოდეს თენთავთ ღმერთის თოჯინებს,
ირღვევა უმალ ჩანაფიქრის პირველსაწყისი,
მერმე ფარფატი უგუნურთა აიერიშებს,
მოზლაზნულობას სიკვდილივით გაუსაძლისის.

ამ იერიშში არ არსებობს ნება-სურვილი,
ასე ქრებიან შვილობილნი და ნაშიერნი,
ამას არ ვამბობ სიმბოლისტთა მიკიბ-მოკიბვით,
ასე ქრებიან მზრუნველობით სულგამოცლილნი!

## ღმერთის დაკითხვა

და რატომ გაჩნდი, მოევლინე ამ ყრუ სამყაროს,
თუ არ გინდოდა, რომ გეწვნია ცივი სიკვდილი,
ან რად გვაჩუქე, ყოვლისშემძლევ, სამურზაყანო,
თუ მოგვიწევდა მისთვის უსასრულოდ ჭიდილი?!
და რატომ გაჩნდი, მოევლინე ამ მუნჯ სამყაროს,
თუ არ გინდოდა აგეტანა ყველა წუხილი,
ცისარტყლის ფერო, ტანწერწეტა გუდამაყარო,
რად არ გამიჩნდა ერთხელ შენი ნახვის სურვილი?!
და რატომ გაჩნდი, მოევლინე ამ ბერწ სამყაროს,
თუ არ გინდოდა, რომ გტკენოდა ბავშვური გული,
ან რად გვიბოძე, შემოქმედო, ეს აფხაზეთი,
რად არ დაინდე ოჩამჩირე გადაბუგული!
და ვიცი, ვიცი, ყოვლისშემძლევ, რატომაც მშობე,
რატომ ვარ შენი უკვდავი და დაქანცული ძე,
რომ ურჩხულისგან ამოსუნთქულს, სულგამოგლეჯილს,
მეხილა შენებრ უძლეველი ანწუხელიძე!
ჩემო სამშობლოვ, გაშოლტილი ბუმბერაზი ხარ,
გენიოსების სამჭედლო და გილიოტინა,
როცა შეგეხო დამანჭული ბელტიყლაპია,
შენს ფერდობებზე ლაჩარივით მიიხროტინა!
მაგრამ შეგეძლო, ყოვლისშემძლევ, ამოგეტიფვრე,
უუბედნიერეს ვარსკვლავად ტანჯვის გარეშე,
თუ მხოლოდ გლოვით მიიღწევა ბედნიერება,
მაშინ ყოფილხარ ბოროტება და გამავეშე!

## არ მესმის

**(სანდრო ბერიძეს)**

არ მესმის, კაცმა თავი რატომ უნდა მოიკლა,
მთელი სიცოცხლე ხომ ნელ-ნელა თავის მოკვლაა,
მე ყოველ დილით მაინც ვუსმენ დედის სუნთქვას და
მამაჩემივით მამამაცებს ზაფხულის მოსვლა.
არ მესმის, კაცმა თავი რატომ უნდა მოიკლა,
მთელი სიცოცხლე ხომ წამებით თავის მოკვლაა,

თუ ეს წამებაც სწრაფად გინდა დაასრულო და
უნდა გაუწყო, წამებულო, მეორედ მოსვლა.
არ მესმის, კაცმა თავი რატომ უნდა მოიკლა,
მთელი სიცოცხლე ხომ ჭამა-სმით თავის მოკვლაა,
მაგრამ მაინც ვჭამ საშობაოდ ცხელ ღვეზელებს და
ცივი არაყიც გათოშილი სევდის მოსხვლაა!
არ მესმის, კაცმა თავი რატომ უნდა მოიკლა,
მთელი სიცოცხლე ხომ ფიქრებით თავის მოკვლაა,
მაგრამ მე ვიბრძვი, როგორც სული ჯოჯოხეთში და
ამ ფიქრებითაც მერამდენე თოვლი მოსულა!
არ მესმის, კაცმა თავი რატომ უნდა მოიკლა,
მთელი სიცოცხლე ხომ შუადღით თავის მოკვლაა,
მაგრამ მე მივალ ამ შუადღეს შენს საფლავთან და
კი არ ვიტირებ, ძალას მომცემ ბოლო მოჰიკანს!

## მარიტა

ისე წახვედი, თითქოს მართლა აღარ გიყვარდი,
ფიცხო მარიტა,
მაგრამ სადღაც შორს და გათოშვისას,
უშენობით ყელი გამიშრა,
ჩემო მარიტა,
არც არაფერი, თუ ვერ ამიტან
ვერც მოშორებით და შენს წასვლასაც თუ გადავიტან,
წასვლას ღალატით,
წასვლას რისხვით,
წასვლას მხილებით,
დაგიბრუნდები დაუნდობელ და გმირ ბანდიტად,
ჰო, სამხილებით,
ჰო, სურვილებით,
ჰო, ბრწყინვალებით,
სანდო მარიტა,
რომ გავათეთრო შენი ქმარი ამ დაბრუნებით,
რომ გავაწყალო შენი სატრფო მძიმე გილზებით,
ვეღარ მოითმენ
და ჩვეული მედეაობით,
როგორც ევამ განდევნილი უფლის რჩეული,
ზუსტად ისე, საბოლოოდ გულში ჩამიკრავ!
მაგრამ მარიტა,
როცა უკვე სარეცელზე ერთად მოვიწყენთ,
მეცოტავები,

მეტორტმანები,
დამეზოგები,
როს ყოველ დილით ჩემი სულის სუნი წაგბილწავს,
სიმარტოვეს რა ძალით და ღონით ავიტანთ?!
და ამის შემდეგ შემძულდება მზიან დღეს ყინვა,
და ამის შემდეგ ვაღებინებ საკუთარ თავსაც,
და ამის შემდეგ ვაღებინებ საკუთარ სხეულს,
მაგრამ მარიტა,
ჩემში მფეთქავ სიცარიელეს,
შენით შევავსებ, ჩამოგწყვიტავ უფლის ორბიტას.
უკვე გავშიშვლდი მარიტა
და უნდა მიწამლო,
უნდა დამტოვო,
უნდა ამოძვრე
ბლანტი სულის წვრილ ნაბზარიდან,
ჩემო წამალო,
უნდა ამოძვრე ჩემგან უკვე და გამეცალო,
შესისხლხორცება აღარ მინდა ამიერიდან!

## მეარაფრობა

ნუ შეგაშინებთ სიკვდილი და გადაქარწყლება,
რადგან სიკვდილიც საბოლოოდ მიძინებაა,
ცივი სხეულის ბუნებისთვის გადაბარება,
თავისუფლების სამუდამოდ მივიწყებაა.
ნუ შეგაშინებთ სიკვდილი და გადამტვერება,
მობრუნებაც ხომ სევდიანი ავყიობაა,
სამყაროს შეცვლის მოლოდინიც ათასფერდება,
რადგან არყოფნაც ყოფნის ფუჭი აქსიომაა.
ნუ შეგაშინებთ სიკვდილი და გადაქვავება,
გადაქვავებაც ხომ სიმშვიდის მოპოვებაა,
ჩვენ არას გვარგებს უკვდავებით გათამამება,
ყოფნის სურვილიც ხომ მოკვდავთა მოწოდებაა!
ჩამეძინა და მოვინუსხე ნელი ბურანით,
ცხელი თითები შემოეჭდო დამჭკნარ ხერხემალს,
ვეღარ მომხიბლავ სიამეთა ნაყარ-ნუყარით,
ქედს არ მოვუხრი დამონებულს, შენგან, გენერალს!
ნუ შეგაშინებთ სიკვდილი და მეარაფრობა,
არაფერია თავად ყოფნა უპირველესი,
ნუ გამაღვიძებთ, დაე, დავრჩე არარაობად,
მე ვარ სიკვდილი თავნება და უუტიფრესი!

## ტრიუმფის შემდეგ

თუ არ დავეცი გამარჯვების ზეიმის შემდეგ,
თუ მოვიპოვე გამარჯვება ყველაზე დიდი,
მაშინ ჩათვალეთ, რომ ოდესღაც სწორად განვდიდდი,
რომ ახლა ვიმკი აღმაფრენის ბრწყინვალე შედეგს.
ყველაზე დიდი გამარჯვება მოდის მას შემდეგ,
როცა შევიგნებთ, რომ მტვერი და წყლისფერი მთვარე,
ერთი მთლიანის ნაწილია, ერთის წადილი,
სწორედ ამიტომ მამის მკვლელი არ გავამწარე!
ყველაზე დიდი ტრიუმფია – ტრიუმფის შემდეგ,
როცა ნადიმად ჩამოჯდები შენს ძველ უბანში,
სადაც ტყვეებმა ჯოჯოხეთი გამოგატარეს,
მაგრამ არასდროს გადასულხარ დაუკრეფავში!
ტრიუმფით მთვრალი არ დაეცე და ამის შემდეგ,
ვერ შეგაშინების დიდი შიშის შემოტევები,
მე გამოვცადე ყოველივე, სიტყვაზე მენდე,
სულმა გამოწვრთნა მსხმოიარე მეთოფეები!

# მინდია ფუტკარაძე

## დედილო

მთაში ამოსულ დილის მზეს გავხარ,
კორდზე ამოსულ ერთადერთ ყვავილს,
მთებში გაშლილი თეთრი ბინდი ხარ,
კორდზე მოსული პირველი ნამი.

კლდეზე ჩანჩქერად ნადენი წყარო,
ამ წყაროსავით სუფთა გაქვს გული,
შენ გაგიმარჯოს ჩემო დედილო,
ქართველ დედის რომ ატარებ მუნდირს.

დიდი ვარ მაგრამ, მაინც შვილი ვარ,
სახლიდან გასულს მლოცავ დედაო,
არ შეარცხვინო სინდის-ნამუსი,
სუფთა რომ იყო მაღლა ღმერთთანო.

არ დაივიწყებ ჩვენს ჯიშს და მოდგმას,
ყველა განსაცდელს თითქოს წინ ხედავ,
შენ გაგიმარჯოს ჩემო დედილო
და ყველა ქართველ ღირსეულ დედას!

## სიტყვის ფასი

ქარის დროებამ დაფლითა ქვეყნად,
ქართული სიტყვის ომში ნავარდი,
ხალხური სიბრძნე, სიბრძნე მრავალის,
ღელე ღორღ ბორცვზე მთებში ნაზარდი.

ადრე უკვირდათ სიტყვის გატეხვა,
დღეს კი სიტყვები აღარ ფასობენ,

ადრე ულვაშის წაწყმედა სწყინდათ,
ახლა ულვაშის გაზრდით კაცობენ...

ჩვენ წინაპრები არ გვყავდა ცუდი,
მათ კაცობაში უღვრიათ ოფლი,
ჩვენ კი წინაპრის როგორც მტრის შვილის
გვაქვს ამ კაცობის სურვილი მოშლის.

სიტყვა ფასობდეს ქვეყნად ქართველის,
სიტყვა კაცობას გაუთქვამს ქვეყნად,
ჯამი კაცობის ღვინით გაავსე
და გაუმარჯოს კაცობას ჩვენსას...

ვეფხვის ბოკვერივით ღელე-ღურდანში,
ძველი ქალამნით გვივლია მთებში,
მაგრამ სინდისი არ დაგვიკარგავს,
ძარღვში მჩქეფარე რომ იყო ჩვენში.

* * *

როცა ეს დრონი შენ შუბლის თავზე,
ჩუქურთმებს ჭრიდნენ ოქროს ღარებად,
ჩემ შუბლზეც ერთი ნერვი შეტოკდა
და ორთავესი გახდა მგვანება.

ამ ჩუქურთმების ნაფოტი მე ვარ
და ამ ნაფოტის ძარღვი გაქვს შენაც
და თუ მოკვდება ეს გრძნობა სადღაც,
ორივეს ნერვი მოკვდება ერთად.

და თუ მოკვდება ეს სიყვარული,
პატარა კვალი მაინც დარჩება
და ნაკვალევში ფრთებს გადაიშლის
ამოტვიფრული ოქოს წარწერა...

## ბავშვობა

ჩემი ბავშვობის კენწეროს წვერში,
შემომრჩა ლაღი ბავშვის სიცილი,
გავიზარდე და შემოემატა,
ჩემს ლაღ სიცილსაც ფიქრი ჩივილი.

გაქრა დღეები თეთრად ნახევი,
დადნა ბავშვობა ვაზის ლერწებში
და ნაოფლარი დაღლილი ბავშვის,
აორთქლდა ტყეში, მთაში, ველებში.

გაქრა სპეტაკი სახე ბავშვისა,
გზამ შემომატა მძიმე ღარები,
მოგონებას კი ბავშვობის წლებით
მონატრებული დავეწაფები.



# ქეთი გაჯინაშვილი

## ადამის სკივრი

ზაფხული წასულიყო, მაგრამ ჯერ გვარიანად არ აციებულიყო. ყურძენი უკვე დაეკრიფათ. კარალიოკის ფარდებიც გაბმულიყო აივნებზე. მე შალის მოკლე კაბა მეცვა და თეთრი რეიტუზი, ჩემს რეიტუზს პაწაწინა ყვითელი ფუტკრები ეხატა. ეზოს წინ ლამში გვირაბი გაგვყავდა მე და მარიამს.

– აი თურმე სად ყოფილხართ, პატარა კუდრაჭებო, მე კიდევ ცხრა მთა შემოვიარე თქვენ ძებნაში, – ორღობიდანვე იძახის თედო ძია და შუა შარაზე ჩერდება ხელებგაშლილი. მისკენ მივრბივართ. ის იჩოქება და ჩვენ ყელზე ვეხვევით. ორივეს გვკოცნის შუბლზე, მერე სწორდება, მარიამს ლოყაზე ჩქმეტს და თმას უწეწავს, მე კი ხელში ავყავარ და გულში მიკრავს. მარიამი ისე შემოგვყურებს, მე რომ მასა და მურას თამაშს ვუყურებ. მურა ჩემი ლეკვია, თედო ძია – მარიამის მამა.

თედო ძია ყველაზე კარგი კაცია. ის ერთადერთი უფროსია, რომელსაც ჩვენთან ყოფნა არ სწყინდება და შეუძლია ძალიან ბევრი გვეთამაშოს. ჯიბეებით ყოველთის დააქვს პატარა ტკბილი ბურთულები, ჩვენ ფერად კენჭებს ვეძახით. როდესაც მუხლებზე გვისვამს, პერანგის ჯიბეში ხელებს ვყოფთ და იქ ჩვენთვის საგულდაგულოდ გადანახულ ტკბილეულს ვეძებთ.

– ეს რა ფერია? – ხელში ათამაშებს მწავნე ბურთულას.

– ეს არის მწვანე.

– აბა თუ იცით საიდან მოვიტანე?

– ეეს? ეს მოიტანე ზღვის სანაპიროდან.

– არა, მე წავედი უღრან ტყეში და იქ პატარა მდინარე მოდიოდა, აი ასე დაიკლაკნებოდა და მოჩუხჩუხებდა, – მკერდზე ზიგზაგად დასრიალებენ მისი თითები, მეღუტინება და ვიცინი. ის კიდევ თხრობას აგრძელებს: ჰოდა, მე იმ მდინარეში ჩავდექი და მისი გულიდან ეს დახავსებული ლოდი ამოვათრიე.

– ხავსი რა არის? – ეკითხება მარიამი. თედო ძია გვიხსნის.

ახლა მე ვყოფ თითებს მის ჯიბეში და წითელი ბურთულა ამომაქვს.

– აბა ეს რა არის?

– ეს არის მზე.

– არა, ეს არის ვულკანის შვილი.

– რისი შვილი?

მერე გვიყვება, რომ შორს, ძალიან, ძალიან შორს, არის მთა, რომლის გულშიც უშველებელი ცეცხლი ანთია. და ყვება, როგორ მოჰპარა მთას ცეცხლის ბურთულა.

ამ ბურთულების მეშვეობით ვიცით, რომ არის ოქროს მარცვლებით დაფარული უდაბნო და იმ უდაბნოში არის ოაზისები, ვიცით, რატომ გამოდის ცაზე ცისარტყელა, რატომ წვიმს და როდის არ შეიძლება ზღვაში გასვლა.

თედო ძიამ ყველაფერი იცის. ასე მარტო მე და მარიამი არ ვფიქრობთ. ასე ფიქრობს ყველა. თედო ძიამ წიგნი იცის, ამბობენ უფროსები და ჭკუას ეკითხებიან. და მიუხედვად იმისა, რომ ყველა უფროსს უნდა მასთან დროის გატარება, ის მაინც ცხრა მთასა და ზღვას ჩვენთან მოსასვლელად გადის.

– ჩვენი ბურთულები? – ყვირის მარიამი.

– ჩვენი ბურთულები?! – ავჭყლოპინდები მეც.

– თქვენი ბურთულები! – ამბობს თედო ძია. მიწაზე მსვამს და გულის ჯიბეში ხელს იყოფს, მერე იქიდან ცარიელ ხელს იღებს და გაოცებული ამბობს: აქ არ ყოფილა. უიჰ, მგონი თქვენი ბურთულები სახლში დაგვემალნენ. უყურე, მაგ მაცაცერებს, მოდი წავიდეთ და მოვძებნოთ.

თედო ძია ჩვენ შორის დგება. მის დიდ ხელისგულში ჩვენი პატარა თითები იკარგებიან.

– დედიკო სადაა? – ეკითხება მარიამს.

– დედიკო წავიდა მართას დედასთან, მართას დედამ უნდა პატარა დაიკო ან ძამიკო უყიდოს და დედაც უნდა მიეხმაროს ყიდვაში, – გასხაპული ყვება მარიამი და ორივე ნერწყვს ვყლაპავთ. არ ვამბობთ, მაგრამ ძალიან გვშურს მეტიჩარა მართასი, ჯერ იყო და სულ იმას ამბობდა, მე ქალაქში ვარ ნამყოფიო, იქ ყველაფერი სხვანაირია, ქალაქს რომ ნახავთ გაგიჟდებითო. ახლა კიდევ დაიწყებს მე დედიკომ და მამიკომ ბავშვი მიყიდესო. მართა ჩვენი მეგობარი არაა, ის ხიდს გადაღმა ცხოვრობს და იქამდე მარტოს არასდროს გვიშვებენ. როდესაც მშობლებს მართა ჩვენს უბანში მოჰყავთ, ჩვენ მას არ ვეთამაშებით.

ეზოში გაფანტული ქათმები ჩვენკენ მორბიან, მაგრამ როგორც კი რწმუნდებიან, რომ მათი სახეირო არაფერია, ისევ იფანტებიან და შიშველი მიწის ქექვას განაგრძობენ. თედო ძია კარს აღებს და განზე დგება, რომ ჩვენ ოთახში შევიდეთ. ოთახი ნახევრად მიწაშია და როცა შედიხარ დრო გჭირდება, სიბნელეს თვალი შეაჩვიო. ახლაც ბნელა და მერე ნელ-ნელა იკვეთებიან კედელზე ნაკიდი ფერადი ნაქსოვი ხალიჩა და მასზე მიდგმული ტახტი, ტახტზეც ხალიჩა აფენია, ტახტის თავსა და ბოლოში მუთაქები აწყვია. მეორე კედელთან მაგიდა დგას, მაგიდაზე წითელი კომბოსტოს მწნილი დევს, ჭაჭის არყის ბოთლი თავახდილია, ჭიქაშიც ჩარჩენილია ცოტა არაყი. მყრალი სუნი აქვს, ცხვირს მწვავს. იქვე მუჟუჟია, ნიორწყალში შენახული ღორის ყურები დაუკუწიათ... კუთხეში ნახშირის ღუმელი დგას. და სკივრი. ხის დიდი სკივრი, რომელიც გასაღებით იკეტება. ეს სკივრი, მარიამი ამბობს, რომ ადამის დროინდელია, მაგრამ არ ვიცით, რას ნიშნავს ადამის დროინდელობა.

ის სკივრი ისევ თვალწინ მიდგას, წაბლისფერი, დანუჟრული ხისგან შეკრული, რკინის სალტეებით, და გასაღების ჭუჭრუტანით, სადაც ძალიან ვცდილობთ შეხედვას, მაგრამ იქიდან პირდაღებული სიბნელის მეტი არაფერი გვიმზერდა და მერე ჩვენ ვფიქრობდით რა შეიძლება ყოფილიყო იმ სკივრში და ვერა და ვერ მივდიოდით სწორ დასკვნამდე. ის სკივრი გვიზიდავდა და ამავდროულად გვაშინებდა, თითქოს იქ რაღაც იყო ჩვენთვის ზიანის მომტანი. იმ სახლში კი ზიანის მომტანი მხოლოდ სკივრი არ აღმოჩნდა.

თედომ კიდევ ერთი ჭიქა შეივსო არყით და ბოლომდე დალია, მასაც ის მჟავე სუნი აუვიდა, ჩვენ ცხვირები ავბზუეთ, ის მიყურუბდა და ახლა თვალებში სხვანაირი ჭინკები ჰყავდა.

– ჩვენი ბურთულები სადაა? – პირველად მარიამს მოსწყინდა უსაქმურობა. მე კი ოთახის თვალიერებით ვიყავი გართული.

– ბურთულები შეიძლება დაიმალნენ ტახტის ქვეშ, – ამბობს თედო ძია და მარიამი მუხლებზე დგება. მეც ვიჩოქები და ტახტის ქვეშ შეძვრომას ვცდილობ. იქ მტვერი, ნაქსოვი წინდები, ალუმი-

ნის ჩაიდნის თავსაფარი და აბლაბუდებია და კიდევ თინიოს ხელი. თინიო მარიამის ნაჭრის თოჯინაა, რომელსაც ხელები და ფეხები სძვრება, მერე დედამისი უკერებს და დაათრევს აქეთ-იქით სანამ რომელიმე ხელსა და ფეხს ისევ არ დაკარგავს. თინიო მახინჯი თოჯინაა, ღილებისაგან გაკეთებული თვალები და ნაჭრის ნაკუწებისგან მიკერებული შავი კბილები აქვს. მე თინიო არ მომწონს, მაგრამ მარიამს ამას არ ვეუბნები. მარიამი ჩემი მეგობარია.

– თინიოს ხელი! – განწირული ყვირის მარიამი. ხოხვით გამოდის უკან, ერთიანად მოსვრილია მტვრისგან.

– ჩემი თინიო სადაა? – საყვირივით ირთვება.

– თინიო, – ერთხანს ფიქრობს და მერე საიდუმლოსავით უმხელს თედო ძია, – დედამ წაუღო მართას.

თებრონე სატირლად მოემზადა, მაგრამ გაოცებამ ტირილის უფლება არ მისცა და თავისი დიდი, ლურჯი თვალები კიდევ უფრო გაუდიდდა:

– რატომ წაუყვანა? – სასოწარკვეთილი ეკითხება.

– მართას კი არა მის ახალ დაიკოს თუ ძამიკოს წაუყვანა. ალბათ ეგონა, რომ შენ აღარ გინდოდა თინიო! – და სანამ პირს სატირლად მოაღებდა მარიამი, ნაჩქარევად დაუმატა თედო ძიამ: მგონი სასწრაფოდ უნდა წახვიდე მართასთან და დედიკოს უთხრა, რომ თინიო ისევ შენი საყვარელი თოჯინაა.

– მართასთან?! – ერთდროულად ვყვირით მე და მარიამი.

– დიხაც! შენ უკვე დიდი გოგო ხარ! აბა რა, წადი და მოიყვანე თინიო!

მოსმენილის დაჯერება გვიჭირს და სანამ გადაიფიქრებს თედო ძია და იტყვის გაგეხუმრეთო, გაქცევას ვაპირებთ, მაგრამ თედო ძია ხელს მკიდებს და მაჩერებს.

– არა! შენ არა!

მე ცრემლი მადგება თვალებზე.

– თქვენ ერთად რომ წახვიდეთ, მერე მე კიდევ ცხრა მთა და ცხრა ზღვა უნდა გადავიარო, რომ მოგაგნოთ, რადგან დაკარგვის დიდოსტატები ხართ და თან, სანამ მარიამი და თინიო დაბრუნდებიან, მე და შენ უნდა ბურთულები მოვძებნოთ.

რთული არჩევანია: ჩემი უსაყვარლესი ტკბილი, ფერადი ბურთულების გახსენებაზე ნერწყვი მადგება, მაგრამ მართასთან მარტო წასვლის პერსპექტივაც ძალიან მხიბლავს. სანამ ვმერყეობ, მარიამი უკვე ეზოდან გადის და გადაწყვეტილების მიღებას მიმარტივებს.

თედო კარს ხურავს, მერე სკამზე ჯდება, კიდევ ერთ ჭიქას ივსებს არყით და თავისთან მიხმობს. მუხლზე მისვამს და მეუბნება.

– ეს როგორი ფუტკრები გყოლია, არ გკბენენ?

– არა! – ვაქნევ თავს.

– არც მე მიკბენენ? – მეკითხება და ცხვირს ადებს ჩემს წვივებზე მიმოფანტულ ფუტკრებს.

– უიიჰ! ვაი, ვაი! მიკბინეს! მიკბინეს! – ყვირის და ცხვირზე ივლებს ხელს. მე ვიცინი. თავადაც ეცინება.

– ძალიან ცუდი ფუტკრები გყავს, ახლა მე უნდა გადავუხადო სამაგიერო და ვუკბინო! – იმუქრება და კბილებს ძლივს შესამჩნევად მადებს ფეხზე. მერე ნელ-ნელა მაღლა ამოდის და მუხლისთავებს სცდება.

– სანამ მე შენს ფუტკრებს შევებრძოლები, შენ მგონი ბურთულები უნდა იპოვო! – მისი ხმა შორიდან მოდის და შიშის ქარები მოჰყვება.

ჩემს თითებს შარვლის ჯიბეზე იდებს. ხელისგულს უცნობი საგანი ხვდება. მე მუხლებიდან ვხტები და მის ფეხებს შორის ვექცები. ჯიბიდან ჯერ რუხი ფერის ცხვირსახოცი ამომაქვს, მერე – საფულე.

– აქ არაა, – ვამბობ გულდაწყვეტილი. ახლა მეორე ჯიბისკენ მიაქვს ჩემი ხელი. ჯიბეზე ზემოდან ვატყაპუნებ თითებს. არაფერია. ჩემს ხელს თავის ძლიერ მუჭში იქცევს. მგონი თედო ძიას სცივა, მისი ხელისგული თრთის. მე მას შევყურებ, თვალს მარიდებს და კიდევ უფრო ათრთოლებული ხელით ჩემი თითები ახლა მისი შარვლის ჯიბეებს შორის ექცევა. შარვლის ქვეშ რაღაცაა, ის ცოცხალია, მოძრაობს. მეშინია და ხელის გათავისუფებას ვცდილობ. არ მიშვებს. ახლა ჩემს თითებს შორის არის რაღაც, რაც თითქოს სუნთავს. ის ჩემს ხელში თითქოს ძალას იკრეფს, კიდევ უფრო იზრდება, მყარდება. თედო კი თვალებს ხუჭავს, უცნაურად სუნთქვას და ჩურჩულებს: კარგი გოგო ხარ, კარგი გოგო ხარ!

მერე ხელში ავყავარ და კალთაში მისვამს, სახით მისკენ. ახლა ჩემს ფეხებს შორის ტოკავს რაღაც, რაც მის შარვლში ჩამძრვალა და მაშინებს. ერთი ხელი ჩემს წელზე აქვს მოხვეული და გულში მიკრავს. არყის მძიმე სუნს ვგრძნობ და აქედან წასვლა მინდა. აქ ყოფნა არ მინდა. თედო ძია იხრება და მკოცნის ჯერ თავზე, მერე თვალებზე, თმას მქაჩავს და მაიძულებს თავი უკან გადავწიო და ახლა ჩემს ტუჩებს ეხება მისი უხეში ულვაშები. რომელიღაც უხილავი ცოდნით ვიცი, რომ აქ რაღაც ძალიან ცუდი ხდება, რაღაც ისეთი, რაც არ შეიძლება ხდებოდეს. რა არ შეიძლება ამის შესახებ მშობლები ხშირად მაფრთხილებენ: არ შეიძლება უფროსებთან შეპასუხება; არ შეიძლება ხელდაუბანლად ჭამა; არ შეიძლება სხვისი ნივთების დაუკითხავად აღება; არ შეიძლება მდინარესთან ახლოს მისვლა... უსასრულოდ დიდი სიაა. იმ გრძელ ჩამონათვალში არაფერია ნათქვამი იმაზე, რაც ახლა ხდება. მაგრამ მთელი ჩემი ბავშვური არსებით ვიცი, რომ ყველა აკრძალვაზე დიდი აკრძალვა სჭირდება იმ წითელ ხაზთან მიახლოებას, რომელიც ახლა გადმოლახეს. როდესაც თედო ძიას ენა ჩემს პატარ პირში ძვრება და არყისა და თამბაქოს მძიმე სუნი შემოაქვს, ხელის ცეცებით ვპოულობ ჭიქას, რომელშიც ჯერ ისევ არაყი ასხია და თავში ვურტყამ. ჭიქა ტყდება, ნამსხვრევები ხელისგულში მესობა და სისხლი მომდის. ყვირილი მინდა, მაგრამ ხმა აღარ მაქვს. სამაგიეროდ თედო ძია ღრიალებს და ხელს მიშვებს. მისი თითები ინსტიქტურად ეძებენ თავზე ატკიებულ ადგილს. სანამ გონს მოდის, გავრბივარ. ხელისგულში მინის ნარჩენები მაქვს და სისხლი მდის, მგონია, რომ ვკვდები. მაგრამ სისხლზე მეტად უხილავი მდევარი მაშინებს. მეჩვენება, რომ თედო ძიამ ადამის სკივრს თავი ახადა და ურჩხულები გამოუშვა ჩემს შესაჭმელად. უკან მიხედებას ვერ ვბედავ. გავრბივარ და საკუთარი გულისცემა მისწრებს.

გონებას ჭიშკართან ვკარგავ. რამდენიმე დღის განმავლობაში ვიწვი სიცხით. ვბოდავ. როდესაც უკეთ ვხდები, მახსენდება ყველაფერი, რაც მოხდა და დედას ვუყვები. დედა ჯერ მანდილის კუთხეს იფარებს პირზე, რათა მკერდიდან ამომსკდარი ღრიალი ჩაახშოს. ერთ ხანს დგას ისე, თითქოს ქვის სვეტად ქცეულიყოს, მერე კარისკენ აპარებს თვალს. არავინაა. მაინც მიდის და ქურდულად იხედება ეზოში, მიდამოს ზვერავს. ჩემი საუბარი არავის გაუგონია. როდესაც ჩემკენ ბრუნდება, ისეთი ცივი და მრისხანე სახე აქვს, თითქოს მასში სხვა სული ჩასახლებულა. მიახლოვდება, საწოლზე ჯდება, ჩემკენ იხრება და ჩურჩულებს:

– რაც თქვი, არ მომხდარა, როცა მაღალი სიცხე გქონდა, მაშინ დაგესიზმრა. იცის სიცხემ ცუდი სიზმრები.

– არ დამსიზმრებია! არაფერი დამსიზმრებია! ყველაფერი მახსოვს! უფრო ცხადია იყო, ვიდრე შენ ხარ.

– რასაც ამბობ, ძალიან სამარცხვინოა, არასოდეს გაიმეორო! არასოდეს არსად თქვა, დაივიწყე!

– არ შემიძლია, თვალებს რომ ვხუჭავ, ვხედავ და მეშინია.

– მისმინე! – ფეხზე დგება, წელში იმართება. ახლა მის თვალებს შავი ჩრდილები ეფინება, ისეთი მრისხანეა, მე საწოლში ვპატარავდები, – კარგ ბავშვებს ეგეთი რაღაცები არ ესიზმრებათ! შენ ვის

გავხარ?! თავს ლაფი გინდა დაგვასხა? ოჯახი გინდა შეარცხვინო? ეგ რომ ვინმემ გაიგოს, უბედურება დატრიალდება. თავს ვერ გამოვყოფთ ქვეყანზე! გაფრთხილებ, ენას ამოგაცლი ჩემი ხელით, ეგ სისულელე კიდევ რომ გაიმეორო!

საბნის ქვეშ ვძვრებ და ვტირი. ვგრძნობ გულს, რომელიც მტკივა. ძალიან მწყინს, რომ დედას ჩემი არ სჯერა. მინდა, ცუდი ბავშვი არ ვეგონო, რომელსაც ასეთი სამარცხვინო რაღაცები ესიზმრება და იცოდეს, რომ მე სულ კურდღლები და ჩიტები მესიზმრებოდა მანამდე, სანამ ის არ მოხდებოდა, რაც მოხდა. მინდა იცოდეს, რომ თედო ძიას თუთუნისა და არყის სუნს ვგრძნობ და მისი გახშირებული სუნთქვა მესმის. მისი ნაბიჯები თითქოს სულ უფრო ცხადი ხდება და მეშინია. იცოდეს, რომ მე ვეღარ ვხედავ სიზმრებს, რადგან თვალგახელილი ძილი ვისწავლე, უსიზმრო ძილი.

დიდხანს, ძალიან დიდხანს ვდარდობდი, რომ დედას არ გადავეყვარებინე, რადგან მატყუარა ბავშვები არავის უყვარს. ვდარდობდი დიდხანს, სანამ წლები არ ჩაიმარცვლა და ერთ დღეს არ შევასწარი თვალი, როგორ უყურებდა თედოს დედაჩემი. სანამ მისი ბრაზითა და ზიზღით სავსე მზერა არ დავინახე და არ მივხვდი: რომ დედას ჩემს არც ერთ სიტყვაში ეჭვი არ შეჰპარვია...

და იმ ღამეს, წლების შემდეგ პირველად ვნახე სიზმარი: მესიზმრა თედოს სკივრი. ადამის დროინდელი სკივრი, რკინის სალტეებით. მე ისევ დაჩოქილი ვიყავი მის წინ და გასაღების ჭუჭრუტანაში შეხედვას ვცდილობდი, ჯერ ბნელი ღამე ჩანდა, მერე კი ნელ-ნელა შევაჩვიე სიბნელეს თვალი და დედაჩემის ლანდი ამოიმართა, ჩემი სახლი გამოჩნდა, ჩემი სოფელი, ჩემი ქვეყანა...

## დეკნა

დეკნა ერთი გვერდებამოყრილი, ბებერი და ბერწი ძროხა იყო. გორაზე რომ მიტუა ცხოვრობს, იმისგან იყიდა პაპაჩემმა. არ გამემეტებოდა, მაგრამ რა ვქნა, გოგო მინდა გავუშვა ქალაქშიო, აფთიაქის ამბების სწავლა უნდა, წამლების დამზადება და რამეო. აბა, კაცო, გამოსადეგი ხელობაა, ეს ჯანი აღარ გვერჩის და მოგვხედოს იქნებ მერე ბებრებსო. ეს ამბავი თორემ ვინ მამაძაღლი გაყიდდა, ოჯახის წევრივით გვიყვარსო. ახლა არ იკითხავ როგორი ღალიანი რძე აქვს, მაგისი რძე-მაწვნით გაგვქონდა თავიო.

ეს ძროხა კიდევ ერთი გამოშტერებული რამე გამოდგა, სახლის გზა-კვალი ვერ იქნა და ვერ დაიხსომა. ყოველ საღამოს დაადებდა თავს და მიადგებოდა მიტუას, აიტუზებოდა ჭიშკართან და აბღავლდებოდა. მიტუა ერთი-ორს მოუთათუნებდა გამხმარ ფერდებზე ხელს და გამოიგდებდა წინ. აჰა, მოგგვარეთ თქვენი ქალბატონიო. იჰ, ქა როგორ მოიყვანე, ვერა ხედავ იჩოქება იმხელა ჯიქანს მოათრევს, რძეს ვეღარ ერევაო. წაჰკბენდა ხოლმე ბებიაჩემი, მიტუა კიდევ, ჰა, ჰა, ჰა, ჰაო, გადაიროხროხებდა და ზურგს გვაქცევდა.

ბერწად დარჩა. დაიცა, ქალო, ზოგმა აგრე იცის, არც გაშრება და უცბათ მოგადგება მინდვრიდან ხბოსთან ერთადო, ანუგეშებდა პაპაჩემი, რომელიც არ იყო და არ უტყდებოდა თავს, რომ მოატყუეს. ერთი მე გავაგორებ გაზაფხულზე ტყუპ ქალ-ვაჟს და მეორე მაგის ხბორებით აშენდებიო, ქოქოლას მიაყრიდა ბებიაჩემი და მოჰყვებოდა ვაი უშველებს, როგორ მთელი ქვეყანა ჩვენ გვატყუებს და ჭკუა მაინც ვერ იქნა და ვერ ვისწავლეთ.

ჩარექა რძეს ძლივს იწველიდა, იყო ერთი გაქუცული ყავისფერი ძროხა. დადიოდა და თავის დიდრონ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. იფიქრებდი, ეს-ესაა უნდა გადაიჩეხოსო. რძე კიდევ, გინდ წყალი დაგელიოს და გინდ ეგო. არც ცხიმი აქვს და არც არაფრის ნოყიერობაო, ყოველ ცისმარეს ილანძღებოდა ბებიაჩემი. უნდა მოიყვანო და თავი ჩააყოფინო ამ ცარიელ ქეთლშიო, იმუქრებოდა მიტოზე.

მიტო კიდევ ბოლო დროს სულ უფრო დიდხანს ეფერებოდა დეკნას, სულ უფრო ნელი ნაბიჯით ჩამოჰყავდა გორიდან და ფეხათრებული მოჰყვებოდა უკან. რა ღმერთი უწყრება ამ სამგლეს, რით ვერ დაივიწყა შენი გზა და კვალიო, უთხრა პაპამ ერთ საღამოს. არ უნდა გამეყიდაო, ძალიან შევცდიო. ერთი ამას დამიხედეთ, ე ბეხრეკი ძროხა შემოგვატყუა და კიდეც რომ ნანობს თითქოსო, ნეტა რა შავ ჭირად მჭირდებოდა, დასამარხი საკუთარი თავიც მეყოფაო. არა, კაცო, იმის ნაცვლად მადლობას იხდიდეს, მომაშორეო, კიდეც იყვედრებაო, არა და არ ცხრებოდა ბებიაჩემი. დეკნა მაინც ყველ დღე მიტოსკენ გარბოდა და მიტოც ყოველ ჯერზე სულ უფრო და უფრო უკიდებდა ცეცხლს, აბა ამისი გამეტება როგორ შეიძლებოდაო, გაჭირვებას რა ვუთხარიო, გავბრიყვდიო, მოჰყვებოდა და მოჰყვებოდა, თითქოს ბებიაჩემის მოთმინებას სცდიდა და მისი თავშეკავებაც ქვიშის საათივით იმარცვლებოდა და ვინ იცის რითი დამთავრდებოდა, დეკემბრის ერთ დილას წყაროს დაღმართზე ავტობუსის მძღოლისთვის მუხრუჭებს რომ არ ემუხთლა.

მთელი საღამო წვიმდა, მერე ღამე ისე დააჭირა ყინვამ ძვალსა და რბილში ერთიანად ატანდა, განთიადის პირს კი გათოვდა. მძღოლს ჯერ კიდევ გამოუძინებელი მგზავრები მიჰყავდა ქალაქისაკენ, როცა ლოთმა გოგიამ, სოფლის მენახირემ, გზაზე გადმორეკა საქონელი. დანახვით კი დაინახა, მაგრამ ყინულზე მუხრუჭებმა დროზე ვერ გააჩერა ავტობუსი, მოცურდა და ძროხებიც ქვეშ მოიყოლა. პირუტყვს ვინ ჩიოდა და მადლობა ღმერთს, ადამიანები გადარჩნენ. ადამიანები გადარჩნენ, დეკნა – ვერა. სულთმობრძავი იყოო, პაპამ და მაგის საცოდაობით აღარ ვიყავი, გამოვუსვიო ყელში დანა. ურიკით მოიტანა დეკნა და კაკლის ხეზე დაკიდა ჩამოსატყავებლად.

– რასა შვრები, კაცოო, ადამიანი არა ხარო, მაგას რას აკეთებო, – ყვირილით მორბოდა თავდაღმართში მიტუა, ფეხი უცურდებოდა, იქცეოდა, გაჭირვებით დგებოდა და ისევ მორბოდა. მორბოდა და ყვიროდა. ხმა ჯერ ძალიან შორი და ბუნდოვანი იყო, მიტუა არააო, ქა, თქვა ბებიაჩემმა და დოინჯით ჩადგა კარში. მერე და მერე აქოშინებულმა მიტომ სულ უფრო უმატა ხმას, ყვიროდა და ყვიროდა. მაგისი ხმა მთელ სოფელს ესმოდა. ადამიანები არ ყოფიხართო, ხალხი არ ყოფილხართო, ეს რა გიქნიათო.

პაპაჩემი წყნარი კაცი იყო, ითმენდა და ითმენდა, ითმენდა, ითმენდა და ბრაზდებოდა. და როცა ბრაზრდებოდა, მტრისას. მერე ამ მიტუას სულ დაავიწყდა დაღლილი რომ იყო, აღმართზე აღარც ფეხი უსხლტებოდა და არც რა, ისე აათავა გორა, ერთი არ შეუსვენია. შევარდა ჭიშკარში და კარიც გადარაზა. პაპაჩემი კი დეკნას სისხლით გასვრილი ბებუთით იდგა და იმუქრებოდა.

ამ ამბიდან ორი კვირა ისე გავიდა, მიტუა სათოფეზე აღარ გაგვკარებია. ერთი საღამოც არი და მოგვადგა, დარცხვენილი, გამტკნარებული სახით, ჯოხი კართან მიაყუდა, ზედვე დაკიდა დათოვლილი ქურთუკი და ოთახში თავჩაღუნილი შემოვიდა. გავარვარებულ ღუმელს მიეფიცხა. თავი არ აუწევია ერთ ხანს საკუთარ დაკოჟრილ ხელებს დასჩერებოდა. პაპაჩემმა გაბრაზება კი იცოდა, მაგრამ მალევე გადაიყრიდა ხოლმე გულიდან ჯავრს და არასდროს არავიზე ბოღმას არ გაიჩერებდა. რას დაყუდებულხარ კაცო კარში, შემოდი და აგერ ჩამოჯექიო, მიუთითა სკამზე. ჩამოჯდა. დუმდა. პაპაჩემს ულვაშებში ეღიმებოდა. ჰა, ქალო, მიდი აბაო, დატრიალდიო. ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ, შენ თუ არ მითხარ, ჩემით ვერ მოვისაზრებ, შენმა მზემაო. ბებიაჩემს უკვე გადაეფარებინა მაგიდისთვის ცისფერი სუფრა, მჟავე გამოეტანა, ყველი ამოეღო წათხიდან, ე პური სულ გამხმარაო, ღუმელზე დაედო გასათბობად.

მიუსხდნენ მაგიდას და ღმერთი ახსენეს. ამ მთისა თქვეს და იმ მთისა. მიტუა კიდევ იჯდა ისე, თითქოს აქ არ იყო, თითქოს სადღაც სხვა ფიქრს წაეღო და იმ ფიქრის გამოსათქმელად სიტყვებისათვის ვერ იქნა და ვერ მიეგნო. მერე თავი ასწია, ჯიქურ შეაჩერდა სახეში პაპაჩემს და უთხრა: შევცდი, დედიჩემისა ვჭამე, არ უნდა გამეყიდაო. შენ კიდევ მანდა ხან, კაცოო, – გაეცინა პაპას.

შე კაი კაცო რას გვემართლები მოხვედი და გვითხარ, ძროხას ვყიდიო, ასეთიაო, ღალიანიო, ესაო ისაო, სულაც არ მქონდა მე ძროხის თავი და ვიყიდე, შემოგევაჭრე თუ რა, რაც დააფასე შემოგაძლიე, მოვტყუვდი: ბებერი და უვარგისი იყო ის ძროხა და ხმაც არ ამომიღია, ღმერთს შეხედე და ისე თქვი, ერთი საყვადური თუ დამცდენია. მერე იყო და... აქეთ მედავები, კაცო, ამხელა ზარალი მე ვნახე, – გაცხარდა ბებიაჩემი და არ იყო და აღარ ჩერდებოდა. მიტუას კიდევ თავი ჩაეღუნა და ისე აქნევდა, თითქოს არა და არა, მე სხვა რამეს ვამბობო. რაღას მისტირი, ადამიანები გვადნებიან ხელში და ცალად ვრჩებით და შენ კიდევ ძროხა და ძროხაო, – დაუყვავა პაპამ და საუბრისთვის მიმართულების შეცვლას აპირებდა, მაგრამ ყური არ ათხოვა მიტუამ, არაო, თქვენ არაფერი იცითო. არ უნდა გამეყიდაო. გყოლოდა მერეო, ვინ მამაცხონებულმა დაგაძალაო, ვინ გაიძულაო, ნეტავ ხელი გამხმობოდა და ეგ ძროხა არ მეყიდაო.

ერთ ხანს სამივე დამდურებულები ისხდნენ, მერე მიტუა ადგა, ღმერთი, ხატიო. გადაჰკრა, პურის ლუკმა მიატანა და კარისკენ წავიდა. სანამ გავიდოდა, შემობრუნდა და ბებიაჩემს მიაჩერა გამოღამებული თვალები: რამდენი ხანი იყოლიე შენ ჩემი დეკნა, წელიწადზე მეტი იქნებოდა არაო?! ჰოდა, ერთი დღეც არ ყოფილა, საღამოს ჩემკენ რომ არ გამოეწია, მომადგებოდა ის უბედური და ბღაოდა, თითქოს მთხოვდა კარი გამიღეო, თავის ბაგაზე დაბმას ითხოვდა... მკვდარი სიჩუმე იდგა, მხოლოდ ღუმელში ტკაცუნობდა ცეცხლი. ქურთუკი მოისხა, ჯოხი მოიმარჯვა – ღამეში თოვლიანი გზის მეგზური და ისე დაამატა, არც შემობრუნებულა: – ჩემი ქალი კიდევ... წავიდა ქალაქს და თითქოს უკან გზა წაიშალა, ვერ იქნა და ვეღარ მომაგნო.

თოვდა. შეშა ხმაურით იწვოდა. თვალდახუჭულები ვიწექით და სუნთქვას ვიკავებდით, თითქოს მიტომ წაიყოლა ძილი. დაგვათენდა. მიტუა იმ ღამეს ხიდიდან გადავარდნილიყო, გათენებისას იპოვა მენახირე გოგიამ.

– არ უნდა გვეყიდა! – თქვა პაპაჩემმა.

– ვინ დამიჯერა?! – თქვა ბებიაჩემმა და თავშლის კუთხით ჩუმად მოიწმინდა ცრემლი.

უვარგისი ძროხა იყო დეკნა, გამხდარი, გადაღრძოვებული, ბერწი იყო და ერთ ჩარექა წყალივით რძეს ძლივს იძლეოდა. ყავისფერი, გაქუცული ძროხა იყო, ფერდებჩავრდნილი, დიდთვალება, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაივიწყა თავისი სახლის გზა და კვალი.

## მანძილი

მაგრად გავაბრიყვე. 18,5%-ით ავწიე ფასი. ასფალტისფერი დაედო, ხელს რომ აწერდა, ისე უთრთოდა თითები, რაღაც მომენტში შემეცოდა კიდევაც, მერე ჩემი სოლიდური დანამატი გამახსენდა და საკუთარი თავით კმაყოფილება ვიგრძენი. მთელი დღე მოლოცვები და ამბები, ბოლო დროს საქმე ცუდად მიდის, კარგა ხანია ასეთი „მსხვილი“ კლიენტი არ გვყოლია.

გვიან ჩამეძინა. პატარა გოგო მესიზმრა. მირბოდა, ვიღაცას მისდევდა თითქოს და ვერ ეწეოდა. მიწიანი გზა იყო, ცხელი, მზისგან გამომშრალი, ამტვერებული. ფეხსაცმელი გასძვრა. შეჩერდა. ჩაცმაში დროის დახარჯვა დაეწანა. ხელი დაავლო თავის სანდლებს და ახლა ასე გარბოდა. მისი პატარა ნაფეხურები მტვრის კვალს ტოვებდა. სადღაც შორს კი ბავშვები იცინოდნენ. დასცინოდნენ. გოგონას ეტირებოდა, სიმწრისგან ქვედა ტუჩს იკვნეტდა და გარბოდა, გარბოდა თავდაუზოგავად.

სევდა მოიტანა სიზმარმა. მთელი დილა ვფიქრობდი იმ ბავშვზე, ვიღაცას გავდა, ვიღაცას საოცრად გავდა. ვერაფრით გავიხსენე. დილით სადარბაზოში მარინა დეიდა შემხვდა, შვილიშვილთან ერთად იყო, ცხელი შოთი მოჰქონდა, ბავშვს ყუა წაეტეხა პურისთვის და გემრიელად შეექცეოდა. წუხანდელი სიზმარი გამახსენდა, ის გოგო გამახსენდა...

ხუთი წლის ძლივს ვიქნები. ბებიასთან ვართ. აგვისტოა. „ჯერ არ გათენებულია და ბუღი ასდის მიწას“, – ბუზღუნებს ბებიაჩემი და სადილს ამზადებს. საშაქრიდან ხურდებს კრეფს და ნიკას უწვდის.

– წადით, შვილო, პური ამოიტანეთ.

ნიკა და ნუცა ნაჩქარევად იცვამენ ფეხზე. მეც უკან მივყვები.

– შენ სად მოდიხარ? – მიბღვერს ნუცა.

– პურზე.

– შენ პატარა ხარ, ვერ ივლი! – მეუბნება და თავის მწვანე თვალებს მიბრიალებს. არა და რა პატარა, სულ რაღაც ერთი წლით არის ჩემზე უფროსი, მაგრამ თავი დიდი ვინმე ჰგონია.

– არ გრცხვენიათ? – უჯავრდება ბებიაჩემი, – წაიყვანეთ ბავშვიც. ოღონდ ფრთხილად, ხელი მოჰკიდეთ.

არც ერთს ხიბლავს ჩემი წაყვანის პერსპექტივდა. სანამ თვალს მივეფარებით აქეთ-იქიდან ხელი აქვთ ჩაკიდული. ბებიაჩემის მხედველობის არეალს ვცდებით თუ არა, ხელს მიშვებენ და გარბიან. ვეხვეწები დამელოდონ. ხომ გითხარით, პატარა ხარ და ვერ ივლი-მეთქი, – მაჯავრებს ნუცა და ნიკასაც აქეზებს, რომ გაიქცნენ. ფეხდაფეხ მივყვები, არაფერი პატარაც არ ვარ. ვცდილობ, არ ჩამოვრჩე.

თონესთან რიგია.

– მოდით, ბავშვებო, მოდით, შვილო, – გვამჩნევს მეპურე და ხელს გვიქნევს. მაღალი კაცია, მსხვილი კისერი აქვს, თეთრი მაისური აცვია, თეთრი ქუდი ახურავს. ოფლით აქვს შუბლი დაცვარული.

– ვისები ხართ, კუდრაჭებო? – გვეკითხება, სანამ პურს მოგვაწვდის.

– მარგოსები.

– უჰ, ოქროს ქალია, ოქროს ქალი.

პურს ნიკა ართმევს. ხურდას – ნუცა. 15 თეთრი გვერგება. ალბათ სიცხის ბრალია ან რიგში მოუთმენლად მდგარი მშიერი ხალხის, სათვალავი ერევა მცხობელს და 25 თეთრს გვიბრუნებს.

– ჩქარა, გავიქცეთ, – გვეუბნება ნუცა და ხელს შლის. ხელისგულზე ხურდები უყრია. გარბიან. მეც მივყვები და ვეხვეწები, რომ დავაბრუნოთ ფული. მცხობელი კარგი კაცი იყო და ჩვენ ვერ მოვატყუებთ.

ჩემი ერთი სიტყვაც არ ესმით. გარბიან და იცინიან, ისე უხარიათ, თითქოს მთელი სამყარო ჩაიგდეს ხელში. მე ფეხსაცმელი მძვრება. სანამ ჩავიცვამ, საგრძნობლად გამასწრებენ და მეშინია, გზა რომ ამერიოს. ფეხსაცმელს ვიღებ და ფეხშიშველა გავრბივარ. მიწა ცხელია და ქვიანი. ფეხისგულები მეწვის. მეტირება.

მალხაზას მაღაზიაში ერთ ჭიქა მზესუმზირას ყიდულობენ. გაყვითლებული გაზეთის კონვერტში უყრის დამწვარი მზესუმზირის მარცვლებს, ერთი არყის ჭიქა და კიდევ სამ თითს რაც ამოჰყვება. პროტესტის ნიშნად არ ვჭამ. მათთვის ეს ყველაზე გემრიელი მზესუმზირაა, პატარა თავგადასავალი, პატარა „თაღლითობა“. ჩემთვის იმედგაცრუებული მცხობელი, რომელიც აღარასდროს მიჰყიდის ბავშვს პურს ურიგოდ...

ლიფტის ჩაჟანგებულ და დამტვრეულ სარკეში საკუთარ გამოსახულებას ვათვალიერებ. ახლა ჩემსა და იმ ბავშვს შორის მანძილი 30 წელია. მე წინ მივდივარ, გრძელი, სწრაფი ნაბიჯებით, უკანმოუხედავად. ის გოგო კი ისევ მორბის, წვიმასა და ქარში, თოვლსა და აგვისტოს ხვატში. ფეხსაცმელი ისევ ეხდება და ფეხისგულები სტკივა, მორბის და ცრემლს გაჭირვებით იკავებს. მორბის და ვერ მეწევა... ალბათ ველარც დამეწევა.

# ჩურჩხელებისთვის

გუშინ გავიღვიძე და ვიგრძენი, რაღაც კარგად ვერა ვარ. კისრის ძარღვები მაქვს დაჭიმული, იტყვი უნდა დაგასკდეს, მარცხენა ყურის უკან, ხელისგულისოდელა ადგილი მეწვის, სიცოცხლეს მიმწარებს. თვალებიდანაც თითქოს ველარ ვიხედები ადამიანურად. ეს სკამი კიდევა, ჩემსავით გაწყალებული კაბა რომ ჰკიდია, რამდენჯერაც ხელი გავიწვიდინე, იმდენჯერ, თითქოს ჩემგან გარბისო, მშორდება და ხელებს ვაფათურებ, რომ როგორმე წავეტანო. გაჭირვებით გადავიცვი ჩითის პერანგზევე და წამოდგომა ვცადე, მაგრამ საქმეში ხარ? გონება მეთიშება თითქო, თავბრუ მესხმის.

ტუალეტში მინდა გასვლა, ეს ოხერი კიდევ მამიჩემის მამასთან არი, რა მივა ახლა იქმადინ? სულ ბრაცა-ბრუცი გამიდის. ვფიქრობ, ქა, შევიდე და ტუალეტში გამძვრეს სული? რა ვახტანგა, ის ცხონებეული, ეგრე არ იყო? მთასავით კაცი შევიდა და ბრახ, წამიც არ დასჭირდა მის გათავებას. არა, ათასი ტანჯვა და უბედურება გამივლია და მაკმარე ღმერთო, ეს სირცხვილი აღარ მაჭამო. ახლა იმასაც ვფიქრობ, არ შევიდე და უარესი შერცხვენა არ იქნება, აეგრე ზეზეულად რო... უიმე, უწინამც მზე დამიბნელდეს, ვიდრე ეგრე დამიდგეს საქმე.

რის ვაი-ვაგლახით გამოვედი, თავი მტკივა ისე, ეგაა და გამისკდება-მეთქი, დაწოლისა და თვალების დახუჭვის მეტი არა მინდა, მაგრამ ვაი და მართლა ფეხებსა ვფშიკავ, გამოცვლილი მაინც მქონდეს... იჰ, კოხტა-პრუწაობის თავი არა მაქვს, რაც იქნება, იყოს. ვწვები, თვალებს ვხუჭავ თავბრუს ხვევა და ეს ოხერი გულის რევის შეგრძნება ცოტა კი ყუჩდება. საკუთარ ტკივილებს ვუსმენ. რაც მეტად ვფიქრობ, ესა მტკივა და ესე ცუდადა ვარ-მეთქი, მით მეტად მიახლოვდება შიში, საბანსა სწევს და ჩემს დაძარღვულ და დაჩამიჩებულ ფეხებს ეტმასნება და ზემოთ-ზემოთ მოცოცავს. ხელის ცეცებით ვპოულობ სკამზე წუხელ დატოვებულ ნახევარ ადელფანს და ენის ქვეშ ვიდებ. წამალს ნერწყვი შლის და პირში მწკლარტე გემოს მიტოვებს. და სანამ ჩემს ტკივილებს ვზვერავ, ხსოვნას ცარილი ნიჟარებივით ნაპირზე გამოაქვს მარიამის სახება.

მარიამი ჩვენთან პირველად რომ გამოჩნდა, მე უკვე 4 შვილის დედა ვიყავი და ბავშვები სკოლაშიც მყავდა გაგაზავნილი. სონიას ფარდული ინათხოვრა. ჯერ ახლა რა და მაშინ მით უფრო ამრეზით უყურებდა ხალხი მარტოხელა ქალებს, მაგრამ მერე და მერე დაამტკიცა, რა ქალიც იყო, რა დედა, რა ადამიანი. მან კი არ დაამტკიცა, დრომ თავად გახადა ცხადი, თორემ თავად ისე იყო, თითქოს ეს სამყარო და მისი ავან-ჩავანი მთლად უმნიშვნელო ყოფილიყოს, ცხოვრობდა და იბრძოდა, არავისთვის არაფრის ახსნის არც სურვილი ემჩნეოდა და არც გული ჰქონდა.

17-18 წლისა ძლივს იქნებოდა, ჩაცვენილი თვალები ჰქონდა, ისეთი ღრმა და მეტყველი, მრავალგზის გამობრძმედილი ადამიანი გეგონებოდა, მუცელი საგრძნობლად დასტყობოდა. აღარ მახსოვს მე რა ვთქვი მაშინ, მაგრამ ალბათ მეც კი ვიტყოდი რასმეს, ენა რას დადგება, ასეთები ვიყავით, ასეთები ვართ ადამიანები, სხვაზე სათქმელი მოგვცას კაცმა და რაღა დაგვაყენებს. ერთი ხანობა იყო და აყაყანდა ხალხი, ისაო, შეეკავებინა თავიო და არ დასჭირდებოდა ასე უცხოობაში თავის შეფარებაო, აესე უპატრონოდ არ ეგდებოდაო. „სხვა სხვისა ომსა ბრძენიაო“, მაგაზე მართალი არ თქმულა ამ მზიან ქვეყანაზე. ჰოდა, ჭკუის მასწავლებლებს რა გამოლევს და კიდევ იმათ ვირი სულ რომ მზად ჰყავთ, ოღონდ კი ვინმე გამოიჭირონ და უკუღმა შესმული ჩაატარონ თემ-შარაზე, მაგრამ ამებზე სხვა დროს იყოს, მარიამისას ვამბობდი.

ბევრი არაფერი უთქვამს, მაგრამ კლასიკური ამბავი იქნებოდა მარიამთანაც: სიყვარული, თავდავიწყება, პირობა ქორწინებაზე, დიდხანს და ბედნიერად ცხოვრებაზე და ლაჩქრობა, მოვალეობის აღების შიში და გაქცევა. ვინ იყო და როგორ იყო, ხმა კრინტი არ დაუძრავს, სიყვარული რო

იყო, იმაზე შეატყობდი, ერთი ავი არ დასცდენია, ერთი საყვადური, ერთი წყევლა. ის კი თქვა, მამაჩემი და ჩემი ძმები ნაკუწებად ამქნიდნენ, ასე სჯობდა ყველასთვის. ისინიც მშვიდად არიან, რომ ცოდვას ასცილდნენ და მეც გავაგრძელებ ჩემს დაძონძილ და გასაცოდავებულ ცხოვრებასო. გამოქცეულა და შერცხვენილი არც არავის უძებნია და არც არავის მონაკლისებია ალბათ, თორემ ამ მუჭისოდელა ხალხში ერთი გოგოს პოვნას რა ედგა წინ.

სონიას ფარდული კიდევ ერთი ფარღალალა იყო, ძველ დროს აქ ბზეს ინახავდნენ, მერე ათასი ხარა-ხურა ჰქონდა შეყრილი. გამოასუფთავა, სულ კრიალი დააწყებინა, როგორც ფარდულის გაკრიალება შეიძლებოდა, მაგრამ ქარი კი შედიოდა და დანავარდობდა თავის გამოზე. წესიერი ქვეშაგები იმას არ ჰქონდა, ვინ იცის რამდენი ეშიმშილა, დარდსა და ვარამს ხომ ნუღარ იტყვი, მის გამიტკლებულ სახეს ეწერა ყველაფერი, რაც გაევლო და რასაც ახლა გადიოდა.

კარი-კარ დაიარა, სამუშაო ხომ არავის გაქვთო. საჭმლის სანაცვლოდ მოგეხმარებით, ფული არ მინდაო. ახლა სულ ეშმაკის პირიდან გადმოვარდნილი რომ ყოფილიყო, მშიერს როგორ დავტოვებდით, მაგრამ სამოწყალო არ ქნა და არ ინდომა, სამუშაო კიდე, ნეტა რა სამუშაო იყო, სული კბილით გვეჭირა. მაინც გამოიჩხრიკა რაღაც, ვის სიმინდი გამოუჩნდა დასაჩენჩი, ვის სარეცხის რეცხვაში დასჭირდა ხელის წაკვრა, ვის ბავშვების დამტოვებელი სჭირდებოდა. არც რა იცოდა, ეტყობოდა მის სანთლისფერ თითებს, ცხოვრებაში არც რა ეკეთებინა, მაგრამ არაფერს თაკილობდა, გვაკვირდებოდა და სწავლობდა. შრომობდა თავჩარგული. მუდამდღე დამუწული პირი ჰქონდა, არც ცრემლი დაუნახავს მისი ვისმეს და არც – ღიმილი, ან კი რა ჰქონდა საღიმილო. ბავშვსაც მარტოკა შობდა და გადაჰყვებოდა კიდევაც, ის შავ დღეზე გაჩენილი, სონიას მისი ღმუილი რომ არ გაეგო.

გააგორა ბიჭი. ისეთი პირმრგვალი და თვალებბრიალა. ავი იმას არაფერი ეტყობოდა, ან კი ვის რისი შეტყობის თავი გვქონდა, რომელი დოხტურები ჩვენ ვიყავით. მაგრამ რამდენიმე თვეში ისე ცხადი გახდა, ჯერ აქა-იქ წაიჩურჩულეს ქალებმა, ბოლოს ხმამაღლა ავლაპარაკდით და სულ ბოლოს, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, მარიამიც მიუხვდა.

ვისაც რისი საშუალება გვქონდა წავეშველეთ და რაიონში წავიყვანეთ ექიმთან. ექიმს მისი გასინჯვით დიდად თავიც არ შეუწუხებია, შეხედა, შემოხედა, ხან ჩაქუჩი მიუკაკუნა, ხან იქ წაავლო ხელი, ხან – აქ და უთხრა, ამის საშველი არაფერია. ჩათვალე კუტი პური გქონია სახლში, ვერც რის გამგებია, ვერ გაივლის და სიცოცხლის ხანგრძლივობაც ძალიან მცირეაო. ფურცელზე რაღაც დაწერა გაკრული ხელით და გაუწოდა, აქაო მისამართი წერია, აქა და აქ მიხვალ, ამნაირი ბავშვები ჰყავთ, ჩააბარე იქ უკეთ მიხედავენ, თორემ შენ ამის მომვლელი არა ხარ, ამასაც დატანჯავ და საკუთარ თავსაცო.

მარიამი ერთი ხანობა კი უსმენდა, მერე დაავლო თავის შვილს ხელი, არც მადლობა უთქვამს, არც ნახვამდის, ჩვენც ეგრე შეგვატოვა და სულ სირბილით წამოვიდა.

ყველამ ვურჩიეთ, საცოდაობაა ამისი ყურება, ჯერ არი და ხელში გიჭირავს, ცოტა ხანში ამას ძვრას ვეღარ უზამ, ფეხს ეს ვერ აიდგამს, ლაპარაკს ეს ვერ ისწავლის, ცოდვის შვილად უნდა გყავდეს. ჩააბარე, ამას მაინც არაფერი ესმის, შენც ცოდო ხარ, ახალგაზრდა ხარ, მშვენიერი შესახედი, მერე რა ერთხელ შესცოდე, თქმულა, ერთი ალილო მვდელსაც კი წასცდებაო, რა იცი, ცხოვრების ჩარხი, საით შემოტრიალდეს, იქნებ ბედმა გაგიღიმოს, ოჯახი შექმნა, არიან, კაცო, ან ქვრივები, ან რამე, სულაც რო არ დაგიდევენ, რა იყო და როგორ იყო, იქნებ ოჯახს მოეკიდო, ასე გასაწყლებულმა როდემდი უნდა იცხოვროო. ტირილი დაიწყო. ვის რას გიშლით ეს ბავშვიო. ვისთვის რა ზიანი მოაქვსო. ანგელოზიაო, ყველაფერი ესმის და ყველაფერს გრძნობს, ნეტა ექიმებმა რა იციან, ჩემზე კარგად რა ესმით ჩემი შვილისაო. უწინამც მოვკვდები, ვიდრე ჩემს შვილს ასე უვარგისი ნივთივით მოვიშორებ თავიდანო. ნუ გეშინიათ არავის ტვირთად არ დაგაწვებით მე და ჩემი შვილიო. ვეფიცეთ

და ვეჯავახთ, რასაა ქალო, რომ ამბობ, გულშიც არ გაგვივლია ეგ, შენთვინ გვინდა კარგი, თორემ მაშ რაღაის სოფელი ვართ, ერთი ქალი და ერთი ბავშვი ვერ შევინახოთო. მაგრამ არა ქნა და არა. არავისი შესანახი თავი არ გაუხდია.

ორი დღეც არ იქნებოდა გასული და ისევ რაიონში წავიდა და მეეზოვედ მოეწყო. დილაღამიანად მიდიოდა, ამ ბავშვს იატაკზე დააწვენდა, გარეშემო მუთაქებს შემოულაგებდა და აეგრე მძინარეს მიატოვებდა, ესეც რა სადმე გაექცეოდა თუ რა, როგორც დატოვებდა, ისევე ხვდებოდა. რა ძალა ჰქონდა, ამ თითისტოლა გოგოს, უფალმა თუ იცის, წიგნი ამან არ იცოდა და არავის არაფერი ესწავლებინა, მაგრამ ცხოვრებაზე მაგარი მასწავლებელი არ არსებობს. ჯერ ხომ იქ გვიდა და ასუფთავებდა ქუჩებს, მერე მზე რო შუბისტარზე იყო, აქ ამოვიდოდა, შვილს დახედავდა, აჭმევდა, გამოუცვლიდა და ახლა აქ დადიოდა კარდაკარ და ზოგს რაში წაგვიკრავდა ხელს და ზოგს – რაში. აქაურებისგან ფულს, არამც და არამც არ აიღებდა, ლობიოს დაგარჩეინებდა, ერთი სადილისოდელად წაიყოლებდა, მატყლის დართვაში გშველოდა და ერთს საწინდე ძაფს აიღებდა და ეგ იყო და ეგ. ლუკმა-პური სათხოვნელი არ ჰქონია, პირში არავის შეჰყურებდა.

„ნეტა გამაგებინა ვინ ჩადგა ამ ანგელოზის ცოდვაში, თუ ჩემი ხელით არ გავუერთიანო ძვალი და რბილი“, – იტყოდა ხოლმე ჩემი კაცი. ასე ფიქრობდნენ სხვებიც. კაცს კი არა და ჩვენს არე-მარეში ქვას ვერ ნახავდი მისი პატივისცემა არ ჰქონოდა. წვალობდა? მაგას წვალება ერქვა? წელებზე ფეხს იდგამდა, მაგრამ ადამიანი შვილი არ იყო, მისი წუწუნი გაეგო, ღმერთსაც კი არ აწუხებდა, მადლობა და მადლობაო ისე ხშირად იტყოდა ხოლმე, იფიქრებდი გულში, ნეტა შე უბედურო რისთვის სწირავ მადლსა, შენთვის რა მოუცია ამ მზიან წუთისოფელს ტანჯვის მეტიო, მაგრამ აეგეთი სხვა ცის ქალი იყო.

ალია-ბალია 7-8 წლის ჰყოლოდ ბავშვი, რომ ავადობა დაეტყო. ჯერ სულ რა იყო და ისე გახდა, ისე გაყვითლდა, ისე ჩაულრმავდა თვალები, ისეთი ნატანჯი სახე ჰქონდა, აღარ მოვეშვით: რა დაგემართა, ქალო, თქვი, მართლა ქვისა ხომ არა ხარ, ხორციელი ხარ შენც, ხანდისხან სხვისი შეშველებაც გჭირდება კაცსა, სულ მარტო როგორ გინდა გაიტანო ეს სოფელიო. ყველას თავისი გასაჭირი აქვს, თავისას ეზიდება, ახლა ჩემი დარდიც ზურგზე არ ავკიდოო. მაინც არ მოვეშვით, ექიმთან წავიყვანეთ.

მთელ სოფელს ელდა გვეცა, კიბოო, რომ გავარდა ტყვიასავით ექიმის განაჩენი. ახლა რა, მადლობა გამჩენს, ყველაფერიც იკურნება, ფული თქვი შენა, მაგრამ მაშინ, იმ დროში, კიბო უეჭველ სიკვდილს ნიშნავდა, ჰა და ჰა, ერთ თვემდე გაგეძლო. ასეთი ამბები კიდევ სინათლეზე სწრაფად ვრცელდება და იმ საღამოსვე მოვიყარეთ მარიამის შეშის ღუმელთან თავი მთელი სოფლის ქალობამ. ღმერთი-რჯული, დამეფიცემა, არც მოვალეობა იყო და არც სეირის საყურებელი თავყრილობა, როგორც საკუთარ შვილს, ისე დავტიროდით. გუშინდელი დღესავით მახსოვს, ნოემბრის ბოლო იყო, გარეთ გაშიშვლებული ხეები და მწარე ყინვა იდგა, ოთახში ნავთის ლამფა ჭვარტლავდა და კიდევ ცეცხლის ალი ანათებდა იქაურობას და ამ ჩაჟამულ საღამოს და ცუდად განათებულ ფარდულში, იჯდა ის შეჩვენებული და ისეთი არამიწიერი ფერი დასდებოდა, ჩვენი შფოთვისა და ვაი-უშველებლის ფონზე, ისეთი განყენებული იყო, ისეთი მშვიდი. საკუთარ ხელებს დაჰყურებდა, კრინტს არ ძრავდა, თითქოს არც ესმოდა აქ რა ხდებოდა, თითქოს ვერც გვხედავდა, გეგონებოდა და სადღაც სხვაგან თუ იყო თავისი ფიქრით. ჩვენ კი სიკვდილს ვგრძნობდით, რომელიც ჩვენს სხეულებს შორის დასრიალებდა და ჩვენსავე უსუსურებას დასცინოდა და გვზარავდა მისი სლიკინა სხეული და მისი მოუხელთებლობა, მისი ძლიერება, მისი გარდაუვალობა. და ბავშვი, რომლისკენაც თვალის გაპარება არ გვინდოდა. რომელიც მუთაქებს შორის მიგდებულიყო, კისერს ვერ ამაგრებდა, წელს ქვემოთ ერთი ციდა იყო, განუვითარებელი, დაღმეჭილი კიდურებით, ხელის თი-

თები ეფარჩხებოდა, კბილები გაჰფუჭებოდა და პირიდან დორბლი სდიოდა და ისეთ საზარელ ხმებს უშვებდა, ჩემს მტერსა და ავად მახსენებელს. და ამ დროს, მარიამი იჯდა და თითქოს მთელი ეს ტრაგედია მას არ ეხებოდა, მაინც დედოფალს გავდა ფარდულში მცხოვრები მეეზოვე. მერე თავი ასწია, მხრებში გაიმართა, ღრმად ამისუნთქა და ისეთი გადაჭრით თქვა, თითქოს მართლა მისი არჩევანი ყოფილიყოს, ყოფნა-არყოფნა: ვერ მოვკვდები! მისმა სიტყვებმა ზამთრის ქარივთ გაიზუილა ოთახში და სიჩუმე მოიტანა. ცეცხლის ენებმაც კი ჩაისუნთქეს თითქოს და წამით სამყაროს ენა წაერთვა. მერე წამოდგა, თვალი მოგვავლო და ალბათ თუ მიხვდა, მისი სიტყვები, განმარტებას რომ ითხოვდა, დაუმატა: ამას რა ვუყო, რომ მოვკვდე? – თავით ბავშვზე გვანიშნა.

მერე ჩაი შემოგვთავაზა, ხან რაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა და ხან რაზე, მაგრამ არ იქნა და საუბრის მძივი არ აისხა. დავიშალეთ. უხმოდ, უსიტყვოდ, დამძიმებული გულებით.

რაღა ბევრი გავაგრძელო და მართლა არ მოკვდა. აჯობა იმ ვერაგს, თავის ჭკუაზე წაიყვანა. ან რა მოჰკლავდა, ამ მიწას, ამირანს არ მოელანდება, ისეთი ჯაჭვით ჰყავდა მიბმული. კაი 34 წელიც ეზიდებოდა უღელს, მერე გიორგი წაიყვანა ღმერთმა და წელიწადიც ვეღარ გასტანა. ალბათ აღარ იცოდა რისთვის ეცხოვრა, იმ უბედურს. ან კი ვინ იცის უბუდური იყო თუ არა, იქნება და მის ბედნიერებას ჩვენი პატარა გონებები ვერც კი სწვდებოდა. ჰოდა, ახლა რამდენიც გინდა თქვი ბედიო, ბედისა კი არა და მიწაზე ყოფნის მიზანშია საქმე. იმ ბიბლიურმა კაცმა რამდენი იცოცხლა? გასხომთ? სანამ ყრმა იესოს არ დავიჭერ ხელშიო. ჰოდა, ჩვენ? მე? მე ხომ ახლა არც კიბო მაქვს და არც ასეულ წლებს ვითვლი, ვარ სადღაც მიჯნასთან ახლოს, ისე ეს მიჯნაც ჩვენი დაწესებული რამე მგონია, ეგ იქით იყოს და პატარა რამე წამომტკივა და ეგრევე ჩავწვები ლოგინად და ლამის არის ცოცხლად მივიყარო მიწა, თითქოს როცა იქნება ეგ ამბავი სადმე გამექცეოდეს. აეგეთი უფერული ცხოვრება გავლიე? ყველაფერი მოვასწარი რო, აღარც რა მაკავებს აქეთურობას? – ვკითხე საკუთარ თავს და ჩავფიქრდი.

ძალიანაც მინდა, საქმე მაქვს, ბავშვებს ჩურჩხელები უნდა დავუვლო, იმათ ენაცვალოთ ბაბო. აეგრევე ჩამოწყვეტენ ხოლმე, ჯერ კიდევ გაუშრობს, ცარიელა ძაფებს დამიტოვებენ, მერე თითქოს ბოდიშობენ, ერთიც არ შეგარჩინეთო, მე კიდე მიხარიან, ჩემი ბეხრეკი სიცოცხლე ჯერ კიდევ რამეში რო არგიათ.

ჰოდა, აეგრე, იმ ნახევარი ადელფანის დამსახურება იყო თუ მარიამის წამოგონებისა, კი წამოვდექი, ჩურჩხელებიც დავავლე და ამ ჩურჩელებისთვინ ერთი დღეც წავტაცე ცხოვრებას.

## იათე

თვალები მიწა იყო თითქოს. წვიმით გაჟღენთილი, ხანმრავალი და დაღლილი მიწა. ის მიწა საკუთარ სხეულში ინახავდა უკვე მიხრწნილ მოგონებებს. შენივთებოდა წლებიცა და გარდასული ამბებიც. თვალები მიწა იყო, წვიმით გაჟღენთილი მიწა. ნიადაგი კი, რომელზეც იათე დააბიჯებდა, უკვე აღარ იძლეოდა ნაყოფს. ჩემსავით ჩამობერდაო მიწაც, ფიქრობდა კაცი და მძიმე ნაბიჯით მიუყვებოდა აღმართს.

დამძიმებულიყო სხეულიც. იათეს ხელებივით დაბზარულიყო ნიადაგიც. გამომშრალიყო, დანაწევრებულიყო თითქოს ერთმანეთთან კავშირი დაეკაგა მიწის თითოეულ მარცვალს, ამიტომ თუ იყო, რომ ძნელად ანდობდი სხეულს, ამიტომ თუ გამხდარიყო ასეთი არამყარი.

ამ აღმართს ვინ მოსთვლის რამდენჯერ შესდგომია იათე. მაშინ ხის მჭრელი იყო. მხარზე ცული მოეგდო და ტყის სიღრმეში დაეძებდა საშენ მასალას. იათე ახალგაზრდა იყო, ის ხეებიც ახალგაზრდანი იყვნენ. ერთმანეთს ერკინებოდნენ, ღონეს სცდიდნენ და იათე იმარჯვებდა. არა, კაცს

ეგონა, რომ ტყეს ჯაბნიდა. მზე სანამ ცას გვირგვინად დაადგებოდა, მანამდე ასწრებდა იათე ტყეში შეღწევას. მერე ხეებს შორის ნელ-ნელა ჰყოფდა თითებს სინათლე და იათეს დღეც იწყებოდა. მზე გადაიწვერებოდა და ახლა თავდაღმართს დაუყვებოდა. მორები მიჰქონდა საპალნით. მერე იმავე საპალნეზე მიაბა ლამანის სხეულიც და დაუყვა დაღმართს. ის ყველაზე დიდი დაღმართი იყო, არა და არ გათავდა.

ლამანის დაღლილი მხრები ჰქონდა, მოხრილი ბეჭები, კეფაზე დაუდევრად შეკრული თმა და მიმქრალი ტუჩები. თვალებში არასდროს შეხედავდა კაცს, თითქოს მის მიღმა იყურებოდა, რაღაც სხვა ცის მზირალი. თევზის დუმილი დაჰქონდა ლამანის. იათე მაშინ არ ფიქრობდა ამ სიჩუმის მიზეზებზე, მაშინ ეგონა, რომ ლამანი იმისთვის დაბადებულიყო, რომ ყოველ ღამე გაეხადა თავისი შემოდგომისფერი კაბა, გულაღმა დაწოლილიყო და ისე დაელაგებინა მკერდზე კაცის სურვილები, თითქოს მკითხაობდა და მის ცოდვებს მიყოლებით შლიდა სხეულზე. წითელი, შავი, ისევ შავი და კვლავაც შავი. არ ფიქრობდა იათე, შავი სურვილები შავ ბედისწერას თუ მოასწავებდა. მაშინ არც ის იცოდა კაცმა, რომ ეს ქალი უყვარდა. არ იცოდა იათემ, რომ ამ ქალის სიყვარული აცოცხლებდა თურმე, ის იყო მისი მკლავის ძალაც და დღის სინათლეც. ის იყო მისი აღმართიცა და თავდაღმართიც, მისი ყველაზე დიდი ბრძოლაცა და გამარჯვებაც. იათეს ეგონა, რომ ლამანი უნდა ყოფილიყო მის გვერდით, როგორც მზე, რომელიც უეჭველად უნდა ამოსულიყო. იათემ არ იცოდა, რომ ლამანი კი არ იყო ნაწილი მისი ცხოვრების, თავად იყო ცხოვრება. არ იცოდა, რომ ეს ქალი უყვარდა. და ეს ქალი იყო თავად სიყვარული. ეს სიყვარული გატოტვილიყო მის ძარღვებში, ეს ქალი იყო რომ ყვავილობდა და ესვე იყო, ფოთოლცვენების მიზეზი.

იათე არ ფიქრობდა. იათე შეშის მჭრელი იყო და ყოველ დილით ტყეს ერკინებოდა. ჭრიდა ხეებს, სანამ ერთ დღეს მეწყერმა არ იხუვლა და მისი ლამანი მიწის გულში მოიქცია. მერე იმ მიწად იქცა იათე, იმ მიწად ექცა თვალები, ნაწვიმარ მიწად.

მანამდე იყო იათე, რომ გაშლიდა ჯაფისაგან დაღლილ მკლავს, ლამანის თავს ჩამოდებდა ზედ და ღრმად დაიძინებდა. მერე და მერე დასჩემდა სიზმრები: წვება იათე, გვიან მოდის ძილი. როდის როდის ერევა თვლემა მის ქუთუთოებს და მზერაში იჭრება ტყე. ტყე ისევ ისეთია, როგორიც იყო იათეს ახალგაზრდობაში, დაბურული, ძლიერი, მოშრიალე, იათეს ისევ აქვს საკუთარი მკლავის ძალის იმედი და მიუყვება აღმართს. ტყის ბილიკზე ჯერ მხოლოდ ბინდი წევს, მერე ნელ-ნელა ნისლივით მოიპარება სინათლე. იათე ეძებს, ეძებს ყველაზე ჯანსაღ ხეს, ყველაზე ატოტვილს, ყველაზე ძლიერს. ადგილს არჩევს, ცულს იმარჯვებს და მთელი ძალით უქნევს ხეს, ნაფოტები აქეთ-იქით ცვივა, მერე ეს ნაფოტები ლამანის სხეულის ნაწილებია თითქოს. აგერ მისი პატარა და სუსტი თითები, მისი თვალები, მისი თეძოები, მისი მკერდი... მერე ლამანი იწყებს ლაპარაკს. აღარ უსმენს ლამანი. ცდილობს იათე პირზე ხელი ააფაროს და დაადუმოს, მაგრამ ქალის დანაფოტებულ სხეულს შორის ვერა და ვერ აგნებს ბაგეებს. ლამანი კი არ წყვეტს ლაპარაკს და ჰყვება ამბებს, რომელიც ვერა და ვერ ითქვა აქამდე. იათე ფიქრობს, რომ თურმე რამდენი ჰქონიათ სათქმელი ქალებს, რომლებიც მუდმივად დუმან...

ლამანი ისევ იძარცვავს სხეულს, როგორც ძველად, ნელა, თავაუღებლად, თითქოს პირველიც იყოს ეს ღამე და უკანასკნელიც, მერე წვება, შიშველ სხეულზე ისე შლის კაცის ცოდვებს, თითქოს მკითხაობდეს: წითელი, შავი, ისევ შავი და კვლავაც შავი... იათემ უკვე იცის, რომ ეს შავი ბედისწერის კარტები თავად მოჭრა. და მერე მოდის დღე, რომელსაც არ მოაქვს სინათლე, რადგან არსადაა ტყე, რომლის დაბურულ ფოთლობს შორის უნდა შემოპარულიყო მზის სხივები და აღარც ლამანია. და იცის იათემ, კარტები არ არიან დამნაშავე, ჩვენს შავ ბედისწერაში, რადგან თავად ვჭრით ყველა ხეს, რომელმაც ჩვენი ცხოვრების სიყვარული დამეწყრისგან უნდა იხსნას.

# მორევი

კვალში ვედექი. ბილიკი გვარიანად გაჯაგულიყო. ეკალ-ბარდისაგან წმენდდა და საკუთარი სხეულით მიცავდა, რომ კანი არ დამკაწვროდა. უბრად მივდიოდით. ქიმზე გავედით. მზე ის-ის იყო გადაიწვერებოდა. მდინარის კალაპოტი კლდემდე ატანდა. მოშხუოდა, მოჰქონდა თითქოს ქვეყნის გულში ჩაბუდებული საწუხარი, ვერ თქმული და წვეთ-წვეთად ნაჟონი სხეულში. მოჰქონდა და ხმაურით ახეთქებდა კლდის კალთებს.

შავი გულისპირი ჰქონდა მდინარეს, ისეთი მღვრიე და საშიში, გზარავდა. წინ მიიწია. მეც წავდგი ბიჯი. მკლავში ხელი ჩამავლო და მთელი ძალით მომიჭირა თითები, თითქოს ეშინოდა კლდის ძირას მობობოქრე მორევს მეც არ ჩავეთრიე. უკან დამხია. მიწაზე დაჯდა. გვერდით მივუჯექი. პატარა ქვები მოძებნა ხელით და მდინარეში ისროლა. ქვამ ჰაერი ხმაურით გაკვეთა და წყალში ჩაიკარგა. მეც მივბაძე, მაგრამ ნაპირამდეც ვერ მივაწვდინე. გამეცინა. თავადაც ღიმმა გადაურია.

– შენ წყლის ამბავი იცი? – უცხო ხმით მკითხა და პასუხს არ დალოდებია ისე განაგრძო, – მდინარეს ასეთი ბუნება აქვს, უნდა იდინოს, დინებას უნდა მიჰყვეს. გრძელი გზის გავლა უწევს. რას არ გადააწყდება: დახავსებულ ქვებს, ურჩ კალმახებს, ათასგვარ თავგადასავალს გაივლის მისი გული და გზას გააგრძელებს... უყურებ, თითქოს ვერც რას ამჩნევ, მდინარეა, მიდის, მიიკვლევ გზას, მაგრამ არასდროს იცი, გულში რა ორომტრიალი აქვს, რა გუნებაზეა, რას ფიქრობს და რას გიმზადებს. შეხვალ გასაგრილებლად, მიენდობი, მაგრამ იმ ამღვრეულ გუნებაზე მყოფ წყალთან თუ მოხვდი, ჩაგმარხავს თავის ბოროტ გულში. ის წყალი კიდევ, შენ რომ დაგახრჩო, წავა, გააგრძელებს გზას, მაინც თავის დინებას დაუბრუნდება, იმ კალაპოტს არ გასცდება... მაგრამ სულ ეხსომები, შენ, რომელიც იმ ცუდ დროს შეხვდი, მის გაველურებულ მკლავებს გადააწყდი და სიცოცხლეს გამოგასალმა, რომელიც იქნებ სადღაც, გაგრიყა თავისი სხეულიდან ანდაც რომელიღაც შლამში დაგიდო ბინა, მაგრამ ვერ იქნება და ვერ დაგივიწყებს.

ცოტა ხანს ჩუმად იყო. ქარი უბერავდა. მციოდა. საკუთარ სხეულს ვიკრავდი გულში, მაგრამ ვერ მათბობდა, ან იქნება და ეს კანკალი რაღაც სხვა იყო, სულში აშლილი ქარიშლები მიგრილებდნენ იქნება სისხლსაც.

– წყალს მეხსიერება აქვს! – სრულიად დამშვიდებული ხმით განაგრძნო, – ვერაფერს ივიწყებს წყალი. სულ ახსოვს.

გაეღიმა. ადგა. ხელი გამომიწოდა. ადგომაში დამეხმარა. წამოდი, ასე დავუყვეთო დინებას. ბინდდებოდა. მზე ისე იძირებოდა მთებში, თითქოს მილიონი ბროწეული სკდებოდა. ახლა მხარდამხარ მივყვებოდი. მისი სიმშვიდე საბურველივით ედებოდა ჩემს სხეულს და უცნაურ ბურუსში მხვევდა. და მისი მხრის შემთხვევითი შეხება ჩემს სხეულს აზრს აცლიდა, ამიტომ თუ იყო, რომ ვერ იქნა და ვერ ვაიძულე საკუთარი თავი, მისი სიტყვების მიზეზებზე მეფიქრა. ამის საჭიროება არც დამდგარა, თავადვე გამიადვილა საქმე:

– შენც ასე ხარ, ჩემო გოგო, გარეგნულად თითქოს შენც იმ წყლის წვეთებივით ჰგავხარ სხვა ქალებს. სინამდვილეში კი, სულში დიდი მორევი გიტრიალებს. ეგ დუღილი შენს სულსა და სხეულში, საჩუქარია, მაგრამ შეიძლება წარმოუდგენელ სასჯელადაც გექცეს. მაგ ძალას, სათნოება და გონება სჭირდება.

ისევ გაჩუმდა. კლდე უკვე ჩამოგვევლო, ახლა მდინარის ქვიან სანაპიროზე ვიდექით. წყალი დავაკებულიყო, აქ უფრო მშვიდად მიჰყვებოდა კალაპოტს. მე კი ვღელავდი. ჩემს სულში ყველა ტალღა ერთად აქაფებულიყო და აწყდებოდა სხეულს. ვიდექით პირისპირ. ჩვენ შორის არსებული

მანძილი ვერ აოკებდა სურვილს: თვალები დამეხუჭა, სხეული მისი მკერდისთვის მიმენდო და არ მეფიქრა არაფერზე. ყველა ფიქრი გამეშვა ღრმად დასაძინებლად, ყველა საღი აზრი გამეყოლებინა მდინარის დინებისათვის...

ქარი მიწეწავდა თმას და ჩემი დაუვდევარი კულულები ხან თვალებში მებლანდებოდა და ხან მისკენ მიიწევდნენ. ფრთხილად მოუყარა თავი ურჩ კულულებს და ყურს უკან გადამიწია. მისი დიდი თითები ყურის ბიბილოს შეეხო და მზე წამეკიდა კანზე. ერთ ხანს შეყოვნდა ჩემს სხეულზე მისი ხელი. ამ შეხებამ თუ იმ ცეცხლმა ჩემს სხეულს რომ შემონთებოდა, შეაკრთო და სწრაფად წაიყო თითები უკან. თავისმავე შიშმა თუ გააცინა:

– ვინ იცის, რამდენ სულიერს დაატრიალებ შენს მორევში და რამდენ ადამიანს წაართმევ სიცოცხლეს. ხან იყოს კიდევაც ისეთი დღეები შენს ცხოვრებაში სულაც რომ არ გინდოდეს დათვლა მსხვერპლის, მაგრამ გახსოვდეს, რომ ყველა წყალს აქვს მეხსიერება და რამდენადაც უნდა ეცადოს, სულ ახსოვს ყველა კენჭი, რომელზეც გადაიარა. და ისიც იცოდე, რომ ყველა მორევი მშვიდდება ბოლოს და მერე იმ დაგუბებულ, მდგარ წყალში ყველა ხედავს იმ გვამებს, რომელიც მისმა ზვირთებმა თავისი რისხვის დროს შეიწირა.

ახლა მისი ხმა სულ უფრო შორიდან მოდიოდა და გულამდე ვეღარ აღწევდა, რადგან გული ჩემი არ გავდა გავაკებულ წყალს, ის მორევი იყო. და საკუთარი გულისცემა ისე მესმოდა, როგორც წეღან კლდის ქიმზე მიმსკდარი ზვირთების გუგუნი. და ჩემს მღელვარე სხეულს აღარ სურდა საკუთარ კალაპოტში დატევა, იმ საზღვრების დარღვევა სურდა, რომელიც მისთვის დაეწესებინათ. ამიტომ თუ იყო რომ წავდგი ნაბიჯი წინ. ისე შეირხა, თითქოს კავკასიონის გული მიწისძვრას შეერხიოს. მე მის მკერდს შევახე ჩემი გაყინული თითები და არ ვიცი ხმამაღლა ვკითხე თუ მხოლოდ ვიფიქრე, რომ ნაპირზე დიდხანს და მშვიდად ჯდომას, კლდიდან ერთხელ გადახტომა სჯობდა მორევის გულში ჩასანთქმელად. ის კი მიყურებდა და მიხვდი, ყველაფერი რაც წეღან თქვა, ჩემთვის არ იყო განკუთვნილი, მხოლოდ მას ეხებოდა, საკუთარ თავს არწმუნებდა მხოლოდ და მხოლოდ. საკუთარ თავს იწვევდა დუელში... სულ უშედეგოდ.

## საჩუქარი

ჩემი შვილიშვილი იყო ამასწინებზე ამოსული. ტელევიზორი მომიტანა და რაღაც ყვავის ბოლოსავით გაფარჩხული რკინის ანტენა, ამით უნდა დავიჭიროთ არხებიო. რათ გინდოდა, შვილო, რისთვინ წუხდებოდი-მეთქი. ესო, ჩვენი ძველი ტევიზორია, მე ახალი ვიყიდე, ახლა თხელი ეკრანებია, პლაზმა თუ ბლაზმა, ჰოდა, გადაგდებას, გქონდეს, საღამოობით ჩართავ და გაერთობიო. გართობა კარგი რამე არის, მე და ჩემმა ღმერთმა, სულაც გასართობზე არ არის ქვეყანა მოწყობილი, ამაზე კარქი საშუალება დაივიწყო, საფიქრალი და სადარდელი არც რა არის ამ ცის ქვეშეთში. აბა რა, მე რა ცხვირზე მური ხომ არ მისვია, მე რიღათი ვარ ნაკლები სხვებზე, ახლა ჩავრთავ ხოლმე საღამოობით, ჰოდა, სულ დამავიწყდება ჩემი ტკივილებიცა და მარტოობაც, მომენატრება შვილები და შევხედავ ამ ეკრანსა და წავა ტკივილი გულიდან და იქ ეს გაკვლანწული ქალები აფუთფუთდებიან. ჰი, ჰი, მეხიც კი ამათ დაჰყრიათ.

რაი მეთქმოდა, მადლობა და მადლობა-მეთქი, ათასი მადლობა ვუთხარ ცალკე მას და ცალკე კიდევ მის ცოლსა. რა მადლობაო კაცო, რის მადლობა, არ გრცხვენიაო? მცხვენია? ბევრი რამის მრცხვენია, მაგრამ მაგისი არა, სულაც მადლობისთვის აკეთებ კაცი ყველაფერს, მადლობის თქმა ცუდი კი არაა, აი რომ გაისარჯება კაცი შენთვის და შენ კიდევ გულში მადლიერების გრძნობაც არ გიჩნდება, ეგაა სამარცხვინო.

სახურავზე მიამაგრა ეს რკინის საფრთხობელა, დაიტანჯა ბავშვი, აძვრება მაღლა, შაატრიალებს ამ ანტენას, ჩამოვა ახლა ტელევიზორს უტრიალებს, იქ კიდევა მხოლოდ ვერცხლისფერი ეკრანი შხრიალებს. ისევ აძვრება და ახლა ცოტა აქეთ შამააბრუნებს. როგორც იქნა გაასწორა. მარტო ერთ არხს იჭერსო, მაგრამ შენ მაგაზე არ იდარდო, დანარჩენი არხებიც დიდად არ განსხვავედებაო. აი, მაგალითად, აქ თუ ვინმეს წმინდანად მოიხსენებენ, მეორეგან უთუოდ იუდად არის გამოცხადებულიო. აქ თუ აცხადებენ ამაღამ გაწვიმდებაო, მეორე არხზე იტყვიან თაკარა მზეს უნდა ველოდოთო, ერთი თუ ამბობს თეთრიაო, მეორე ამბობს – შავიო. ანუ სულ პირიქითო რა. თეთრსა და შავს შორის ყველაზე მეტი ტონი როა მოქცეული, მაგათ ეტყობა არ გაეგებათ ეგენი. ან იქნება და ზუსტადაც გაეგებათ და იმ შუაში მოქცეულის მიჩქმალვის მცდელობა თუ არის-მეთქი.

ახლა ეს ტელევიზორი თავიდან კი არც რად ჩავაგდე, მაგრამ ოჯახის ახალი წევრივით არის. მოვიდა საღამოც და მოვუჯექი, დიდის სიფრთხილით ჩავრთე და რასა ვხედავ, რაღაც გადაცემაა, ხალხი გამოდის, აი ჩემსავით უბრალო ადამიანები, სოფლებიდან ჩამოსული მარტოხელა მოხუცები, პატარა ლოყებბუნჩულა ბავშვები და ზის რამდენიმე კაცი იქა, ეტყვიან შეხტიო, თუ კარგად შეხტებიან, კარგა სამასხარაობი გამოჩნდებიან და ამ კაცებს გააცინებენ, ფულს მისცემენ, თუ არა და კარგად ბრძანდებოდეთო და გაისტუმრებენ საიდანაც მოსულან. ვინც უფრო მაგრად აცინებს ხალხს, ვინც უფრო მაღლა და სხარტად შეკუნტრუშდება, იმათ აქვთ თვალები ისეთი, ღმერთო, როგორი თვალები აქვთ, თითქოს მთელი სამყაროს ცრემლი ამ მზერაში აქვთ ჩაგუბებული.

ვუყურე, ვუყურე და გამოვრთე ეს ოხერი. გამოვრთე და ამიწია წნევამ, ხან ცხელ წყალში ჩავდგი ფეხები და შემოვიდე კისერზე ჩემი კაცის სველი ცხვირსახოცი, ხან კიდევ ძმრიანი წყალი დავლიე. ვერ იქნა და ვერ დავიგდე ეს ოხერი, მეწოდა კისერი და სულ მაბარგანავებდა. ნანახს კიდევ ვერ იქნა და ვერ ვიგდებდი გულიდან. რას ეძახიან ამასა? დაიცა მავიგონო, გასართობი შოუ-პროგრამა. გასართობი. ერთობა ერი თურმე კაცის ისე გაუბედურებით, ისეთი გასაჭირით, რომ ორი მათხოვრული კაპეიკისთვის, გამოიღებს იმ შარვალსა და კასტუმს, ომის შემდეგ პარადებზე ჩასაცმელად რომ უყიდია, გამოიწკიპება, ჩაჯდება თავისი სოფლის ავტობუსში, ისეთი ზის ალბათ მეზობელსაც არ გამოეპასუხება. რა მოგივიდა კაცო, რამე ცუდი ხომ არ შეგემთხვაო, ჰკითხავენ. არა, არა, ისეთი არაფერი, ქალაქს მივდივარო. არა და ზის და გუნებაში ასჯერ მაინც ახტება და შეიკუნტრუშებს. სახლში კი გამოსდიოდა კარგათა, მაგრამ ვინ იცის იქ დაინახოს ეს კამერები და ათასი მამაძაღლობა და ვეღარ მოერიოს თავის სხეულსა. ზის და რაც მეტად ფიქრობს, მით მეტად უჩქარდება გული. ახლა კაცო, მაჰკვდომია თავი, შერცხვენას ვინ ჩივის, ბალღმა დააბარა, ფერადი ფანქრები წამომიღეო ქალაქიდან, იმას რა პასუხი გასცეს...

ამაებზე ვფიქრობდი და მერე ჩემს თავს ვუთხარი, იმ კაცებზე უარესი მე ვარ-მეთქი, მე და ყველა ჩემნაირი, ვინც გულის გადასაყოლებლად დამჯდარა და ამ გასაცოდავებულ, ამ უბედურ ადამიანებს შაჰყურებს და იცინის-მეთქი. ქა იცინის, ერთობა-მეთქი, ვიღაცის უბედურებაზე, ვიღაცის გასაჭირზე, ვიღაცის ულუკმა-პურობაზე. ამაებს ვფიქრობდი და ისე შემეზარა საკუთარი ადამიანობა, ისე შემრცხვა. არა, მეც კაი ვინმე ვარ, რო გავბრიყვდი და ამათ დავუჯერე. როდის იყო ქა, ამ ცის ქვეშეთში გართობისთვის გაეჩინოს ღმერთს კაცი. თუ კი მაინცადამაინც გასართობი და სასაცილო გინდა, რაღაი ამ შავ ყუთში ეძებ, ჩაიხედე სარკეში, კარქა დააკვირდი შენ თავსა, გაიხსენე ვინ იყავი და რა გახდი, რა გინდოდა და რა გამოვიდა, საით მიიწევდი და სად კი აღმოჩნდი... კარქა დაუკვირდი შენ თავსა და იქნება იმდენი სასაცილო ნახო, მუცელი ხელით გეჭიროს.

კარქი საჩუქარი კი გამოუვიდათ მე და ჩემმა ღმერთმა. არა, ქა, ვინც ერთობით ღმერთმაც გაგიმარჯოთ, მე კი, ქალი არ ვიყო, კიდევ მაგისკენ თუ გავიხედო.

# მთავარი ბრძოლა

15 სექტემბერია. ამ დღეს შევუღლდით მე და ჩემი კაცი. სულ ახსოვდა. მოვიდოდა და ხან იყო და გულისჯიბიდან მინდვრის ყვავილებს ამოიღებდა, ხან იყო და ხილაბანდს მაჩუქებდა... კანფეტი მაინც ექნებოდა, დავიწყებით კი არა და არა, არას დიდებით არ დაივიწყებდა. მე კიდევა, ისეთი ცხოვრება მქონდა, ეგეთები სადღა მახსომდა, ხან სულაც გადამქართულდებოდა ხოლმე.

შეხედული გოგო ვიყავი, მთხოვნელები ბუზებივით მეხვივნენ, მაგრამ არავისკენაც არ გამიხედავს. ახლა რო ვთქვათ, არც თვალი ეკლდა და არც ტანი, მაგრამ არც მთლად გასაგიჟებელი შეხედულებისა იყო. ჩვეულებრივიო რომ იტყვიან, ეგ ეთქმოდა. იქნებ და ხალხში სულაც ვერ შეგემჩნია, ვერ დაგემახსოვრებინა, მაგრამ მე კი შევხედე და ვფიქრობ, მაგაზე სწორი არც რა გამიკეთებია ცხოვრებაში.

არც ქონება ჰქონდა და არც სიმდიდრე. გაჭირვებით მივათრევდით ცხოვრებს, ერთი წისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა ჩვენს თავზე, სხვა კი ყველაფერი გავიარეთ. ჰოდა, რომ ვფიქრობ, რათ მიყვარდა-მეთქი ასე, აი იმ ყვავილების გულობაზე იყო მგონი. განა რამე იყო, არც რა ჰქონდა და რას მიყიდდა დიდსა და გასაოცარს, მაგრამ ქა, სამოცდაათის რომ მოიყრები და შენი კაცი ისევ ჯიბეში მალავს შენთვის ტყის ყოჩივარდებსა, თითქოს არც ბერდები, ისევ ცამეტის ხარ და ისევ გელამაზება შენი თავი. ქალისთვის კიდევ მაგაზე დიდი და მნიშვნელოვანი არაფერია, ვიდრე ფიქრობდეს, რომ ისევ სასურველია, ისევ არის ვიღაც, ვისაც გული უჩქარდება მის ხილვაზე... ჩემს კაცს კიდევ სულ ვუყვარდი. სანამ პირში სული ედგა, სულ შეყვარებული იყო და აბა რა ვიცი, იქით რაღა ღმერთი გაუწყრებოდა. წასვლაზე რომ ვფიქრობ, ასე მგონია ისევ მიცდის-მეთქი სადღაცა.

მაშინ როცა ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, აღარც ღმერთი იყო და არც ეკლესია, მაგრამ იქნებ ამაების გამო მიგვიწევდა სულ გული ტაძრისკენ. ეს გაუცნობიერებელი ჯანყი იყო, ღმერთს სულაც არ უნდა ვიმეს დასტური, გულში თუ გრძნობ. როგორც იყო, მოკლეთ უნდა ითქვას, რომ სულ ეკლესიისკენ მიგვიწევდა გული. რიდიც მეტი გვქონდა და რწმენაც. ახლა კიდევ, ვითომ რომ მოდაში შემოვიდა ლოცვა, დაირაზმებიან ყოველ კვირა დილას და ენის ლესვით მიდიან სალოცავში, ეგრე კი არ ვიყავით ჩვენა...

ჩვენი სოფლის სალოცავი წმინდა გიორგი იყო და კიდევ შიო მღვიმის მონასტერი. ჰოდა, არ იქნებოდა ისე დღესასწაული, რომ არ წავსულიყავით. იმ წელსაც შიო მღვიმობას მთელი ახალგაზრდობა შევიყარეთ და გავუდექით გზასა. იმ გზამ ყველაზე წმინდა ტაძრამდე კი მიგვიყვანა ორივე, ერთურთს შეგვყარა და ნახევარ საუკუნეზე მეტი გვალოცინა იმ ტაძარში მხარდამხარ.

შემოფეთებაო რომ იტყვაინ ეგრე იყო. რაღაც ასხმარტალდა მკერდში, სისხლიც სხვანაირად ადუღდა, ღიმს ვერ ვიშორებდი, თითქოს თვალი გვინდოდა აგვერდებინა ერთი მეორესთვის, მაგრამ მაინც არ გვემორჩილებოდა მზერა, თავის ჭკუაზე გარბოდა და სასურველის თვალებს ეძებდა.

ამ ვაჟბატონს კიდევ მანამდე თურმე ერთი გოგო ეკურკურებოდა. ამას არ ჰყვარებია, ახლა რა ამდენი წელი გავიდა, რაღა დროს ეგენი იყო, ხომ გამოტყდებოდა მერე მაინც, მაგრამ არაო, არ მიყვარდაო. რომ მყვარებოდა წინ ვინ დამიდგებოდაო. ეს ომიდან ის-ის იყო დაბრუნებულიყო. ის ქალბატონი კი, ხან ომში სწერდა წერილებს, ხან კიდევ დედამისთან მიდიოდა ტირილით. კარს უტალახებდა, თავი უკვე იმ კარ-მიდამოს ბატონ-პატრონი ეგონა.

ჰოდა, მერე ერთი ცისმარე დღეც არის და ვარდიკო მეძახის საიდუმლოდ, წერილია შენთვისო. რასა ვხედავ, ის ქალბატონი არა მწერს?! ისაო, მე დიდი ხანია მიყვარს და განზე გადექო შენ. შენ რა სულ ახლა გაგიცვნია, ისე არ გეყვარებაო. მე კიდეო, ბავშვობიდან მიყვარსო, ბავშობიდან კი

არა, მთელი ცხოვრებაა მიყვარსო. შენ თურმე ათას ბიჭს მოსწონებიხარ, რაღა ჩემი კაცი აარჩიე, წადი და სხვას დაადგი თვალიო. იცოდე მაინც არ გაპარპაშებ მის გვერდით, გირჩევნია შენით თქვა უარიო.

უიმე, ისე გავბრაზდი, ისე გავბრაზდი რომა. სულ ერთი ციდა ვიყავ და იქიდან არ მიყვარდა, ვინმე რომ თითს მიქნევდა, ახლა კიდევ ამას ავიტანდი?! ჯერა, ქალო, რა ძალით ხომ არ შეერთვებოდა? ძალით მისთხოვდებოდა თუ რა. მე ნაძალადევი სიყვარულის არ მწამს და არც მსმენია ვინმეს ვინმე ძალისძალათ შეჰყვარებოდა.

არ დავუთმე, რას დავუთმობდი, ერთმანეთი გვიყვარდა. ახლა დრო რა შუაში იყო, შეიძლება კაცსა ერთ წუთში უფრო შეუყვარდეს ადამიანი, ვიდრე ვიღაცის საცოდავი ურთიერთირთობა, რომელიცა რომა იქნება და მთელი ცხოვრებაც კი გრძელდება.

სულაც ასე მგონია მე, რომ ერთი ნახვით სიყვარული არსებობს მხოლოდ. დაინახავ და შეგიტოკლდება გული. აი ესაა ნამდვილი სიყვარული. რომც წლები იცნობდე, მაშინაც რაღაც წამია, როცა თითქოს სამყარო დადგება თავდაყირა, როცა თითქოს მხოლოდ ახლა დაგინახავს, ახლა აღმოგეჩინოს. ჰოდა, ასეთ მეწყერივით თავს დამტყდარ სიყვარულზე უარს ვინ ამბობს? არც არავინ! არ მჯერა მე მაგისი, რომ ასე შეგიყვარდეს და ზურგი აქციო. რომ ამბობენ, ხოლმე უყვარდა და უარი თქვაო, არ მჯერა მაგისი, არ ჰყვარებია სათანადოდ ალბათ. ან კი რა არის ცოტათი და ბევრათ სიყვარული? სიყვარული სიყვარულია, ან გიყვარს, ან – არა. მორჩა და გათავდა.

ჰოდა, ჩვენ კი მართლა ძალიან გიყვარდა ერთურთი. და რომ ვფიქრობ ხანდისხან ჩემს გაძაღლებულ ცხოვრებაზე და ვწუწუნებ, მერე საკუთარ თავს შემოვუძახებ ხოლმე, რა უმადური ხარ-მეთქი, ქალო, ღვთისა არ გცხვანია? როგორ ამუნათებ ცხოვრებას, ასე გიყვარდა-მეთქი. ასე გიყვარდა და ასე უყვარდი. ამაზე მეტი რა არის ეს ცხოვრება თორემ, ჰა?... ესაა თავიდათავი, მთავარი ბრძოლაც, მთავარი გამარჯვებაც... ესაა ცხოვრება.

## წერილი მთიდან

„ჩვენო ბიჭო, ჩვენო თვალისჩინო!

მოგელით მე და ჩემი კაცი. მოგელის სახლის ბებერი კედლებიც, მოგელიან აბალახებული საფეხურებიც, ეს მთებიც მოგელის, წყაროც თითქოს წვეთ-წვეთობით ითვლის უშენო წუთებს... მამაშენიც გელოდება – მამის საფლავი.

რაღა საკვირველია, აქეთობის დანახვაც რომ გზარავს. ვინ იცის, ის დღე არ გავიწყებს თავს, ის ავბედითი დღე, კარს რკინის კუბოში ჩაჭედილი მამის სხეული რომ მოგვაყენეს. უკანასკნელად თვალიც ვერ ვკიდეთ. გახსნა არ შეიძლებაო. ალბათ ნაღმზე აფეთქებული მისი სხეული, ვეღარ თუ შეაერთეს, ვეღარ თუ ააწყეს... ის დღე თუ იყო, მეც რომ დამეფლითა სხეული, მეც მზესუმზირის ყვავილივით დავიმარცვლე, ცარიელი ჩენჩოღა დავრჩი, მტვერსა და შარდში გადაფურთხებული. ის დღე თუ იყო, პაპაშენს რომ მზერაში წითელი ბზარები გაუჩნდა. ის დღე თუ იყო, შენც რომ ზურგი გვაქციე...

რაიღა ჩვენი ცხოვრება იყო, მაგრამ აქ შენ იყავი. და სულ ვფიქრობდი, ჩემი შვილის თოლებით ახლა შენ უნდა გემზირა, შენთვის უნდა დაეკრიფა ჩემს კაცსაც ტყეში გაბნეული სოკო, შენთვის უნდა გვებალახებინა ხბორები, შენ გამო უნდა გვეპატრონა ამ კარ-მიდამოსთვის. და მართალია, მე ჩამოვღამდი, ჩემს სულში ჩავიდა მზე, მაინც ყოველ დღე ვთენდებოდი, სულში იმედის ჭრაქს ვანთებდი ყოველ ცისკარზე და გზას გავცქეროდი. ვერ იქნა და იმ გზამ შენ ვერ მოგიყვანა. ამ მოლოდინში კართან დაბერტყილი თოვლივით დაგვცვივდა წლები.

უწინ რომ ცხორს ვაბალახებდით, ახლა იმ მთებს წლები შესევიან. ერთი კია, მაშინ გორაკის თავზე მოვექცეოდით და ზევიდან დავყურებდით, ახლა კიდევ ჩვენ დაბლა ვართ და წარსული მშიერი ფარასავით გაშლილა ფერდობზე. ე ტიელი მუხლებიც აღარ გვერჩის, რომ გავედევნოთ და ერთად შევყაროთ. ანაბარი ფარასავით ვითვლით და სათვალავი გვერევა, ისევ ვითვლით და რაღაც ისევ გვენაკლისება. ადრე ამ მთებს ედგა ხოლმე ნისლი ქოჩორზე, ახლა და ახლა ის ნისლი ჩვენს მზერას ედება და სულ უფრო გვიჭირს წინ რაიმე დავინახოთ. ალბათ ეს თუა გზის ბოლო, როცა წინ აღარაფერი ჩანს, უკან კიდევ სავალი რა ხანია ჩახერგილია. ყველაფერი სრულდება ბოლოს, ჩვენც დავსრულდებით. ჩვენი ძალის-ძალად გათენებული დილებიც დასრულდება, ჩვენი ამაო მოლოდინიც დაიწრიტება და სულზე ვარსკვალებივით დაყრილი ოცნებებიც გაბაცდებიან... მანამდე კი მინდოდა მეთქვა: ყველა მცდელობა გაექცე შენს თავს, ამაოა, რადგან წინ კი არ მიიწევ, წრეზე ტრიალებ. ისევ შენსავე თავს უბრუნდები, შენ კი მხოლოდ სახელი და გვარი არ ხარ, შენ ის ფესვები ხარ, რომელზეც ამოიტოტე, შენ ეს მორყეული კბილივით ცალ მხარეს გადაწოლილი სახლი ხარ, შენ ეს მთები ხარ, პაპაშენის დაკოჟრილი ხელები და მამის საფლავი ხარ. ამიტომ თუა ეგ ყალბი ნათებები, შენს სულში სინათლეს რომ ვერ შემოიტანს. დაიღლები, გვალვიანი მიწასავით დაშრები და დაიბზარები. შველას ითხოვ, დარწყულებას ინატრება და ვერ კი შესძლებ. რადგან მხოლოდ იმ წყაროს შეუძლია შენი წყურვილის მოკვლა, რომელიც მამაშენის ეზოში მოედინება. ჩვენ აღარც რა გვჭირდება, შენ გამო დაბრუნდი, დაბრუნდი დასარწყულებლად... ოღონდ ეცადე, შენს მოლოდინში წყალიც ჩვენსავით არ დაშრიტოს...

სიყვარულით შენი ბებრები“.

# პოეტ
# პოეტიშვილი

## სიყვარულის პიეტა

უვნებოდ ვევნეთ, ვევნეთ არმურით,
ხელში პოეტი მანამ გაკვდები,
სანამ ქმნილება ვენერამური
პარიზის გულში აქანდაკდება.
გული მკვლელ ისრით დაისრულია,
უსული სულიც პარისულია,
დგება დაისის დასი სრულიად,
ცის ქაფში ლურჯი ქარი სულია.
ჩვენს ძეგლს ამკობენ სატრფოს ტიტებით
და ეროსული დროით დგებიან.
უფრო და უფრო აფროდიტებით,
კუპიდონებიც ფროიდდებიან.
ჩვენი შემყურე მათ აქვთ ოცნება,
წმინდა, ხელუხლებ, პირველ ტრფობაზე.
პეპლური ფრთების გაცისკროვნება,
სურვილებს უჩენთ პიეტობაზე.
ცისფერ მელნით ვარ შენზე კალმური,
ლირიკის ქნარმა გქმნა არაკებით,
ვდგავართ წრის ფორმით – ვენერამური,
ანდროგინული აქანდაკებით.

## პარიზის პიეტა

წყვეტილი სიტყვებით ატირდა ტაეპი,
ტანჯვის და წამების პირველი ეტაპი.
იგრძენით მუზის და პოეტის პიეტა,
ლექსი რომ ეძლევა სულიერ დიეტას.

სიტყვებით ავაგებთ ამურულ კულტს ორი,
პარიზულ სიყვარულს წიგნში რომ გიგროვებ.
ჩვენს ძეგლზე იფიქრებს მომავლის სკულპტორი,
მუზა რომ თეთრ პოეტს შავებით მიგლოვებ.

## ლურჯი პიეტა

ტკივილს ყოველთვის მიქებ, მტანჯველო,
ჩვენკენ იბრუნებს პირს ჯულიეტა,
რომ გამოკვეთოს მიქელანჯელომ
მარმარილოდან ლურჯი პიეტა.
პოეტი – მაღალ ცის პიონერი,
ქალი ჰგავს მარტის ქარის მოქცევას.
მზე – ლურჯი რჯულის მისიონერი,
რომელიც ცდილობს მთვარის მოქცევას.
გხატავ გვირილას მზის სილუეტად,
რის მაქნისია ჰო, რის ის იდა...
შენ ტრფობით მიდგას სული პიეტა,
გულს რომ მაწოვებ ჰორის ისიდა.
ან მარადისი, ან აქ რომია,
როს არის ბროლის ბუ ნოვატორი,
ლურჯ მოსასხამში ანა ქრომია,
უფლის პერანგში ბუონაროტი.
ტანჯულ მიჯნურის არფა სულია,
როს აღიარებს რჯულს ჯულიეტას.
მარად თოვლის ქვეშ დაფარულია,
ქვის სიმფონიით ლურჯი პიეტა.

## თოვლის პიეტა

ქართველ პიეტას ცის ფერიები
გრთავენ სითეთრის რბილი სიცხოვლით.
ნორჩ გვირილების მზისფერ ციებით,
გაათბე დედა თბილისი თოვლით.
ცის მითითებით არამითო ვლი,
თოვლს მოგაგებენ პატივს მგოსნები
და ჩემზე იყოს არამი თოვლი,
თუ თაყვანს არ გცემ პატიოსნებით.
ძირს თუ სამეფო ეტლებით ილტვით
მზის პატარძლები, საფარ ფატებით,

მაშინ მუცელში პეპლები მივლის,
ამურულ ფრთების აფარფატებით.
ღმერთმა მოუშვა თეთრი წვერები,
სულში რომ ვუშვებ ციურ შუქითა
თოვლზე დავდივარ ფეხისწვერებით,
სულიერ პეპლის სიმსუბუქითა.
თოვლს გელოდები ხანგრძლივ ოცნებით,
ერთგგულობ, როგორც ცის ტერიერი,
რომ ორფიკული მანდილოსნებით
მოგიწყო წმინდა მისტერიები.
ჩემი ვერ ფლობით თბილისელები
წინასწარ მგლოვობთ, მარდად, წრიულად,
მე სუფიური შლილი ხელებით,
ვბრუნავ, თოვლს გეტრფი მარადიულად.
ღია თვალებში მწუთხით სოველი,
თოვლის აღდგომით წამ-წამს მინდები.
მარადიული წუთისოფელი,
შენთვის რომ განვვლო ამთაწმინდებით.
ათოვს დედაქალს თლილი სითრთოლვით,
გადაუხადეთ აღაპი ნეტარს.
ხელებზე გიწვენ თბილისის თოვლით
დასატირებლად, მაღალ პიეტას.

## ოდა მარიამს

მზეს თოვლში გნათლავს სადაისე ცა,
თეთრ დაფნას რომ მფენ მადონას დასით.
გამეხსნა ლოცვის მადა ისედაც
და ადონაის ადონაისი.
სპეტაკ სპექტაკლმა ცრემლი მადინა,
შენც დამიტირებ პირსველ პიესად.
პოეტს მეწვევი მუზის მადონა,
ჯვარცმული ლექსის პირველპიეტად.
ღმერთმა რომ ხელი დამადო ნებით,
ვიგრძენ შეხებით უზადო სული.
მარიამებით და მადონებით,
ბევრჯერ იქნები მუზად მოსული.
მესმის მესიის მესა ხნოვანი,
სული ფრან-გულმა მოდამ არია.
ექო მეძახის ზესამხმოვანი
და ღვთაებრივი ოდა, მარიამ!

## მარადქალწული მუზა

ქალწულ მუზაზე მწინდავს სტროფი მე,
ვეძებ შორეულ სავანს გოგენის,
რომ ვნახოთ არლში წმინდა ტროფიმე
და მზის ნატურა სავანგოგენი.
სულს სწევს ღვთიური ტემპერატურა,
როცა გიგალობ ანჩისხატმღერი.
სიტყვის გზას ღებავს ტემპერა ტურად,
ლექსის სახედ გწერ მუზის ხატმწერი.
ლექსის ხატად გწერ მუზის ნატურას,
ღვთისმშობლის ხატად, დარად, სახებად.
ყრმა გვირილა ხარ თუ მზის ხატურა,
რომ ვერ გიმეტებ თვალშესახებად.
მუზის ხატად გწერ სიტყვის მხატვარი,
თავს არ მოგაწყენ თუ ნამეტარი.
მარტვილურ ფიქრით ითქმის მთავარი,
შენზე ვლოცულობ მუზა, ნეტარი.
ჯვარცმული სული სადღაც აღდგება,
წერს ისტორიას ამური, კლიო
და თვალს აყოლებს ცადამაღლებას
პარიზი, ლექსი და მურილიო.

## პოეზიის ყვავილები

ყვავილქალაქს აქვს სტიმული დაწყვილებით,
თავის ქალა არტისტული ყვავილებით.
ფერფლით აღდგა ფასკუნჯივით შორს ცელანი,
მელანივით აყვავილდა პორცელანი.
კალამს ქმარი უნდა ერქვას, ცოლს მელანი,
ცის მუმიის პორტრეტს ვაღდგენ ფაიუმით.
ისე მხიბლავს ხელოვნება პორცელანის,
ბუნებრივად გძერწავ თოვლის ფაიფურით.
არ ვინანებთ ინანების შენანებით,
მზიდან ვიშვით გვირილების ყრმა ჩვილები.
მორფევსის ქნარს როცა ვიღებ, მეზმანები
თავის ქალავ, არტისტული ყვავილებით.
ქალის ქალაქს აქვს ტიტული შავ წყვილების,
ბოდლერს ვაქებ ბოროტების ყვავილებით,
ლაფორგს კეთილ-განწყობილი ყვავილებით,

გალაკტიონს არტისტული ყვავილებით,
პოეტიშვილს ფუჟერული ყვავილებით.
გულს ვაყვავებ სილფიუმის ყვავილებით,
სულს შთავბერავ პორცელანის ყვავილებით.
გამაცილებთ პოეზიის ყვავილებით,
გამაცილებთ გულდაჭრილი ყმა შვილებით,
გამაცილებთ შავ გედების ხმაწვრილებით,
ჩვიდმეტ რიცხვში მარტის ტურით, ჩხავილებით,
თავის ქალა არტისტული ყვავილებით.

## პარიზი. ბათუმი. შარტრი.

ძველ წელს მიაცილებს სადღაც საკაცე დრო,
დგება გოტიკური, არტშრის კალენდარი.
შობით მარიამი აღდგა საკათედროდ,
მსგავსი აღნაგობის შარტრის კათედრალის.
პარიზს ვაგუგუნებ მიმქროლ დედაზარით,
ვნების გვირგვინს მადგამს თავზე ცისმპყრობელი,
როცა სიყვარულზე ვფიქრობ ზედააზრით,
ქრისტე პოეტია, მუზა ღვთისმშობელი.
ლექსის წერისთვისაც რადგან გვიან არის,
მთვარეს ოლარს ახვევს ყელზე გინგილო ცა.
პირველშობილივით დადგა იანვარი,
ნახე, ფარულ მუზას ლექსით ვინ გილოცავ!

## ავრორა ბორეალი

მკლავ, კვლავ შავ როლის ბორიალით,
ელვაში ვივლი მეტი ალით.
გეძებ ავრორა ბორეალის,
მუზის პოლუსზე ხეტიალით.
აქროლდა სულის როიალი,
ობოლ ამბორის ბორიალით.
შენამდე ისე შორი არი,
როგორც ავრორას შორს ციალი.
პოეტს – უკვდავი mori ელის.
მუზას – ავრორა ბორეალი.
მთვარე, ვით ვერცხლის მორიელი,
გიჟდება მარტის ძრომიალით.
ჩამითრევ ქაფის მორევს, ქალი,

ლურჯ-თეთრ ქაფიდან ვიბადებით.
სად ხარ, ავრორა ბორეალი,
ნუთუ შორიშორ ვიბადრებით.
როგორ გაკოცებ ამბორის ქალს,
თავზე დაჰყურებ ზემო ციალს,
სიკვდილს უქადი ამ ბორიალს,
პოლუსზე მიხსნი მემორიალს.
ველარ ვიკავებ ემოციას,
მაშინებ, როგორც ლორელაი.
უცებ რიჟრაჟმა შემომცინა,
ქარმა წამიღო ბორეასის.

## სიყვარულით დაჯრილი ეროსი

ლექსად უნდა ვთქვა საგა ეროსის,
გულიდან ტრფობა აღდგა ისეთი –
სასამყარო და საგაეროსი,
მას ძეგლს დაუდგამს საგაისეთი.
ვნების ბრძოლაა ეროტ ონინის,
კვესით მანთებენ აბედნი ეროსს.
დამიქვეითდა სეროტონინი,
რომ არასოდეს მაბედნიეროს.
საატმოსფერო-საჰაეროსი
მოვედი შენთან, აჰა, ეროსი,
პარისის სახით და რომეოსის,
ლირიკის ღმერთი და ჰომეროსი.
გულით მშვა პირმშოდ ცისკრის ვენერამ,
ლექსში ეროსის ბერო სულია,
სულგულგონება სხივით მენერგა,
ვგრძნობ რომ სამივე ეროსულია.
მირწევდა გულის აკვანს ეროტი,
მიჯნურთა ცაზე – სატრფოსფეროში.
ლექსის ღვინო მზრდის ანაკრეონტის,
გეძებ პარიზელ საფპოს ეროსში.
ღმერთმა გულფურცლად წეროს პროლოგი,
თავბრუ მესხმება წამორეტებით,
შენ ხარ პოეტის ეროსოლოგი,
წიგნს რომ ფრთებს ასხამ ამორეტებით.
მტანჯავ ფსიქეას ასული, ეროსს,
გავტეხოთ პური ორმა სერობას,
ვგრძნობ დიდ სიყვარულს სასულიეროს
და საიდუმლო რომანსერობას.

ცამ რომ ეს ლექსი წეროს ფრთით წეროს,
ფარულად მეტრფი ორფეოს, ეროსს.
მეც გესვრი ტრფობის სტროფებს შორ სფეროს,
მორფევსულ სულით რომ მოგეფეროს.

## ამურის ვეფხვი

ხვევნით ეხვევა არმური ვერხვზე,
მზე ისარს მესვრის დრაკონ-იერით.
ვენერას ლომი, ამურის ვეფხვზე,
ვნადირობ, როგორც ბრაკონიერი.
ყველა კანონი მკიდია ფეხზე,
მუზის ქურდი ვარ კანონიერი,
მთვარეულივით მივდივარ მეხზე,
ვგიჟდები ბრძენი და გონიერი.
მთებს ცეცხლს უკიდებს ექო ალური,
ვარ სიბრალული მტრისა და მოყვრის.
იქნება მარად ეპოქალური,
ტრფობის ბალადა ვეფხვის და მოყმის.
დასეული ჰყავს ჯოგის ნადი რომ,
მზად ვარ უფსკრულშიც საურმის ფეხვით,
ოღონდაც ერთხელ მოვინადირო
ლომურ მკლავებში ამურის ვეფხვი.
წმინდაა, როგორც სავანეს ტანი,
ჰყავს უთვალავი მეტრფე, მიჯნური.
მაძლევს ჯანდაბის სავალს ნესტანის,
გავშმაგდი, როგორც ერთხელ მეჯნუნი.
ძილი გამიტყდა ღამურის ფერხვით,
მიმაფრენს თეთრი ცხენი შაოსანს,
რადგან მუზად მყავს ამურის ვეფხვი,
ვწერ ახალ ლომურ ვეფხისტყაოსანს.

## სიყვარული უპირველეს ყოვლისა

სიყვარული უპირველეს ყოვლისა
რომანსერო ამამღერებს რეროსი,
სულყვავილი ამიყოლებს მყოლისა,
ცის სფეროთი ორფეოსის ეროსი.
სიყვარულზე სასაუბროდ აგათონს
ვეწვეოდი პლატონური ნადიმით.

სიყვარულმა სანთელივით აგანთოს,
რომ არ გასცე საუდუმლო ნამდვილი.
ეკიდება როცა გულის სტენტს ალი,
ჩასაქრობად ზღვის ქაფის ქალს შესძახე,
რასაც გეტყვის დაიჯერე, სტენდალი,
რასაც გრძნობდა სიყვარულის შესახებ.
გულისპირით გამეხსნება ლექსპირი,
რომ შეგამკო სონეტების გვირგვინით,
ტრაგედიას მოგვიძღვნიდა შექსპირი,
დატირებით ცოტა შვებას მგვრი, გვრინით.
ვიბადებით სიყვარულის უნარით,
რომ განვდევნოთ არიმანი რიმანით.
ხოტბას ვასხამ ურანიას სულქნარით,
ქრისტიან და მუსლიმანის რომანით,
სიყვარული უპირველეს ყოვლითა,
სიყვარული დაკარგვაა ყოლითა,
წერს ეპოქას სიყვარულით ვენერა,
რომ დავიწყოთ ამურული ჩვენ ერა.
სიყვარული დაფარული კრისტალით,
მარად დნება უპის ველზე მოსვლისას.
პარიზისკენ გაგვიყოლებს მისტრალი,
სიყვარული უპირველეს ყოვლისა.
სიყვარული უპირველეს გრძნობისა,
სიყვარული ქალაქში და სოფელში.
სიყვარული ვენახში და ძნობისას,
ურჩევნია დავითის ქნარს ოფელში.
სიყვარულით დამაქვს ტანჯვის ტანჯვარი,
მომინატრებს მონმარტრიდან მთაწმინდა.
პარიზელი სიღნაღელზე ნაჯვარი,
პლატონური ვაშლით მიყვარს დაწინდვა.
სიყვარული ამურული თრობითა,
სიყვარული ხმაში თოვლის თრთოლითა,
სიყვარული სიყვარულის ხმობითა,
ლაჟვარდებზე უცისფერეს თოლითა.
მარცვლებს ვთესავ და ლექსს ვიღებ მკობისას...
სიყვარული მარადიულ წლობითა,
როგორ მინდა დაბრუნება ტკბობისა,
დაკარგული მარიამის ფლობითა.
სიყვარული ჩემი გულის მყოფლისა,
სიყვარული უპირველეს ყოვლისა!
სიყვარული უპირველეს ყოვლისა!
სიყვარული უპირველეს ყოვლისა!

# დარინა მახარაძე

## რწმენა

პირჯვარს ვისახავ,
შენ შენს ალაჰს
შესთხოვე მადლი,
რომ ჩვენს მომავალს,
საქართველოს,
ეშველოს რამე,
მე ბიბლიაში,
შენ ყურანში,
ამოვიკითხოთ,
და მოწყალების
თვალით ვსთხოვოთ
ჩვენს გამჩენს რამე.
ღრმა ბავშვობაში
ერთხელ გკითხე
ხომ არ მატყუებ?!
შენ გულნატკენმა
გაიკვირვე
მომიგე წამსვე,
ისე მიყვარხარ
არასოდეს
არ გეტყვი ტყუილს,
ამ პურის მადლმა,
პურს მიტეხდი
შუაზე... ჭამე.
შენ ლეჩაქს იღებ,
იმოსები
ყოველ განთიადს,
მე მზის ამოსვლას

ტაძრის კართან
შევხვდი მანდილით.
მოდი საჯაროდ,
გამოვიდეთ,
მე და შენ ერთად,
რწმენა გულშია,
მეგობრობა თუა
ნამდვილი.
მე ჯვარს დავიწერ,
მუხლს მოვიყრი
საკურთხეველთან,
შენ აღდი დადე,
გულით გწამდეს
უფლის წყალობის,
მე ჩემს ოჯახში
შევაყვარებ
შენს მობრძანებას,
ჩვენი შვილები
იამაყებენ ჩვენი ქალობით.
მე საქართველოს
დავუდგები როცა ქომაგად,
შენ კი ჩემს გვერდით,
მაგრძნობინებ
მარტო რომ არ ვარ.
მე პირჯვარს ვიწერ,
შენ შესთხოვე
ალაჰს წყალობა,
მზე სულში გვიდგას,
სიკეთის ხმის
მესმის გალობა.
გული ღვარძლს
არ გრძნობს
ერთ მისხალსაც,
ვლოცულობ ღამე,
არ შევურცხვინოთ
საქართველოს
სიწმინდე, არა,
მე რომ მოვკვდები
შენს იმედად
ვტოვებ ჩემს ტაძარს,
ჩემს საცხონებლად,
მოუარე
როცა მე წავალ.

*  *  *

ჰო, რა უეცრად ამოუშვა სულმა სიგიჟე...
მოულოდნელად გაგიმხილა გულმა დარდები,
მე ყოველ დილით შენი სახის ნატვრით ვიღვიძებ,
ვიცი, ჰო ვიცი, შენ ოდნავაც არ გენატრები.
დაძინებისას ათას ფიქრში დაგყვები უხმოდ,
შენი თითები, როგორც სტრუმებს, თმებზე მეხება,
და რანაირად შემიყვარდი, ასე უთქმელად...
როგორ ამრიეს მაგ თვალების მშვიდმა ფერებამ.
მწვავს ეგ მზერა და მზერის შიგნით იქვე გიკვდები,
გული ჩერდება და სხეული ეცლება მიწას,
მე შენთან ერთად სიყვარული მეცოტავება,
შენს პულსაციას აყოლილი სიცოცხლე მინდა...

## უსხეულო

მე თუ მინარეთს,
მდინარემდე ავყევი წელსაც,
გაისად ამ დროს
სხეულისგან სულსაც შევიხსნი.
ცოდვიან ხელებს
მარიამის ვიშრობ კალთაზე,
და ურცხვი მზერით
ნირის ნაცვლად
ადგილს შევიცვლი.
წელს თუ მდინარეს,
მინარეთის გზისკენ გავყევი,
ყველა ჯვარცმა და
სისხლის წვეთი
განმიახლდება.
აქ დედამიწა შევცვალეთ და
გარდავისახეთ,
აქ სხეულები უსულგულო
გვექცა დახლებად.
ვვაჭრობთ მოყვასით,
ვყიდით სულს და
რასაც შევწვდებით.
ველარც მდინარე
ვერ გარეცხავს

სისხლიან ლაქას,
წელსაც თუ ისევ
შევუყევი მინარეთის გზას,
წელს თქვენი თვალით
შეესწრებით აქ
ჩემს წილ ჯვარცმას.
მივაპობ ქარცეცხლს,
მოღეღილი პერანგის შიგნით,
გულიც ჩამეხსნა,
ყველა შედის,
ყველა გამოდის,
განა უცხოა?!
ჩვენ ყოველთვის
ასე ვცხოვრობდით,
წელს რატომ ვღელავ?
სინდის ვეძებ?
ვეძახი შორს და
ყელგაღადრულს
ხმა არ ამომდის...
ან რას ვიპოვი,
რაც წავიდა,
რაც შევიფრცქვენი,
აღარ ბრუნდება და ქისაში,
ვამატებ ვერცხლებს,
ისე ვიღლები,
საკუთარი თავი მაშინებს,
ისე მბეზრდება რომ ჩემივე
სხეულში ვერ ვძლებ.

# ქრისტინე ჩიხლაძე

*  *  *

რაღაც სხვა ფერი წაეფინა შენს სილურჯეს,
გამიჩერდება ხსოვნა დუმილში,
მომიტევებდე, წამსვლელი ვარ, ვეღარ ვიურჩე,
გადავიქეცი საფლავის ქვად შენი გულისთვის.

დამიშრა სისხლი, გადამეხსნა ძარღვები, კანი...
ჩიტს შევეხიზნე ფიქრში მგალობელს,
მზე იფუთქება, ჩამოდიან სალიტანიოდ
გალაქტიკები ირმის ნახტომის კვალზე ნანობენ.

სხვა პარალელში გავამგზავრე შენი სახელი,
ბედნიერი ვარ, შენს სილურჯეს სხვა ფერი ფარავს,
კუბოში მნახავ დამაშვრალს და თვალებგახელილს
და წამასვენე შენს გულში წყნარად.

*  *  *

შემოექცევი ჟამში ჟამისად,
მოლანდებული ბილიკებით შემოექცევი,
გაისამებ და მოხვალ გაისად,
მოხვალ არსიდან,
მოხვალ მყოფობის,
არაფრობის მყიფე გარსიდან...

წაცდები ბაგეს სამდურავად... ლანდები უფლობს,
სამოთხე, სისხლის სანახების, გიჩანდა შავად,
მიახლოებულს სიჩუმის კარად...
მითხარი, უფრო მძაფრად მითხარი, ლანდები უფლობს...

მე ხომ მოზომილ სტრიქონებში ვერ ჩავეტევი,
მყოფობის თეთრი არაფერით გამხდარი ავად,
მაინც მგლოვობდი სიყვარულზე, მოსვლაზე უფრო...

საუკუნეთა უწინარეს რატომ გეძებდი,
შემოექცევი ჟამში ჟამისად,
მოლანდებული ბილიკებით და გზაწვრილებით,
ფაზისის პირას მე გიცდი და ოქროს ვერძები...
მოხვალ წამისად,
მოხვალ მყოფობის,
არაფრობის სახეცვლილებით...

## დედაჩემს

დაემხო როცა ბაბილონი, სიტყვას გამოჰყევ,
სიტყვა რომ იყო შენი წილი, მიტომ განწილდი,
სიტყვამ ჩემამდე მოგიყვანა თეთრი ხმებიდან,
და მიემატე მართლებს მათი ერთი ნაწილი.
დრო – ჩვენი სახლი იზრდებოდა, მეც გავიზარდე,
მოჭრილ ფესვებზე შენი სიტყვის უნიშნო თარგით.
ნუ გეშინია, მე გაგიყვან ედემში, სადმე
და შენი სისხლის აპოკრიფებს მე გადავთარგმნი,
სტუმარი გერქვა, სადაც იყავ, უცხო და მდგმური,
სიცოცხლე გქონდა, როგორც ყელზე დამდგარი ლუკმა,
უსასრულობის, არაფერის, თეთრი სადგური
გელის, ნუ შიშობ, მე წაგიყვან აქედან უკან.
მე გავიზარდე, არაფრობის მსუნთქავ ბგერებში,
მზის კვირტობისას მე შეგითხზავ აპრილებს, მარტებს,
კვლავ გადასძახებს თეთრ სივრცეებს სისხლი ხენეში,
მარადისობას ერთი ღმერთი ჩვენიც რომ მართებს.
სტუმარი გქვია, სადაც კი ხარ, უცხო და მდგმური,
სიცოცხლე დაგაქვს, როგორც ყელზე დამდგარი ლუკმა,
უსასრულობის სითეთრეში გელის სადგური,
ნუ გეშინია, მე წაგიყვან აქედან უკან.

## მეორე ხარისხოვანი პერსონაჟი

დაწერე ჩემზე, დაწერე რამე,
თუნდაც მცირედი პწკარი, სტრიქონი,
(ჩემი ბედივით ივსება მთვარე,
სანთელს უკიდებს აშლილ სტიქიონს)...

თუნდ, ერთი სიტყვა, ის სიტყვა, ოღონდ,
ღმერთი როა და ღმერთივით მალავს
თავის სათქმელს და სათქმელის მომგონს
ვერ რო ერევა საკუთარ ძალას,
მე შენი ტექსტის საზღვრებში დავრჩე,
მივდიოდე და ვრჩებოდე შიგნით,
მ ე გნატრობდე და გებრძოდე გამჩენს,
მერე გულმოსვლის დავწერო წიგნი,
გაგიხდე მარად კითხვების შუქში
იყო! – არ იყო!-ს მოანგარიშე,
მქონდეს ეჭვები უშქერი, უშქი,
ვიყო და შენი მზერის გარეშე
არ ვიყო! ყოფნა მაინც გავბედე,
შესაძლებლობის ათას ბადეებს,
ვერ გავუძლებ, ვინანებ ბედებს,
...მე თანახმა ვარ, რომ დავიბადო!

## ქართულის გაკვეთილი

არდაბრუნებას გალობენ ცისკრები,
ჩვენ ვრჩებით, ჩვენ ფრთებში სინათლე ჩაგვებჟუტა,
ჩვენ – ციცინათელებს წელიწადში ერთხელ გვთხოვენ ანთებას,
ჩვენ ანათემაც ვართ და მოთმენაც...
ვინც დაამარცხეთ წარსულები,
თქვენ, თქვენს გულებში, ვინც გაგულდიდდით,
გახსოვთ, ვიყავით წარმართები,
მთებს კრიალოსანივით ვითვლიდით,
გახსოვთ, ვიყავით მეომრები,
ვენებზე მარილს ვიყრიდით და ვბევრობდით,
გახსოვს, ვიპოვეთ ლაბირინთის გასასვლელი,
გახსოვს ვიგალობეთ ცისკრული,
სისხლში ჩავიწერეთ 33 ნიშანი,
მზე-მთვარის კალენდარი სისხლში განვწვალეთ,
სახლები ავაშენეთ ნასახლარზე,
ბევრი ვეფხვი და ლომი მოვკალით,
აკვნებით სისხლი და ხორცი გავზიდეთ,
რაც გვქონდა გადავზიდეთ ლაბირინთიდან,
ბოლომდე, ყველა გადავზიდეთ,
რაღაცა ყოველ მოსახვევში ვტოვებდით,
მთავარი მიგვქონდა და
მაინც გადავზიდეთ ყველაფერი აკვნებით,

რაც კი გვქონდა სისხლში ნიშნები,
ახლა, არდაბრუნებას გალობენ ცისკრები,
მოიხედავ და უკუნია,
მარტო სიტყვების პარალელებში ჩავიკეტეთეთ,
მოიხედავ და უკუნია,
კურნების საუკუნე უკანაა,
ჩვენ ჩაბჟუტული ციცინათელები ვართ.

## ლექსის პაემანი

შენ, ახლა ყველას მიჰყავხარ ჩემგან,
შენ, ახლა ჩემგან ყოველდღე მიხვალ,
მიჰყავხარ ქალაქს, მეგობრებს, წვიმას,
სამსახურს, სხვა გმირს და მისხალ-მისხალ,
შენ ახლა ჩემგან გაშორებს კარი
ივლისში... კარი გაგიღებს წადილს,
ისიზმრებ ხშირად ძარღვებივით გადახსნილ კარმას,
ტვირთად რომ გექცა, რაც გეგონა ჯილდო და მადლი.
შენ, ახლა გტოვებს ჩემ ფიქრში ფიქრი,
ფიქრი, ერთხელ რო იფიქრე წინათ,
ახლაც ქარში ხარ, ნაწნავებს იქნი,
სისხლში თეთრ-თეთრი ლაქები ბრწყინავს.
ახლა მიდიხარ და რომ ბრუნდები,
სხვა ხარ და სივრცე მეტ წილს დებს შენში,
ვიდრე მე, ვინაც ჩემ სისხლში გრზდიდი
ტექსტის შიგნით და სხვა ფიქრი შემშლის:
ერთხელ იქნება, აგცდები დროში,
ანბანში, ვიცი, ქრება უცებ მზე,
შენ მოდიხარ და არ გხვდები არსად,
არცერთ გვერდზე და არცერთ ფურცელზე.

## არძლევის ძლევა

ჩვენ მოვდიოდით აგვისტოდან...
სქელძირიანი ბათინკებით ვტოვებდით ნაკვალევს,
გაღმა, ატენის ფერდობებზე რთველობდა ფერი,
ჩვენ მოვდიოდით...
ჩვენ არ ვიყავით იდენი, რომ ვინმეს ვცნობოდით,
იმდენი მაინც ვიყავით რომ
მდინარემ, ჩვენს გვერდით რომ მოაგორებდა ტალღებს

თანაგრძნობით იწყო გოდება,
მწერვალებს ობივით ედებოდათ მწუხრი
და ზურგჩანთებში ჩაყრილმა ქვებმა
ზურგიდან გულისკენ იწყეს გადმონაცვლება,
მოყოლა მაინც შეგვძლებოდა ძველთა ამბავთა,
სისხლით, ცრემლით და მელნით შეთხზულ წარსულის მბობა...
დაიწყებდა გული ბაგა-ბუგს
და დამარცხებას აქლემივით არ გავღეჭავდით
როგორც დღეის დღეს,
აქამომდეც... ხშირად
გადარჩენილებს მოყოლა უნდა გვეცადა
გადასარჩენად...
ჩვენ მოვდიოდით...

# ირაკლი ლაითაძე

## კედელზე ამოკაწრული ამბები

### ნახტომი

კაცი იწვა და გრძნობდა, რომ კვდებოდა. სიცოცხლე ხან შედიოდა მასში და ხან გადიოდა, ზღვის ტალღებივით. სიკვდილის აღარ ეშინოდა. ამდენი ხნის განმავლობაში დაუამხანაგდა, შენობით ლაპარაკზეც კი გადავიდა. ახლა ხედავს, თუ როგორ ჩამოუჯდა სიკვდილი ლოგინის კიდეზე, რბილად მომღიმარი. ფერმკრთალმა კაცმაც ღიმილი შეაგება და უსასრულობაში ნახტომისთვის მოემზადა.

### დემონები

როდესაც მგონია, რომ ჩემი ურჩხულები დავაოკე და გამოვკეტე გალიაში, ზუსტად მაშინ აღმოვაჩენ ხოლმე, რომ გისოსები შუშისაა.

### შეხვედრა

როგორც ბავშვობის მეგობარი, ჩემგან უმიზეზოდ ხელნაკრავი და დავიწყებული, ასე მრავალი წლის წინ უკუგდებული ფიქრები დღეს ჩემთან დიდები და დაკაცებულები მოვიდნენ. და მე ვერ მოვნახე ერთი სიტყვაც კი მათთან სალაპარაკოდ.

### ზარი

მგონი, რომ გამომრჩა იმ ზარის ხმა, რომელიც ყველას უხმობს.

### სიცარიელე

ხომ ხდება, რომ მიდიხარ ქუჩაში და თავში არცერთი აზრი არ გიკრთის და არც მოგონებები გიხალისებს თუ გიმღვრევს სულს. ეს სიცარიელე... როგორი საშიშია.

## ნისლი

25-30 წლის წინ დაღუპული თანატოლები. მათი სახეები უკვე იცრიცება დროის მუქი ფარდის უკან. ჩემი სახეც ასე გაფერმკთალდება, როდესაც ამის დრო მოვა. „არ დარჩენილა ხსოვნა მათი, ვინც წინათ იყო; და მომდევნოთაც, ვინც იქნებიან, არ გაიხსენებს მათი მიმყოლი“. ეკლესიასტე 1:11

## დრო

შემოდგომის ზღვა წყნარი იყო და სანაპირო ცარიელი. ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, რომ იოდის სუნი კარგად ეგრძნო. მიუხედავად იმისა, რომ ზღვაზე ყოველ წელს დადიოდა, ზღვა მაინცდამაინც არ უყვარდა. იგი მასში ბუნდოვან სევდას იწვევდა. ქვებს ისროდა წყალში და უყურებდა თუ როგორ იშლებოდა წყალი თანაბარ წრეებად. მერე ბრტყელი ქვების სროლა დაიწყო, ითვლიდა ქვა წყლის ზედაპირზე რამდენჯერ ახტებოდა. თვითმკვლელობის დღეს დრო გაყავდა.

## ხე

სადღაც იზრდება ხე, რომლისგანაც ჩემი კუბოს ფიცრებს გააკეთებენ.

## მოხუცი

როდესაც ყველასგან მივიწყებული მოხუცი ტირის თავის ღარიბულ ოთახში, მთელი სამყარო ძრწუნდება და ტირის მასთან ერთად. და ეს გლოვა თავზარდამცემად ღვთიურია.

## დავიწყებული ომი

თბილისის აეროპორტში გასაცილებლად ან დასახვედრად მისულს, გვიანი ზაფხულის ან ადრეული შემოდგომის საღამოს თბილი ნიავი ყოველთვის აგონებს ომს.

სექტემბერი იდგა. აეროდრომის რკინის მესერის გადაღმა, თვითმფრინავის ტრაპზე სოხუმის დასაცავად წამსვლელი მოხალისეები ადიოდნენ. მკაფიოდ ახსოვს კიბეზე ნელა ამავალი, ავტომატგადაკიდებული, აცაბაცად ჩაცმული ხალხი. თვითონ, საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალბედა თანამშრომელი, ორ უცხოელ ჩინოვნიკს აცილებდა. მაშინ ეს ამბავი, როგორც მხოლოდ ამბავი, ისე მიიღო. მერე კი მიხვდა, რომ ის ღობე სამყაროს ორად ყოფდა – თამაშს სიკვდილთან და თამაშს სიცოცხლესთან. და ახლა, როდესაც ცხადად თუ სიზმარში, უბრუნდება სექტემბრის იმ თბილ საღამოს, უყოყმანოდ გაცვლიდა ადგილს რკინის მესერის მიღმა.

## გული

ორი დღის წინ შვილი წაიყვანა გულის ექოსკოპიაზე – წყალბურთზე დადის და მალე ვიღლებიო. იჯდა ექიმის ოთახში, ეკრანზე უყურებდა ბიჭის გულის ფეთქვას და ესმოდა გულისცემის შხუილი. გაიფიქრა: „ღმერთო, ნუ მომასწრებ ამ გულის გაჩერებას“.

## საჩუქრები

ყოველდღიურად, ყოველთვიურად თუ ყოველწლიურად ბედს მოაქვს საჩუქრები. ბევრი მათგანი აზრდაცლილია – ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს შუშებჩამსხვრეული ბინოკლი მაჩუქეს.

## კიდევ საჩუქრები

ისევ, როგორც მანამდე – ყოველდღიურად, ყოველთვიურად თუ ყოველწლიურად – ბედს მოაქვს საჩუქრები. ზოგი საჩუქარი დამცინავად დაუნდობელია: თითქოს სასტუმროში უფასოდ გამათევინეს ღამე, ოღონდ ლოგინზე სველი ზეწარი დამიგეს, გაურეცხავი საბანი გადამაფარეს და ბალიშის ნაცვლად აგური დადეს.

## ყაჩაღი

მე ახლა მოხუცი ვარ. ბევრი რამ ვნახე და გავიარე, ბევრიც უნახავი და გაუვლელი დამრჩა. ერთადერთი, რაც მაკვირვებს, ჩემი შეცდომებია, უამრავი და სხვადასხვა, აშკარაც და შეუმჩნეველიც. მაქვს კი ძალა მათი მონანიების? დისმას, ყაჩაღო დიდო და უშიშარო, გთხოვ მომეცი შენებური, უკანასკნელი, საოცარი იმედი.

## კიკეთიდან ოჩამჩირემდე

ზაფხული. კიკეთი. ეზო. ბავშვების თამაში. ბიჭუნა ხელს გაიჭრის. მამა მოეფერება, ცოტა გაუბრაზდება კიდეც. ბიჭს შრამი დარჩება. გავა წლები და თავზარდაცემული მამა ამ შრამიანი ხელით ამოიცნობს შვილს ოჩამჩირესთან.

## ბედი

ეს კაცი ისეთი უიღბლო არის, რომ სიკვდილმაც კი უარი უთხრა.

## ატენის ხეობა

გზა მდინარე ტანას მიუყვება და მანქანაში მარტოა. კლდეებიც, გზაც, ხეებიც და მდინარეც ნაცრისფერია. მოსწონს ეს სიმარტოვე. მანქანას აჩერებს და გადმოდის. მეჩხერ ტყეში შედის. ალბათ, ახლა ხმადაბლა უნდა იმღეროს, არა?

## მარწყვის ლიქიორი

უცნაური ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირი. ბრენდი, რომელსაც ურცხვად კონიაკი ერქვა, იყიდებოდა და ვისკი კი არა. ცქრიალა ღვინო, რომელსაც კიდევ უფრო ურცხვად შამპანური ერქვა, ეგეც იყო და ლიქიორები არა. არც ჯინი, არც ტეკილა. ეს ყველაფერი მერე გამოჩნდა, სამფეროვან დროშასთან ერთად. უმეტესობა აბაზანებში იყო ჩამოსხმული. რომ არ დავბრმავდით მეთილის სპირ-

ტით. მინახავს, ხინკალს ჭამდნენ და მარწყვის ლიქიორს აყოლებდნენ. არ იცოდნენ. არ ვიცოდით. კიდევ ბევრი რაღაც არ ვიცოდით. არც ახლა ვიცით.

## სიცოცხლე

დასაფლავებებზე ცდილობდა კუბოს მტარებელი ყოფილიყო. თვითონ ხანდახან ზეზეურად მკვდარს, კუბოს სიმძიმე აგრძნობინებდა რომ ცოცხალი იყო.

## LEGIO VI FERRATA

მე მქვია კვინტუს ლუციუს ვესტორიუსი, მე რომაელი ცენტურიონი ვიყავი. უკვე დავბერდი და აწი სიკვდილს მშვიდად ველოდები. კაპუასთან პატარა სახლი გვაქვს მე და ჩემს ცოლს. ნაშუადღევს ეზოში, ხის ჩრდილში ჯდომა მიყვარს, სორენტინის ღვინით და შავი ზეთისხილით თავის შექცევა. სად არ მიბრძოლია: გალიაში, ფრიგიაში თუ იუდეაში. სისხლი და სიკვდილი ბევრჯერ მინახავს. თუმცა ერთადერთი, რაც სულ მესიზმრება, რის გამოც ღამღამობით ცივ ოფლში გაწურულს მეღვიძება, ჩვენს მიერ ერთ შორეულ, კვიპაროსებით და დაფნის ბუჩქებით მოფენილ ბაღში შეპყრობილი კაცის მკრთალი ღიმილია. ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა, იმ კაცის სახელი დამავიწყდა. ის კი მახსოვს, რომ ნაზარეთიდან იყო.

## გაღმა სეირნობანი

ნავთლუღში დადიოდა, ჩამოგლეჯილ, ერთსართულიან სახლში და ელაპარაკებოდა კეთილ კაცს, თვითნასწავლ ფსიქიატრს, რომელიც ფულს არ ართმევდა. ერთი რამე კი ცხადად დადგინდა: ბიჭს წარმოსახვის და ოცნების უნარი თითქმის არ ჰქონდა. წლების განმავლობაში დაგროვილი და მოუნელებელი ემოციები დაჩირქებული მუწუკივით გასკდნენ და წალეკეს, პარალიზება გაუკეთეს. სიგიჟემდე ბევრი არც აკლდა. მამიმისს მიყავდა ნათესავისგან ნათხოვარი მანქანით და ელოდებოდა. ოდესღაც ენერგიით სავსე ბიჭს იმის თავიც არ ჰქონდა, რომ ქუჩაში ტაქსი გაეჩერებინა. იქ ყოფნისას ცოტა შვებას გრძნობდა ლაპარაკით. ხშირად დენი არ იყო და სიბნელეში ისხდნენ, ორი სანთლის შუქზე. ნესკაფეს ცარიელი ლითონის კოლოფი სანახევროდ სავსე იყო სიგარეტის ნამწვავებით და იქაურობას ბოლის და მკრთალად მოციმციმე იმედის სუნი ასდიოდა.

## ნოსტალგია

მოენატრა გრძნობა, რისკთან ნაზავი ცნობისმოყვარეობის გრძნობა, რომელიც ვნებიანად მიაქანებს დაღუპვისკენ.

## შეკითხვა

ღირს თუ არა სიცოცხლე იმად, რომ იცოცხლო? თავი მოვიკლა თუ ერთი ფინჯანი ყავა დავლიო? დიდი შეკითხვაა. ავტოავარიაში დაღუპულ კაცს პალტოს ჯიბეში მატარებელის ბილეთი უპოვეს. შეიძლება ამით მან გასცა პასუხი თავისივე შეკითხვას.

## უკანასკნელი იმედი

რამდენ შვილმოკლულ დედას უკითხავს რძალისთვის თუ მეგობარი გოგოსთვის: ორსულად ხომ არ ხარ?

## ჭადრაკი

გარდაიცვალა მაქს fონ სიდოვი. ჯვაროსანი რაინდი, რომელიც სიკვდილს სანაძლეოზე ჭადრაკს ეთამაშება. რაინდი ეუბნება, რომ თუ მოგიგებ, არ წამიყვანოო. მაგრამ არავინ ამბობს, თუ სიკვდილი მოიგებს, რა მოხდება? წაიყვანს? ამას ხომ ისედაც იზამს, ჭადრაკით თუ უჭადრაკოდ.

## მაგნა

მაგნა, ოღონდ მაგნა კარტა არა. ეგ ჩვენ ვერ დავწერეთ, ჩვენ არასერიოზული ხალხი ვართ. სიგარეტი მაგნა, წითელი კოლოფი და ლურჯი ასოები. მაგნა და ქვეყნის დამოუკიდებლობა ფეხდაფეხ მოვიდნენ, მაგნამ ცოტათი მოასწრო. ერთი სტიპენდიით 8 კოლოფს იყიდდი. მაგარ დროს მომიწია სტუდენტობამ.

## დაკარგული

Тетя პალინა, ბათუმი, ჩვენი და მეზობლების ბინების დალაგება, ერთად სადილი. კეთილი და ლოთი, რუსი პალინა. ერთხელ, ერთ პელმენში ათკაპიკიანი ჩადო და სხვებში არია, აბა ვის შეხვდებაო. ერთი შვილი ჰყავდა, იგარიოკი. ყაზახეთში მოკვდა, ბალხაშის ტბასთან გადაკარგულ რაღაც ქალაქში. მაგის მერე სმას უმატა. მარტოხელა იყო, „პოლუპადვალში“ ცხოვრობდა და ფეხბურთის კარი პალინას ბინა-სარდაფის გარე კედელზე იყო დახაზული. ბურთის ბრაგუნით შეწუხებული ბრაზობდა და გვეჩხუბებოდა. ზამთარში მოკვდა, მე კი ბათუმში მარტო ზაფხულობით ვარ. ბევრი წელი გავიდა. საფლავზე ერთხელაც არ ვყოფილვარ. ყოველ ზაფხულს, ბათუმში ჩასული, ვფიქრობ, რომ მოვიკითხო მისი საფლავი და პატარა თაიგულიც წავიღო. ვერა და ვერ წავედი. ეტყობა, ეტყობა კი არა, ესე იგი საკმარისად არ მინდა. ახსოვს კი ვინმეს მისი სამარე სად არის?

## შავი თვალები

უკვე 28 წელია ჩემი კორპუსის ლიფტის კარზე 5 ნატყვიარია. ვუყურებ ამ იდეალურად მრგვალ ხვრელებს და იქიდან შავი თვალებით მიცქერის მიზანს აცდენილი სიკვდილი.

## ლიფტი

თვითმკვლელობაზე ფიქრობდა. ხან იარაღით საფეთქელგახვრეტილს წარმოიდგენდა თავს, ხან კორპუსის სახურავიდან გადმომხტარს. ყულფის და საწამლავის იდეა არ მოსწონდა. მაღლიდან გადმოხტომაც არ ეხატებოდა გულზე, დავმახინჯდებიო. მერე ლიფტის კარში თითი მოყვა და ეტკინა. მიხვდა, რომ თვითმკვლელი ვერ გახდებოდა. ეს კიდევ ცალკე საფიქრელად ექცა.

## დისთიმია

იღვიძებდა და არაფერი ეხალისებოდა. სევდა და შფოთი ხშირად იპყრობდა, ყველაფერი ნაცრისფერი და შენელებული იყო. „შეუძლებელია გაგაგებინოთ იმათ, ვისაც ეს არ გაგივლიათ“ – უთხრა ერთხელ ცოლს. საღამოობით ცოტა უკეთესად გრძნობდა თავს. „მონოპოლარული დეპრესია“ – დაუსვა დიაგნოზი ექიმმა. „როგორ დავიღალე“ – გაიფიქრა და რეცეპტი უიმედოდ ჩაბღუჯა.

## სათვალე

მთვრალი სახლში ღამღამობით წიგნებს კითხულობს. ოღონდ გამოფხიზლებულზე არ ახსოვს ხოლმე რა წაიკითხა. მხოლოდ სათვალის დალაქავებული შუშებით ხვდება, რომ უტირია.

## ჩრდილები

როდესაც შევდივარ ჩემს ძველ ბინაში, ხშირად მგონია, რომ ისინი, გარდასულებიც, ისევ აქ არიან. და ვეძებ კედლებზე ჩრდილებს, მათ ძველმოდურ ჩრდილებს. ველოდები, რომ კაცებს ისევ ის ფართო პალტოები და ჩაფართხუნებული შარვლები ეცმებათ და ქალებს კი ისევ ის წელში გამოყვანილი, გაშლილი კაბები. მაგრამ ჩემი თვალები შიშველ კედლებს აწყდება, ვერაფერს ვხედავ და სევდაც სწრაფად იწყებს მათი ადგილების შევსებას. სევდას კი ჩრდილი არ აქვს.

## სიგარეტი

აივანზე ხშირად გადის სიგარეტის მოსაწევად. სულ ჰგონია, რომ ყოველი მოწევის მერე რაღაც ახალი მოხდება, საინტერესო დაიწყება. ასე გრძელდება უკვე რამდენი წელია.

## ძველი ნაცნობი

რამდენი დრო, ენერგია და ძალა მიაქვს იმას, რომ ელემენტარულ დონეზე მაინც გაძლო? ნელ-ნელი შეჭმა იცის დეპრესიამ, ჩემმა ძველმა ნაცნობმა. დეპრესიას სახე არ აქვს, საერთოდ არ აქვს. ის მედუზასავით უსახურია.

## MEMENTO MORI

მე ისე ვფიქრობ, ვლაპარაკობ და ვიქცევი, თითქოს არასდროს მოვკვდები. და რას დავტოვებ? არაფერს ისეთს, რაც სიკვდილის შემდეგ მომდევნო 10 წელიწადს გაუძლებს.

## პატიმარი

იძულებული იყო გაეთავისებინა ის ცხოვრება, რომელსაც არ აქვს მომავალი, სადაც გამეფებულია გადაწურული იმედი და დაუსრულებელი დაღლილობა. მიხვდა, რომ აწი ვერაფერს შეცვლიდა,

რადგან ბევრი, უზომოდ ბევრი წელი ჰქონდა დაკარგული. მიხვდა და მიიღო. შეეჩვია თავის ბედს და ცოტა შვებაც კი იგრძნო. დამთავრდა ფართხალის და რაღაცის მიღწევის სურვილი. ყოველ დღეს ითვლის და დაღამებას ისე ელოდება, როგორც დიდი ხნის წინ, სკოლაში გაკვეთილის დასრულების ზარს. დაღამებისას კიდევ ერთი დღე გამოაკლდება იმ სასჯელს, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია.

## პოლკოვნიკს არავინ სწერს

მე მინდა შენ მოგწერო, პოლკოვნიკო. მაგრამ რა მოგწერო? დაგაიმედო, რომ პენსია დაგენიშნება? რომ შენი მამალი ორთაბრძოლას მოიგებს? რომ შენი ცოლი ასთმისგან განიკურნება? არაფერი მსგავსი არ მოხდება. არც პენსია დაგენიშნება, შენს მამალს დაკორტნიან და შენი ცოლი მოკვდება. რად გინდა ტყუილი იმედები, პოლკოვნიკო? მაგრამ მე შემიძლია დაგპატიჟო და ერთად დავლიოთ ვისკი, დავლიოთ ძალიან ბევრი. დავლიოთ იმდენი, რომ ფანტაზიებში გადავეშვათ, მოჩვენებები გამოგვეკიდონ, აწმყო და წარსული ვერ გავარჩიოთ. ის წარსული, სადაც შენ ისევ ის ახალგაზრდა ოფიცერი ხარ, რომელსაც უყვარს და სჯერა. და მე კი შენი პოლკის საბრძოლო დოლის დამკვრელი ბიჭი.

## თანამეინახეები

ჰა�ა, დალევდი ვისკის ო. ჰენრისთან?! ან ჯინს ედგარ პოსთან?! ან არაყს გალაკტიონთან?! ან ღვინოს ლორკასთან?! ან ლუდს სტეინბეკთან?! ან დაიკირის ჰემინგუესთან?! ან შნაპს ცვაიგთან? ან კონიაკს როლანთან?! ან შამპანურს კამიუსთან?! ან სამაგონს ფიოდორ მიხაილოვიჩთან?! ადვილი არ გეგონოს.

## დეზერტირების ბაზარი

გუშინ ღამე უსახლკარო კაცი გაიყინა დეზერტირების ბაზართან. მოკვდა მარტო, ნაგავში. ღმერთო, შეუცნობელია შენი გზები.

## თაგვი

სულ უკვირს, რატომ აქებენ ასე ფულის შოვნას და ფულის მშოვნელებს? საჭმელი სახლში ხომ თაგვსაც მიაქვს. ეს იგივეა, ვინმემ რომ შეგაქოს, ყოჩაღ, რა მაგრად გადიხარ კუჭშიო.

## დროის გაყვანა

ზოგი წუხს უმუშევრობით, ზოგი ბედნიერია თავისი სამსახურით თუ მუშაობით, ზოგს მეტი უნდა, ზოგს ნაკლები – საბოლოოდ კი ეს ყველაფერი დროის გაყვანაა სიკვდილის საათამდე. არა?

## ღამე

მეგობართან საუბრით მოკლდება ღამე, დარდის და ცრემლის მატარებელი.

## ძველი სახლი

თავისი ბინა გაყიდა. მყიდველს შეუთანხმდა, რომ ორ კვირაში დაცლიდა სახლს. დღეს ბოლოჯერ მივიდა, დარჩენილი ნივთები აიღო და კარი ჩაკეტა. უკანა გზიდან მიბრუნდა, შევიდა ბინაში და კედლებს მოეფერა.

## ბავშვობის ძუჩა

სამმა თავი მოიკლა, ორი მოკლეს, ორი ნარკოტიკმა, სამი უბედურმა შემთხვევამ, ორიც ავადმყოფობებმა შეიწირა. ეს მერე მოხდება, წლების შემდეგ. ახლა კი კორპუსის ეზოში უდარდელად დგანან და საზამთროს ჭამენ, ხელები წვენით დასვრილი აქვთ და „კურკებს“ იფურთხებიან.

## ნაცნობი

ყველაზე ცუდი და უსიამოვნო ნაცნობი საკუთარი თავია. რა თქმა უნდა, თუ გაბედე და კარგად გაიცანი. ჰაა, ეგრე არ არის, ირაჯან?

## შერკინება

გუშინ ბროკჰაუზის და ეფრონის ენციკლოპედიის ორი ტომი გაყიდა. ამ ფულით ერთ თვეს, თვენახევარს გადავაგორებ – გაიფიქრა იმედიანად. ბედისწერის წინ პირისპირ მარტოდ დარჩენილს, იმ დღეს სიზმარში ერკინებოდა მას ვიღაც კაცი გათენებამდე.

## სამკუთხა წერილი

გადაიგრუხუნა დიდმა ომმა და მხოლოდ მოკლე, მშრალი შეტყობინება დარჩა, რომ შვილი ომის მორევში დაიკარგა. დედამ კი შავები არ ჩაიცვა, თვალები ამოუღამდა გზის ყურებაში. ერთ დილით კი მკვდარი ნახეს თავისი სახლის კოხტა ეზოში, წვრილმაჯიან ხელში ჩაბღუჯული შვილის ერთადერთი სამკუთხა წერილით, რომელიც ასე მთავრდებოდა: 4 მაისი 1942 წელი, ქერჩი.

## ბრძოლა

სკოლის დერეფანში შორიდან დაინახა, რომ მისი კლასელი ძმაკაცი და ერთი წლით უფროსი სკოლელი ჩხუბოდნენ, მუშტებს გამეტებით ურტყამდნენ ერთმანეთს. შეეშინდა და იქვე კიბით ქვედა სართულზე ჩაირბინა. მას მერე 34 წელი გავიდა და დღესაც მწარედ ახსოვს ეს დღე. მეც ვატარებ ყველა იმ ბრძოლის შრამებს, რომლებშიც არ შევსულვარ.

## ორი სიზმარი

აივანზე იდგნენ და ჩაის სვამდნენ. ჩამავალი მზის სხივები თეთრ, თხელ ჭიქებში ატანდა.
– ხვალ ალპინიადაზე მივდივართ და წამო.
– მე როგორ წამოვიდე? მე ხომ მომკლეს, ბიჭო.

რა კარგია, დღეს მამაჩემთან ერთად ვისაუზმებ, რამდენი ხანია ერთად არ გვისაუზმია. მამა ცხრა წლის წინ გარდაიცვალა.

## ფოტოები

90-იანების გახუნებულად ფერადი და გაუღიმარი ფოტოები. გარემო გვქმნიდა ჩვენ თუ ჩვენ ვქმნიდით გარემოს?

## ინტერესი

კილიმანჯაროზე, არარატზე და მყინვარწვერზე ასული ვერ გაძღა იმის ფიქრით, თუ რა არის იმ მწვანე, პატარა მთის უკან, რომელიც მისი ბინის ფანჯრებიდან ჩანს. არასდროს არ უცდია, რომ იმ გორაკზე ასულიყო და დაენახა მეორე მხარე. ალბათ, ბავშვობის იდუმალნარევი ინტერესის დაკარგვა არ უნდა.

## სრული რევერსი

სიკვდილის წინ რომ შემოგთავაზონ: „კიდევ ერთხელ თავიდან დაგაწყებინებ სიცოცხლეს. გაიმეორებ ზუსტად იგივე გზას, რაც მანამდე გაიარე. წინასწარ გეცოდინება შენი ცხოვრების ყველა სიხარული, ყველა შეცდომა, ყველა დარდი და ტკივილი, ოღონდ ვერაფერს შეცვლი. გინდა?“

„მინდა!“

## კლასელი

ამ სახლში ცხოვრობდა ჩემი კლასელი და მეგობარი. ცხოვრობდა. ახლა აღარ ცხოვრობს. ახლა კი არა – დიდი ხანია. ამ სახლში კი არა – საერთოდ არსად.

## გზა

კაცი გზას ადგა. გამცილებელი, გამამხნევებელი, მანუგეშებელი ან დამტირებელი არ სჭირდებოდა. კაცი გზას მარტო ადგა.

## ამბები, რომლებიც სიცოცხლეზე მეტია

ეს ამბები კედელზე დანის წვერით ამოკაწრულს ჰგავს, ოკრობოკრო ასოებით და სიტყვებს შორის უთანაბრო მანძილით. ამ მანძილში ეტევა ის სევდა და დარდი, რომლებიც ასოებით წერია.



# ირაკლი ვაშაყმაძე

## იქნებ შენ მითხრა

იქნებ, აქ ყოფნას, ზეციერო, არყოფნა ჰქვია
და დაბადებას – არყოფნაში გარდაცვალება...
იქნებ, შენ უწყი, გულს დახლილი მოყვასის ტყვია
იქნებ, შვებაა, ლხენაა და არა – წვალება.
იქნებ, ეს ცრემლი მაცხოვარის ცხელი ცრემლია,
მტკვრად და რიონად მთებიდან რომ მოედინება,
იქნებ, მზე იყავ, მშვენიერო, მანათობელი,
შენი აქ მოსვლა „იავნანად“ ღმერთმა ინება.
იქნებ, ესაა უხილავი ცეცხლის გენია,
უსულგულოთა ჯოჯოხეთიც ყაყან-ქაქანით,
წუთისოფელიც დამზრალა და ნაცრისფერია,
„– თავი მომეჭრა!“ – დედაჩემის კვნესაც აქ არი.
ჟამმა დაადნო ყოველივე, რაც კი გამაჩნდა,
წარსული ესე დიდ ღამედ და ერთ დღედ გაიყო;
იქნებ, შენ უწყი, ზეციერო, იქნებ, შენ მითხრა,
რა იყო მოსვლა, ასე უცებ წასვლა რა იყო!
იქნებ, აქ ყოფნას, ზეციერო, არყოფნა ჰქვია
და დაბადებას – არყოფნაში გარდაცვალება...
იქნებ, შენ უწყი, გულს დახლილი მოყვასის ტყვია
იქნებ, შვებაა, ლხენაა და არა – წვალება...

## კუმურდო სიზმარ-ცხადში

**(მერაბ ბერიძეს)**

ცას სტკივა შენი უგუმბათობა,
მოისხა ცრემლი თამარის ვაზმა,
მოგნატრებია ქორწილ-ნათლობა,
ლოცულობს შენთვის ხუნდა და ზარზმა...

გზად მოღაღანე შამბნარი ვნახე,
ტანდახანჯლული იდექი მორცხვად,
ზეცაში ენთო მაცხოვრის სახე
და ღვთისმშობელის გესმოდა ლოცვა...
მამა-პაპათა ჩაგესმის ხმები,
სამცხე-ჯავახეთს ვენახი ხარობს,
ტაძრის გუმბათზე ღუღუნებს მტრედი...
ნუ მიატოვებ ღვთის სახლს, მერცხალო,
რომ მარად ენთოს დედის კერია,
არ ჩაქრე გულში, მზის ნაკვერჩხალო!

## ფერეიდნელო ქართველო

იქ არც გომბორის მთებია,
არც ქართლის მინდორ-მდელოა,
იქ ღვთისმშობლის და მაცხოვრის
ნამდვილი საქართველოა...
გავჟამიანდით, ავსული
ბუდეს ღვთის სახლში აშენებს...
ფერეიდნელო ქართველო,
ლაშქარი შემოგვაშველე!

## უსასოობა წამიერი

**(ჯემალ დავლიანიძეს)**

გომბორზე ია ლამაზი
გზისპირს ნიავზე თრთოდა,
თურმე, გული არ მქონია,
მე კი მეგონა, მქონდა...
ვხვდებოდით მთებზე ალიონს,
კორთხის ქარები ქროდა,
არც სამაჩაბლო მქონია,
მე კი მეგონა, მქონდა...
ეგრისზე ნისლი ბორიო
ქარს გადაჰქ-გადმოჰქონდა,
არც აფხაზეთი მქონია,
მე კი მეგონა, მქონდა...
ჩაჟანგებულა ქარქაშში
სისხლში ნაბანი გორდა,
არც ჯავახეთი მქონია,
მე კი მეგონა, მქონდა...

კერცხეთზე იასამანი
გზისპირს ნიავზე თრთოდა,
არც საქართველო მქონია,
მე კი მეგონა, მქონდა...
ატენთან თეთრი ენძელა
იანვრის მზეზე თრთოდა...
– ამას ნუ მეტყვი! ჩვენ მუდამ
უფლის იმედი გვქონდა!

## ფერხაობა

გუშინ ფერხაობა იყო,
აღარა ვარ, დედი, მეკვლე –
ვზი ბუხართან მოწყენილი
და გულიდან ვიღებ ეკლებს.
ჩაიფერფლა, რაც გულს მქონდა
იმედად და კოკობ განძად,
წუთისოფლის ქარიშხალში
ჩაიღვენთა, ჩაიხანძრა.
ჩარჭობილა გულს ლახვარი
მოღალატე მოძმის მაძღრის,
ღვთისმშობელის საუფლოში
ავსულების რემა დაძრწის...
გუშინ ფერხაობა იყო,
აღარა ვარ, დედი, მეკვლე,
ვზი ბუხართან მოწყენილი
და... გულიდან ვიღებ ეკლებს.

## საშობაო

გზა შებარბაცდა, შეთვრა
შეფიფქულ მთაზე ლიხის,
მოვდივარ, დედი, შენთან,
ვხარობ და სულში მილხინს...
ცა ზეციერით ნათდება,
ქათქათებს ქედი ფიჭვის,
ღვთისმშობლის მესმის „ნანინად“
ქვით მღერა შენი ქვიჯის...
გამოვაღწიე უკუნეთს,
დამზრალი გულიც შეთბა,
გელათის ზარი გუგუნებს...
დედი, მოვდივარ შენთან!..

## მამა

ჭურთან მესმის შენი სუნთქვა,
ჭასთან მესმის შენი სუნთქვა,
შენი ერთი გამოხედვით
გულ-მუცელი დამეთუთქა.
იქნებ ახლა მაინც მითხრა,
მართლა გულთმისანი თუ ხარ,
რატომ უყვარს მუხას მეხი,
ან მეხს რატომ უყვარს მუხა.

## დედა

მოირწეოდი ვედროთი,
ჭიდან მოგქონდა წყალი,
გადაითვლიდი წიწილებს,
ძერაზე გულშემწყრალი...
შეგვინელებდი ლობიოს,
მერე მჭადს აიყვანდი,
„– მოდიო“, – დამიძახებდი,
მერე ცას ამიყვანდი...
ამ ნარეკლიან სოფელში
ღვთისმშობლის სახედ მყავდი...
„– რა ტკბილი ხარო!“ – მეტყოდი,
სული ზეობდა შენით,
როგორ შვენოდი ამ ეზოს!
ალბათ, ზეცასაც შვენი...

## თავსხმა

გადმოტეხილი
კენწერო იწვის...
ღამით მუხაზე მეხი დაიმსხვრა;
რა თავსხმა იყო,
რა კვნესა სიმწრის!..
არ მასვენებდა ღამით ქარის ხმა...
გათენდა,
ახლა რტოც არ ირწევა,
მხოლოდ ჩამესმის ჩქამი გულისთქმის:
„ბოროტი მუდამ სიძულვილს ითხოვს
და გვსჯის უსაზღვრო სიყვარულისთვის“.

## ცხოვრება

ვეება ლოდად გულზე გაწვება
დარდი და ბოღმა სულის მღარავი,
დაბადებიდან ასე კეთილი,
არ ჰყვარებიხარ ქვეყნად არავის...
როგორც ვენახზე მჭკნარი მტევანი,
შენც ამ დღეების ტოტზე ეკიდე,
ორპირს და ქლესას შენ სჭირდებოდი,
რომ ეყიდე და კვლავ გაეყიდე.
ვეება ლოდად გულზე გაწვება
დარდი და ბოღმა სულის მღარავი,
დაბადებიდან ასე კეთილი,
არ ჰყვარებიხარ ქვეყნად არავის...

## ქარიანობა

ქარს ეცეკცება ეზოში ნაძვი,
კანკალებს ძველი სახლის კედლები
და... გარბის ჩემგან პატარა ბიჭი,
ერთ დროს მზის სხივებს ანადევნები...
აღარ ღუღუნებს ბუხარში ჯირკი,
იქ ახლა ცივი ქარი გუგუნებს,
მიფრინავს ქარში პატარა ბიჭი
და ღრუბლებიდან უფალს უყურებს...
როს ჩამოდნება
სანთლები ხსოვნის,
დაიღვენთება ყველა მშვენება,
ცად აფრენილო პატარა ბიჭო,
მე იმას ვდარდობ, რა გეშველება!..

## ავდრობა

ცაზე მისადგმელ კიბეს დავეძებ
რაც დავიბადე, მას მერე;
ბედის აღმართებს, დაღმართ-დამრეცებს
მთვარის წვიმები ასველებს...
გზად მიხრიგინებს ჟამის ურემი,
შორს ცაბედია გნატრობს,

ქარისფეხება ბედაურებით
დაისი მთებზე მხატვრობს.
ავდრობს აპრილი, ავდრობს მაისი,
ვგრძნობ, შენი გულიც ავდრობს...
რა დროს ავდრობა – უშენობაა,
მანათობელო, ამ დროს!

## სინანული

რა დარჩა?
სულში ჩამდნარი სევდა
და სიხარული ასე მცირედი...
არადა, გახსოვს, მოფრენილ მერცხლებს
რა სიხარულით მივაცილებდით?
რა დარჩა?
გულზე დიდი ჭრილობა,
რა დარჩა?
სულში ცრემლი ჩამდნარი...
არადა, გახსოვს? ჩვენს დანახვაზე
ფოთლებს ისხამდა ხმელი ჭადარი.
რა დარჩა?
სულში ჩამდნარი სევდა
და სიყვარულის ნაცარ-ღადარი.
რა დარჩა?
სულში ჩამდნარი ჟამი
და სიხარული ასე მცირედი.
გახსოვს?
გეგუთთან რიონის ტალღებს
ჟივილ-ხივილით მივაცილებდით...

# დაღი თედორაძე

## ყვავილების ქურდი

მალე პირველი სექტემბერი დადგება. ჩემი და, ნელი პირველ კლასში მიდის. მე ჯერ არა, მომავალ წელს მიწევს, მაგრამ ისეთი გულისფანცქალით ველოდები, თითქოს მეც მივდიოდე სკოლაში.

დედაჩემს კერვა ეხერხებოდა. ერთ ღამაზ დღეს დაიწყო ჩემი დისთვის სასკოლო ფორმის კერვა. საკერავ მანქანას არ ვცილდებოდი. იატაკზე დაყრილ ქსოვილის ნაკუწებს ვაგროვებდი, კოხტად ვაწყობდი. ახალი ქსოვილის სურნელით ვტკბებოდი, თან თვალს არ ვაცილებდი დედას, გულმოდგინედ და სიყვარულით რომ ავლებდა თითოელ გვირისტს.

მთელი ღამე მესმოდა საკერავი მანქანის ხმა.

დილით, მზის ამოსვლამდე წამოვხტი ლოგინიდან. მინდოდა მენახა ჩემი დის სასკოლო ფორმა და თვალებს არ დავუჯერე. საუთოო მაგიდაზე ორი ულამაზესი, ნაკეცებიანი, გატკიცინებული ქვედა კაბა და თეთრი, ქათქათა პერანგი იდო. ამ დროს დედაც შემოვიდა, თბილად გამიღიმა და მითხრა: – შენც მიდიხარ სკოლაშიო.

კითხვები არ გამჩენია. გახარებული, ბედნიერი, ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი, თავზე უშველებელი, თეთრი ბაფთით მივწკაპუნებდით მე და ჩემი და ოღრო-ჩოღრო გზაზე და სექტემბრის თბილი სხივები მიგვაცილებდა.

შევედით სკოლის ეზოში. ყველა კუთხე-კუნჭულიდან ბედნიერი, სახეგაბრწყინებული ბავშვების ჟღურტული ისმოდა. – აი, ჩვენი მარგო მასწავლებელი. – გვითხრა დედამ და სანდომიან ქალბატონთან მიგვიყვანა, რომელსაც თეთრი, ნაკეცებიანი საყელოთი დამშვენებილი მზისფერი კაბა ეცვა. თმა კოხტად გადაეწია და უკან თმის სარჭით დაემაგრებინა. სახეზე და მკლავებზე უამრავი ჭორფლი ეყარა, რაც, ჩემი აზრით, საოცრად უხდებოდა კეთილღიმილიან მარგო მასწავლებელს.

შეგვიყვანეს საკლასო ოთახში. დედა და მარგო მასწავლებელი ცოტა ხანს კარებთან საუბრობდნენ. ოთახში, ახლადშეღებილი კედლების, იატაკის, მერხების სურნელს, ახალი წიგნების და რვეულების სასიამოვნო სურნელი ერთვოდა.

დაიწყო პირველი გაკვეთილი. რატომღაც მეჩვენებოდა, სხვასთან შედარებით, უფრო მეტ კითხვებს მისვამდა მასწავლებელი, რაც მაბედნიერებდა და თავდაჯერებულობას მმატებდა. ერთ დღეს დაფასთან გამიყვანა, მათქმევინა ლექსები, მავარჯიშა შეკრება-გამოკლებაში. შემიქო ცოდნა. მერე, მაგიდასთან მიმიხმო, გამისწორა ქვედა კაბა, ჩამიკეცა ამოჩაჩული პერანგი და ისეთი ღუღუნა, თბილი ხმით მითხრა: – დალი, ხვალიდან სკოლაში აღარ ივლიო. არც

მწყენია, არც კითხვები გამჩენია, ბედნიერი და გულსავსე დავბრუნდი სახლში.

მალე გაფრინდა ერთი წელი და იმავე გზით, ისევე გამოპრანჭულს და ბედნიერს, ისევ მიგვაცილებდა სკოლაში სექტემბრის თბილი მზის სხივები. ეზოში შესვლისთანავე ჩემი და ნაცნობი საკლასო ოთახისკენ გაიქცა მე კი დედაჩემმა, ხელჩაკიდებული, მოპირდაპირე კორპუსის კიბეებზე ამიყვანა. – თინა მასწავლებელო, აი, თქვენი მოსწავლე მოგიყვანეთ – უთხრა დედაჩემმა და მასწავლებელს შეჰღიმა. გახარებულმა და გულანთებულმა ქვემოდან ავხედე თინა მასწავლებელს, რომელსაც მოხდენილ ტანზე თალხი სამოსი ეცვა, ჭაღარა თმა უკან გადაეწია და რეზინით შეეკრა. რაღაცნაირი, მონაცრისფერო სახის კანი ჰქონდა, ნიკაპზე ერთ-ორ ადგილას ბეწვი უპრიალებდა. გამიღიმა, სადღაც გაფრენილი, უფერული ღიმილით. თეთრი ღიმილი – გავიფიქრე. რატომ გავიფიქრე ასე, ან რა გამომეტყველება მქონდა, იმ წუთში არ ვიცი, მაგრამ, რაღაცამ უსიამოვნოდ გაიშრიალა ჩვენს შორის და გაუჩინარდა. დედაჩემს არც დავმშვიდობებივარ, ისე შევვარდი საკლასო ოთახში, რომელიც ახალი წიგნების სასიამოვნო სურნელს და თანაკლასელების მორიდებულ ჟღურტულს აევსო.

მთელი სასწავლო წელი მხიარულად და ბედნიერად გავატარეთ. განსაკუთრებით მახსოვს ფიზკულტურის გაკვეთილი. მზიან ამინდში, თინა მასწავლებელი სკოლის ეზოში გაგვიყვანდა, მზის მხარეს დადგებოდა, ხელებს ზურგზე დაიწყობდა, მზეს სახეს მიუშვერდა, თვალებმოჭუტული სივრცეს გასცქეროდა და იწყებდა: – ბატები, ბატები...

გოგონები ბატები ვიყავით, ბიჭები მგლები, მასწავლებელი ბატების მწყემსი.

ჩვენ – რა იყო, რა იყო...

მასწავლებელი – ტყეში მგელია...

ჩვენ – როგორი?..

მასწავლებელი – წითელი, ყვითელი, მწვანე. გამოიქეცით!

გავიქცეოდით მასწავლებლისკენ, დაგვედევნებოდნენ ბიჭები, ატყდებოდა ჟივილ-ხივილი. დაგვიჭერდნენ თუ არა, მნიშვნელობა არ ჰქონდა. თავიდან ვიწყებდით თამაშს და ზარის დარეკვის შემდეგ სახეაღაჟღაჟებული, ბედნიერი ვბრუნდებოდით საკლასო ოთახში.

ოცდარვა მაისს სკოლა იხსნებოდა. ოცდაშვიდში თინა მასწავლებელმა გამოგვიცხადა: დღეს, თქვენ მოტანილ ოთახის ყვავილებს წაიღებთ, მოუვლით და სექტემბერში ისევ მოიტანთო. იმ პერიოდში გამძაფრებული მქონდა ყვავილების სიყვარული. ოცნებებში წარმოვიდგენდი, როგორ განვალაგებდი აივნებზე, კიბის საფეხურებზე ლამაზ ქოთნებში აბიბინებულ, ათასფერ ყვავილებს და გულში სითბო მეღვრებოდა.

იმ დღეს, ბოლო, შრომის გაკვეთილი გვქონდა. სკოლის შენობის უკან ნაკვეთი იყო, სადაც, კლასები, ჩვენთვის განკუთვნილ კვლებს ვამუშავებდით. ვბარავდით, ვთოხნიდით. ვთესავდით ბოსტნეულს, მწვანილს. წყალს ვუსხამდით ჩითილებს. ყოველთვის პირველი გავრბოდი ნაკვეთისკენ, მაგრამ, როცა მასწავლებელმა იკითხა, ვინ დარჩებოდა საკლასო ოთახში, რომ ჩანთებისთვის ყურადღება მიექცია, დარჩენის სურვილი მე გამოვთქვი. თინა მასწავლებელმა უცნაურად გადმომხედა. გაუკვირდა, რადგან ხედავდა, როგორ მიხაროდა და მიყვარდა ნაკვეთზე მუშაობა, მაგრამ დარჩენის ნება დამრთო.

არ ვიცი, რა დამემართა. ვწრიალებდი, ოთახში ადგილს ვერ ვპოულობდი. ქვეცნობიერისთვის გადაცემული ინფორმაცია სულს მიფორიაქებდა, მოსვენებას არ მაძლევდა. შინაგანი ბრძოლის გადასალახად გარეთ გავედი. მერე, ისევ დავბრუნდი, ფანჯრის რაფაზე კოხტად ჩამწკრივებულ ყვავილებს სიყვარულით შევავლე თვალი და გადავწყვიტე, თითო ტოტი მომეტეხა ყველა ქოთნიდან. დარწმუნებული ვიყავი, ამით არავის არაფერი დააკლდებოდა, ვერც შენიშნავდნენ, მე კი უამრავი, ლამაზი ყვავილი მექნებოდა. ამის წარმოდგენაზე გული სიხარულით ამევსო. ახლა მთავარი იყო, ეს ისე გამე-

კეთებინა, არავის დავენახე. წავედი და ჩემს მეგობრებს გადავხედე. მინდოდა გამეგო, ხომ არ მოდიოდნენ. თინა მასწავლებელმა დამინახა და მისაყვედურა საკლასო ოთახის მიტოვების გამო. გამოვიქეცი, გული ისე მიცემდა, მეგონა სადაცაა ამოვარდება-მეთქი.

საკლასო ოთახში შესულმა თითო ტოტი მოვატეხე ყვავილებს, ჩანთაში შევინახე და მაგიდასთან დავჯექი. ზარის დარეკვამდე, ჟრიამულით შემოფრიალდნენ კლასელები. უცებ, ერთმა დაიძახა, ჩემს ყვავილს ტოტი მოტეხილი აქვსო. მერე მეორემ, მესამემ... აფართხალებული გულისცემა ყურებისკენ დაიძრა, კისრის ძარღვებში გაეჩხირა, აწივლდა, აშხუილდა. მერე, კალაპოტიდან გადმოსულ მდინარესავით ტვინისკენ დაიძრა, ყველა უჯრედი დატბორა, დასილა და მთელი სისწრაფით ფეხის თითებში ჩავარდა. განწირულ ბოჩოლასავით მოვავლე დანისლული თვალები კლასს და თინა მასწავლებლის თეთრ, გამომცდელად მომზირალ თვალებს წავაწყდი.

– კლასში რისთვის დაგტოვე! ვინ მოტეხა ყვავილები? – მკაცრად მკითხა.

– არ ვიცი, – ამოვილუღლუღე და გამოსავლის ძიებაში, ჩემს უსაქციელობას ტყუილიც დავამატე, – ალბათ, ნაკვეთზე რომ გამოვედი მაშინ შემოვიდა ვინმე.

– დამლაგებელს დაუძახეთ! იგივე ინტონაციით დაიძახა მასწავლებელმა.

კარებში დამლაგებელი გამოჩნდა. მაღალი, თხელი ქალბატონი. მხრებგაშლილი, თავაწეული, მტკიცე და აუჩქარებელი ნაბიჯებით სიარული იცოდა. თხელ, უქუსლო ფეხსაცმელს ატარებდა. მუდამ ჭრელი, მოჩითული კაბა ეცვა, შავი წინსაფრით. თავზე თეთრი, ყვავილებიანი ხილაბანდი ეხურა, ალბათ უფრო ლეჩაქი, რომლის ერთი მხარე ჩამოშვებული, ხოლო მეორე მხარე ნიკაპთან გავლით, ყურის ბიბილოზე ქონდა დამაგრებული. მუდამ ღიღინებდა და გაღიმებულ სახის ერთ მხარეს, ტუჩის და თვალის ნაოჭთან ირონიული ღიმილი დასთამაშებდა, აი, ისეთი ბილწი ანეგდოტების მოყვარულ ქალებს რომ აქვთ.

– კლასში, ვიღაცამ ყვავილს ტოტები მოატეხა. ხომ ხომ არ შეგინიშნავთ ვინმე აქ შემოსული? – ჰკითხა მასწავლებელმა.

– არა, ეზოს არ მოვცილებივარ. საკლასო ოთახში არავინ შემოსულა. მარტო ამ გოგოს ვხედავდი. – თითი ჩემკენ გამოიშვირა, – ხან კარებიდან, ხან ფანჯრიდან იხედებოდა.

– აჰა, აბა, ყვავილები ვინ მოიპარა? დალი, ნამდვილად არავინ დაგინახავს? – მითხრა მასწავლებელმა და გამომცდელად მოწკურული თვალები, თვალში გამიყარა.

არა, მეთქი თავი გავაქნიე. ხმის ამოღების თავი არ მქონდა. შემეძლო, შეცდომა მეღიარებინა. მეთქვა, რომ ეს ყველაფერი ყვავილების სიყვარულმა გამაკეთებინა-მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი. ან გამბედაობა არ მეყო, ან ვფიქროდი, აქ დამთავრდებოდა ყველაფერი, მაგრამ შევცდი... რაც მერე მოხდა, ჩემი ცხოვრების პირველი და მოუშუშებელი ტკივილი გახდა. დღესაც, მისი გახსენებისას, გულის ბაგაბუგი და ყურების წივილი, ხმოვან, ნაწიბურებიან ბურთად იქცევა, სხეულის ნერვის ყველა დაბოლოებას უსწრაფესად ჩამოუვლის, დასერავს. სულში ჩაფენილ ფერად ფიქრებს ნაწიბურებზე იხვევს და უმოწყალოდ ფლითავს.

თინა მასწავლებელმა დამლაგებელს რაღაც ანიშნა. დამლაგებელმა თვალი ჩაუკრა, მისთვის ჩვეული ღიმილით გადახედა კლასს და საზეიმოდ განაცხადა: – აბა, ჩანთები გახსენით! მაგიდაზე დააწყვეთ, უნდა შევამოწმო! იქნებ, შემთხვევით ყვავილები, რომელიმესთან ჩაფრინდა.

ელდანაცემმა, ჩანთას მარჯვენა ხელი ქვემოდან, მარცხენა ზემოდან მაგრად შემოვახვიე და გულზე მივიკარი. არ ვიცი სხვისი ჩანთები შეამოწმა თუ არა, მაგრამ სულ მალე თავზე დამადგა.

– აბა, გახსენი ჩანთა! – სისინივით ჩამესმა მისი ხმა. ცივმა ოფლმა სხეული დამინამა. თავჩაქინდრული, ჩანთას ჩაბღაუჭებული, ისედაც სუსტი და პატარა, შერცხვენის შიშმა მუშტისოდენა გამხადა.

– დალი, მომეცი ჩანთა, – ხმა დაიტკბო დამლაგებელმა. შევამოწმებ და დაგიბრუნებ. ბავშვებს ვაჩვენებ, რომ შენ არ მოგიპარავს.

ხმას არ ვიღებდი. ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამომდიოდა. უფრო და უფრო ვუჭერდი ჩანთას ხელს.

– ბავშვებო! იცით, ეს რა კარგი გოგოა. ახლავე მომცემს ჩანთას, – დაიშაქრა ხმა დამლაგებელმა. არადა, ვგრძნობდი, არა, უფრო ვხედავდი, არ ვიცი როგორ, მაგრამ ვხედავდი, როგორ მადგა თავზე და ხელების მოძრაობით მასწავლებელს, კლასელებს აჩვენებდა, როგორ სურდა თმებში ჩამხტომოდა და გავეწეწე. ცოტა ხანი მაცალა. მერე ჩანთას სწვდა და გამოგლეჯას ლამობდა. თან მიყვიროდა: – მომეცი, ხელი გაუშვი. პატარა, უსუსურ, უეკლო ზღარბივით დაგორგლილს, ახლაც ვერ ვხვდები, საიდან აღმომაჩნდა იმხელა ძალა, რომ ჩანთა ვერ გამომგლიჯა ხელიდან. ბოლოს მოახერხა, გვერდიდან ხელი შეაცურა და დასრესილი ყვავილის რამოდენიმე ტოტი ამოაძრო. მასწავლებლის მაგიდაზე დადო და ნელი, დინჯი, გამარჯვებული ნაბიჯებით საკლასო ოთახიდან გავიდა..

– პირველ კლასს ქურდი ჰყავს, პირველ კლასს ქურდი ჰყავს... გაისმა ხმა და კარებში მესამე კლასელი, გრძელფეხება, მუდამ კითხვითი ნიშანივით მხრებში მოხრილი ნუგზარი გამოჩნდა. ბრტყელ, სამკუთხედ თავს კალიასავით ყველა მიმართულებით ატრიალებდა და ნახშირივით შავ, წვრილ თვალებს სიხარულით აცეცებდა.

პირველ კლასს ქურდი ჰყავს... ქურდი... ქურდი... ქურდი...

სამყარო ორად გაიხლიჩა... არა, სამყარო დარჩა ერთი მთლიანი, უბრალოდ მე აღმოვჩნდი სადღაც, ცარიელ სივრცეში. უღონო, უწონო, უსულო, უგულო, გამოფიტული და არარსებული. ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ვეხეთქებოდი შეშინებული. ხელჩასაჭიდს, ფეხის მოსაკიდებელს ვეძებდი. ხელებს ვაფათურებდი და უხმო ხმით გავკიოდი...

სიცივის შეგრძნებამ გამომაფხიზლა. ოფლისა და ცრემლისგან სველი სხეული კანკალებდა და ძაგძაგებდა. საკლასო ოთახში სამარისებული სიჩუმე იდგა. დამძიმებული თავი ავიღე, თვალი გადავავლე ოთახს. თანაკლასელები ისე ჩუმად წასულიყვნენ არც ფეხის, არც სკამების გაჩოჩების ხმა გამიგია. უცებ, შემეცოდა ისინი. წარმოვიდგინე, განცდისგან როგორ უცემდათ პაწია გულები.

მასწავლებლის მაგიდაზე საკლასო ჟურნალი და სათვალე დავინახე და მივხვდი ჯერ არ წასულიყო. წელმოწყვეტილი წამოვდექი, დაწითლებულ-დალურჯებული ხელებით დაჭმუჭნული, მუხლს ზემოთ აჩორჩლილი კაბა გავისწორე და კარებიდან ეზოში გავიხედე. ვერანდაზე თინა მასწავლებელი იდგა და თბილი, გაცისკროვნებული სახით, ნატო მასწავლებელს რაღაც ამბავს უყვებოდა.

გამოვბრუნდი, ვიფიქრე, ჩანთას ავიღებ და ჩუმად გავიპარები-მეთქი. სანამ კარებთან მივიდოდი თინა მასწავლებელიც გამოჩნდა. თავდახრილმა გვერდით ისე ჩავუარე, სიცარიელის მეტი არაფერი მიგძვნია.

– ეს, რა გააკეთე, დალი, – მითხრა რბილი, საყვედურნარევი ხმით. თავი არ ამიღია, უკან არ მომიხედავს, ისე გავედი ეზოში, საიდანაც, ალბათ, ცოტა ხნის წინ, ბედნიერი, აჟივჟივებული ბავშვები სიხარულით გაიკრიბნენ სახლებში.

ფეხაკრეფით, შეშინებული გადავჭერი ეზო. მეგონა ყველა ფანჯარაში ნუგზარის თავი გამოჩნდებოდა და დაიძახებდა: პირველ კლას ქურდი ჰყავს... პირველ კლას ქურდი ჰყავს... როგორც იქნა მივაღწიე ჭიშკრამდე და ჭიშკრის მეორე მხარეს, ჩემი და, ნელი დავინახე. თავი ჩაექინდრა და მელოდებოდა. უცებ, ცისარტყელას ფერებით აივსო სამყარო, შუბის ტარიდან გადახრილმა მზემ თბილი სხივებით გამითბო გათოშილი სხეულის ყველა კუნჭული. სულში აგიზგიზებულმა სიხარულის ცეცხლმა დაწვა, გადაბუგა დაცარიელებული სამყარო.

– ჩემი და, ჩემი და... არ დამტოვა, არ მიმატოვა, მელოდებოდა... უჩემოდ არ წავიდა... ყვიროდა და სიხარულის ასკიკნკილას უვლიდა ახლად დაბადებული იმედი.

მადლიერებით სავსე თვალები ჩემი დისკენ გავაპარე, რომელიც სიმართლე გითხრათ არც

მახსოვდა, არც ის მიფიქრია დამელოდებოდა თუ არა, რადგან, სირცხვილს, შიშს, გულისტკივილს ისე დაებინდა ჩემი გონება, ფიქრის უნარი აღარ მქონდა. გავაპარე თვალი და გული დამეთუთქა. სახეზე ტკივილთან ერთად, საყვედურიც აღბეჭდოდა. არაფერი უთქვამს, სახლისკენ მიმავალ გზას დაადგა. გალახული, მაგრამ ბედნიერი ძაღლივით უკან გავყევი და ძლივს ამოვილუღლუღე: – დედას არ უთხრა.

სკოლასთან ახლოს მდინარე ჩამოდიოდა. ხიდზე გადასულმა, ნელის ვთხოვე დამლოდებოდა. ჩანთიდან დასრესილი, დატეხილი, ფერშეცვლილი ყვავილის ტოტები ამოვიღე და ჯებირზე დავაწყვე.

მდინარემ წაიღო ყვავილის ტოტები, მაგრამ ვერ წაიღო შვიდი წლის ბავშვის ტკივილი და სევდა, რომელიც ყველა ფეხის ნაბიჯზე თავს ახსენებდა და გულს უფლეთდა.

# მზია
# დიასამიძე


## საქართველოს შვილი

**გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ მიხედვით**

არჩიბალდი. უცხო შვილი. უფესვო და უძირო.
ღამე თეთრად ნათენები. დაგლეჯილი. უძილო.
გული – რკინა. ალესილი ხოროსანის ხმალივით,
მოქნეული, ავარდნილი და ძლიერი წყალივით.

მაინც სადღაც ფეთქავს ძარღვი. ძველი გენი ქართული.
სხვის მიწაში მოწყვეტილი ყვავილივით ჩარგული.
არჩიბალდი. ეკბატანა. ჰამადანის ველები.
ხასიათი, ვით სპარსული ხალიჩის ზღვა ფერები.

საქართველო. მონატრება, უჩვეულო სიზმარი.
ვამეხ. რაღაც მოგონება. მოხვედრილი ისარი.
წინაპართა ნასახლარი ნაცარი და მტვერია,
თბილი სუნთქვა მშობლიური, ცივზე ცივი კერია.

გაფატრული ზვიგენი და გული ცოცხლად ნაცები,
ფართქალ-ფართქალ მორბენალი და ქაფქაფა ტალღები.
ცალკე კაცი, ცალკე მიწა, მწარე კვამლით გამთბარი,
უღვინოდ და უმაჭაროდ დამწვარი და დამთვრალი.

საქართველოვ, გიბრუნდები, ნუთუ ვეღარ მიცანი,
წინაპართა ძვლები იძრა, იძრა კუბოს ფიცარი,
საქართველოვ, სუნთქვა მიჭირს, შემიხსენი საკინძე,
გიბრუნდები მაყაშვილი, ძველი ირუბაქიძე.

## ხეთა ანდერძი

დაბერებულან ხეები, მოხუცებივით თრთიან,
ეთხოვებიან ფოთლები, სიცოცხლის წუთებს თვლიან,
ქარიშხალიც კი გაურბის, აღარ აყენებს ზიანს,
სიტყვა აქვთ ხეებს სათქმელი, ხვალე იქნება გვიან.

„– ჩვენ დიდი ხანი ვიცოცხლეთ – ბუბუნებს მუხა ბრძენი,
ბევრიც გვაქვს მიტომ სათქმელი, ამბავი არის ვრცელი,
თითო ხის გაზრდას შვილოსა, დღეები უნდა გრძელი,
აწმყო გადავცეთ მომავალს, ადათი არის ძველი.

მაგრამ თუ გააჩანაგებთ, თვითონ დარჩებით ვალში,
ველარ დაგიცავთ ვერავინ ზვავში და ძლიერ ქარში,
აღარ გექნებათ საფარი არც მზეში, არც ავდარში,
სუნთქვაც კი გაგიძნელდებათ ბარში და თუნდაც მთაში.

ამიტომ ყველას გიბარებთ, ჩვენი წმინდათა ვალია,
მაშინ ალალად გეხმაროს შენი მარჯვენა მკლავია,
როს მომავალზეც იფიქრებ, თუ მართლა მხრებზე თავია,
რომ ხის მოჭრამდე ხე დარგი და არ გექნება ბრალია“.

## მთები

დაღამდა. მთებმა შეჰკრეს მხარ-ბეჭი.
ჩამოიხურეს შავი სუდარა,
– რამ დაგამუნჯა მთაო მრისხანევ,
ხმა მომეც-მეთქი მთაო მდუმარევ.

დარდიმანდებო, ხარბნო ტანითა,
ზვინივით თავს, რომ ადგახართ სოფელს,
განა ქალივით ენაწყლიანობთ,
ნაცოდვილარს, რომ ქვეყანას მოჰფენს.

მრავლისმნახველნო, მრავალტანჯულნო,
მაგ თქვენს კალთებზე ჰთქვით რა თესია,
მძიმე გუთანი კანს, რომ გიფატრავს,
განა ოდესმე დაგიკვნესიათ?

ხან თეთრ ნაბდებში გამოხვეულნი,
ზეცას გაჰყურებთ მოხუცებივით,
ხან ყვავილებით გულ-მკერდს მოირთავთ
და პირმცინარობთ პატარძლებივით.

მთებო მაღალნო, სათაყვანებო,
გამანდეთ თქვენი დარდი, ვარამი,
ვისი სიცოცხლე შემოინახეთ,
ვის გაჭირვებას გულში ფარავდით.

ვის ელოდებით ასე პირქუშად,
დედაბუნების უტყვო შვილებო?
წარსულის ძეგლნო, აწმყოს მოწმენო
და სამომავლოდ უკვდავქმნილებო.

## გოგონა და რაში

აიწონა, დაიწონა,
საქანელა ტრიალებს,
კოხტა გოგოს მოკლე კაბა
შარიშურით ფრიალებს.

რა გულღია კისკისია,
ჩქარა, მაღლა, ჩქარაო,
საქანელა გაუბრაზდა –
არა-მეთქი, არაო.

გოგოს ცაში ფრენა უნდა
და ღრუბლებთან თამაში,
თვითონ თითქმის ფერიაა,
საქანელა კი – რაში.

მაგრამ რაში, რის რაშია,
წიხლი თუ არ აყარა,
შეიმშვენა მხედრობა და
ყველა ძირს გადაყარა.

აიწონა, დაიწონა,
ისევ ისე ტრიალებს,
მეოცნებე ფერია კი
– ზის და მწარედ ღრიალებს.

შორენა
მახაჭაძე

# სული – დევნილი და მარჯოსული

**(გენრიეტა ქუთათელაძის კრებულის – „რეკვიემი დევნილთათვის“ – მიხედვით)**

„ისე ვიქცევი, როგორც ადამიანს შეჰფერის
და ამაში გასაკვირი არაფერია“.
*გენრიეტა ქუთათელაძე*

ადამიანს ადამიანური ქცევა, წესით, არ უნდა უკვირდეს, მაგრამ ვინც გენრიეტა ქუთათელაძის ფილოსოფიური კითხვებით დახუნძლულ, ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით გაჯერებულ პოეზიას გაეცნობა, პოეტის ეს სტრიქონები აღარ გააოცებს. მის ლექსებში დიდოსტატურად იხატება ეპოქა, – ცივი და უსულგულო, „განტენბაინების, ჰომო ფაბერების“ (მაქს ფრიში), ვითომ დემოკრატიითა და ცრულიბერალური იდეებით, ყიდვა-გაყიდვის, მომხვეჭელობის გარდა რომ ვერაფერს შეხვდებით, გულწრფელი, ემოციური წერილების მაგივრად – მოკლე ტექსტური შეტყობინებებით, რომლებიც ისევ და ისევ რაღაცის ყიდვას ან ბანკიდან სესხის გამოტანას გთავაზობთ, სამყარო, რომელშიც „მარსიდან საცაა გვეწვევიან მასკის შთამომავლები – მექანიკური გულითა და დაპროგრამებული ტვინით“ (ქუთათელაძე, 2023:22) *[შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს];* იხატება ღმერთსმოკლებული დრო, რომელშიც აღარავის ახსოვს უფალი და მისი სიტყვა, რომელშიც აღარ დარჩა წრფელი გრძნობისა და პოეზიის, უმანკო ცრემლისა და თანალმობის ადგილი, ღიმილიც კი ყალბია, „ავგაროზია, მეხამრიდია, მაგრამ დროებითი“ (4).

მიუხედავად ამისა, არიან ადამიანები, რომლებიც, პოეტი-ქალის მსგავსად, არ ეპუებიან სასტიკ რეალობას, ფარ-ხმალს არ ყრიან და შთაგონებისთვის, საბრძოლო ენერგიისა და შემართების მოსაკრებად მიმართავენ წარსულის მშვენიერ ხატებს, რომელთა გულში ანთია რწმენის სანთელი:

„დღეს მე გელათს ვეწვევი,
ჩემს საქართველოს აღმოვაჩენ –
დიადს, დავითის დროიდან მომზირალს...“
(„ისე ვიქცევი...“, 2023:2)

გენრიეტა ქუთათელაძე ცდილობს მეხსიერებადაჩლუნგებულ თანამემამულეებს მიაწვდინოს „ხმა ლოტოფაგების ქვეყნიდან“ (2). ძველ ბერძნებს სიგიჟის ტოლფასად მიაჩნდათ სამშობლოს დავიწყება. არადა, დღეს ლოტოსის უცხო, მომხიბლავ და მათრობელა ყვავილს დაწაფებულ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ სიკეთის ნიღბით მოვლენილი ბოროტება კიდევ უფრო საშიშია, ბევრი ყვავილი კი შხამიანია და წარსულის, სამშობლოს, წინაპრების დავიწყება ადამიანს მის „მეობას“ აკარგვინებს. ამიტომაც ფიქრობს პოეტი, რომ სიკვდილის შიშმაც ვერ უნდა მიგატოვებინოს მშობლიური ადგილები, თუნდ ეს ადგილი მოქმედ ვულკანად იქცეს, რადგან ჩვენი გენიალური წინაპრისაც არ იყოს: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი, მისგან გასწორდეს ყოველი – სუსტი და ძალგულოვანი“ – ეს აზრი იკითხება სიკვდილ-სიცოხლის, ამქვეყნისა თუ საიქიო ცხოვრების შესახებ კითხვითი ნიშნებით სავსე ლექსში „მე ისევ აქ ვარ“ (4):

„მაინც რა არის ამ მიწის იქით,
ან ამ მიწაზე ყოფნა რა არის,
ან არყოფნა სად მიგვაქანებს, რომელ ნაპირზე,
დიდ დასაბამში? იქ, იმ საწყისში,
სადაც აფეთქდა და დაიბადა მთელი სამყარო?
იქნებ უსასრულო სივრცეთა მიღმა,
პარალელურ თუ სულ სხვა განზომილებაში,
სად ზენაარს გაუშლია აზრის კარავი...“ (4)

„ვინა ვართ, რა ვართ, გავჩნდით რისთვის ამ ქვეყანაზე, არსი სიცოცხლის რა არის ნეტავ?“ (10) – მსგავსი კითხვები არც პირველად დასმულა, არც – ახალია და არც – უჩვეულო, მაგრამ – მარადიული კია. მათზე პასუხის მოძიების სურვილი, ალბათ, ცხოვრებაში ერთხელ ყველას სწვევია, მით უმეტეს – ხელოვანს. პოეზიაც სხვა არაფერია, თუ არა, ამ ზოგადადამიანურ კითხვებზე პასუხების ძიება და რაც უფრო ფართო მასშტაბის მოაზროვნე და დიდი ტალანტის მფლობელია შემოქმედი, მით უფრო საინტერესო და ორიგინალურია მის მიერ გაცემული პასუხიც. გენრიეტა ქუთათელაძესაც აქვს თავისი პასუხები, რომელთაც შეიძლება დაეთანხმო, ზოგი პასუხიც არ მიიღო, მაგრამ პოეტს სწორედ ეს თავისებური ხედვა სამყაროსი, თავისი გულწრფელი და პირადი გამოცდილება გამოარჩევს სხვათაგან. მარადიულ კითხვებზე პასუხებშიც ეს ხშირად მტკივნეული, პირადად გამოტანჯული ცოდნაა დაუნჯებული.

გენრიეტა ქუთათელაძის კრებულში ხშირად შეხვდებით სიკვდილზე ფიქრს, მისი აზრით, „სიკვდილი შეიძლება ყველაზე დიდი მოგზაურობა იყოს სამყაროში“ (102), ყველაფრის დასასრულიცა და დასაწყისიც. შემოქმედს მხოლოდ ერთი რამ აშინებს: ამქვეყნად დრო არ დაკარგოს, დრო არ დაუსხლტეს ხელიდან, გონებას არ გადაავიწყდეს ის, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა, ის, რაც ცხოვრებაში განუცდია.

გენრიეტა ქუთათელაძის ლექსების ლირიკული გმირი მარტოსული მგზავრია, „უსამართლო და სასტიკი ცხოვრების შედეგრი“, ბრმად, უმისამართოდ რომ მიიკვლევს გზას ფარისეველთა შორის, ერთადერთ იმედად უფლის მფარველი ხელი რომ დარჩენია, მგზავრი, რომელსაც სწამს:

„ვინაც დაეძებს, პოულობს კიდეც,
დააკაკუნე და გაგეღება,
მოითხოვე და მოგეცემა,
ნუ სწუხარ,
მისამართები არ სჭირდებათ უფლის რჩეულებს.“
*(„მგზავრი ვარ, მგზავრი,“ 6)*

დიახ, პოეტის ღრმა რწმენით, გადარჩენის ერთადერთი გზა ისევ უფლისა და მისი შექმნილი სამყაროს ყურისგდებაა, იმედად ღმერთის უჩინარი, წარმმართველი და ყოვლისშემძლე ხელი ეგულება, გენრიეტა ქუთათელაძის ლექსების ლირიკული გმირი ხომ ღვთის მაძიებელი სულია, ამასთან, სული – დევნილი და მარტოსული:

„ყურს ვუგდებ ფოთლების შრიალს,
წყლის დგაფუნს,
ჭრიჭინობლების მისტიკურ ძახილს
მღერის ბუნება,
ეს კოსმიური მუსიკაა,
ვინაც შეიგრძნობს და გაითავისებს,
დროის სამანსაც გადააბიჯებს.“ (23)

გენრიეტა ქუთათელაძის ახალმა კრებულმა დიდი ანა კალანდაძის შემოქმედების მეორე პერიოდი გამახსენა – ღმერთის ძიებისა და მიგნების პერიოდი, როცა „ანა-ბულბული“ (გურამ ასათიანი) ჩურჩულით აღავლენდა ღვთის საგალობელს. გენრიეტა ქუთათელაძის პოეტური სამყაროც სავსეა უფლის ნათლითა და მისი რწმენით. კაცობრიობის გადარჩენის იმედიც ადამიანის ღვთისკენ მიბრუნებაშია:

„ღვთის ნაპერწკალი გაღვივდება ყველა თქვენგანში,
კაცში ღმერთი გაიღვიძებს.“ (115)

მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარული უშველის უფსკრულის პირას მდგარ სამყაროს:

„სიტყვამ „მიყვარხარ“
ამოავსო სამყარო მთელი.“ (116)

საინტერესოა, რომ პოეტი ღმერთს ხედავს ბუნების ყველა მოვლენაში: სულიერსა თუ უსულოში, ადამიანსა თუ წვიმის წვეთში, ის იაა – „დედაენაში გაღმერთებული,“ ხან „ქართული ლექსის სავსე მთვარეა“ (47), ხანაც კი ვაზია – დახუნძლული და მსხმოიარე; ისაა არა აბსტრაქტული, არამედ ცოცხალი სულის ენერგიაა, რომელსაც არც საწყისი აქვს და არც – ბოლო („ეს შენ ხარ,“ 35), ამიტომაც „უზენაესის სიდიადეს სჭვრეტს ბუნებაში“ (80):

„ათასი სახე რომ გაქვს უფალო,
ასჯერ ათასი გამოცხადებით,
ასჯერც დავრწმუნდი: –
იაც ხარ, ვარდიც, ხეც მსხმოიარე,
პეპელა ჭრელი, ღაბუა ჩიტი...
ვინ, ვინ ჩამოთვლის!
მთელი ბუნება სულია შენი,
ფერად ნაირი და უსასრულო,
წყარო სიცოცხლის!“ (46)

შესაბამისად, მხოლოდ უფალს ძალუძს გაგვიმხილოს „მთელი შესაქმის ანი და ჰოე“ (45) და გვიბოძოს სამყაროს შეცნობის გასაღები – ღვთაებრივი სიყვარულის ნიჭი. პოეტი უფალს შესთხოვს მიუტევოს ურწმუნოთ, რადგან „სულის საკრალური არხების“ გაჭრა ყველას არ ძალუძს, არადა, ადამიანი ხომ „ღმერთში ხარ მდიდარი, ღმერთით ხარ სავსე!“ (50)

ახლა კი კრებულის სათაურს, როგორც უმბერტო ეკო იტყოდა, „ინტერპრეტაციათა გენერატორს“ – დავუბრუნდეთ, რადგან ეს სათაური, მართლაც, ბევრ საფიქრალს აღუძრავს გულისხმიერ მკითხველს: რატომ „რეკვიემი“ და რატომ მაინც და მაინც „დევნილთათვის“? სულსწრაფმა „გადამკითხველმა“ შეიძლება იოლი გზა მონახოს და მაშინვე, ისტორიის ბედუკუღმართობითა თუ ჩვენივე ბედოვლათობით, საკუთარ მიწაზე დევნილებად ქცეული ქართველები გაიხსენოს, პოლიტიკური სარჩული გამოაკეროს ყველა ლექსს და ასე წაიკითხოს. რა თქმა უნდა, არც უმაგისობაა, მაგრამ, უფრო რომ ჩავუღრმავდეთ გენრიეტა ქუთათელაძის ამ მშვენიერი, მაგრამ ბევრი დამაფიქრებელი კითხვის აღმძვრელ, მრავალშრიან, უამრავი ღრმა ქვეტექსტის შემცველ სტრიქონებს, დავინახავთ, ვიგრძნობთ, რომ დევნილი თითოეულ ადამიანში ზის. ჯერ ერთი, ყველას გვდევენ ჩვენი დემონები და, მართლაც, საით აღარ გვერეკებიან ისინი: შიში, ამპარტავნება, ვნება, ძალაუფლებისა თუ სიმდიდრის წყურვილი... მეორეც, ფროიდისაც არ იყოს, ქვეცნობიერში ჩარეკილი ამ ინსტინქტების მოთოკვა-მოთვინიერება ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება და, ჩვენდა უნებურად, საკუთარ ნამდვილ „მეს“ ან თავად დაუნდობლად ვდევნით, ან კიდევ უარესი – მათი მონა ვხდებით: „დღეს მე დავრწმუნდი, რომ დევნილი ვარ, მდევარი ჩემი მხოლოდ შიშია“ („შიში“, 6). ასე რომ, ზოგჯერ პიროვნება დევნილობის სინდრომის ტყვეობას თავს ვერ აღწევს.

მძიმეა დევნილის ხვედრი: ყველაფერი საყვარელი და მშვენიერი წარსულში დარჩა: ულამაზესი მელოდიები, ფერადი ყვავილები, იმედიანი სტრიქონები, რეალობა კი „წარსულის ლანდებია, მოგონებების ტყეში სოკოებივით რომ ამოზრდილიყვნენ და ცეკვა სურდათ მასთან“ (7), დევნილობა ცვლის ადამიანის გარეგნობასაც და მის სულიერ სამყაროსაც – ამაზე მიგვანიშნებს ეპითეტები ლექსში: „ჩანავლული თვალები“, „გალეული და დამფრთხალი“, „ჩამქრალი ოცნებების ხეივანში ჩრდილდაკარგული“ (7):

„დარდმა და მწუხარებამ დააჭკნო ეს ქალი,
ეს ქალი, წარსულში რომ ჰგავდა ყაყაჩოს,
სასტიკმა ცხოვრებამ დასეტყვა,
დამეხა, დაცეცხლა, დააზრო და დააბერა, ლამის დაახრჩო“.
*(„ეჰ, რა ძნელია დევნილის ხვედრი,“ 7)*

დევნილობა უკვე სულის მდგომარეობაა, შინაგანად წინააღმდეგობრივი ცნებაცაა: რეალობისგან გაქცევის უიმედო მცდელობაცაა, უარაფრობასთან შეგუების და, იმავდროულად, მასთან ბრძოლის ნიშანიცაა:

„ეჰ, სამშობლოში გავხდი ხიზანი...
გამისასტიკდა ლტოლვილის ბედი
და მოგონების ამარა დავალ,
დავტირი მამულს, უღმერთოდ დაჭრილს...
ჩემს სამშობლოში მე უცხო გავხდი,
ეჰ, დედინაცვლად მექცა ქვეყანა.“ (9)

როცა ამ სტრიქონებს კითხულობ, აღარ გიკვირს, რომ გენრიეტა ქუთათელაძის ლექსების ეს კრებული ორფეროვანია – შავ-თეთრი, ორპოლუსიანია – ბოროტი-კეთილი, ტირილი-სიცილი, მტერი-მოყვარე, გლოვა-ლხინი, სხვა ფერები აღარ არსებობენ, არც მედიაციური სივრცეა უკიდურესად დაპირისპირებულ ბინარულ ოპოზიციებს შორის; და რაც ყველაზე სევდისმომგვრელია, წუთისოფელში სწორედ მუქი ფერები და ბოროტება სჭარბობს, ჩვენი ყოფის ორი პოლუსი კი:

„ეს ორი ფერი – შავი და თეთრი
მადგას გვირგვინად...
რაც წლები გადის, მისი სიმძიმე
მაკრთობს, მაწუხებს, მხრებში ვიხრები,
მაინც ჩუმად ვარ,
რა წესია სხვა შევაწუხო,
მაგრამ სიჩუმე თვითონ ყვირის
და მშველელს უხმობს...“ (11)

თუ გენრიეტა ქუთათელაძის ლექსებში მაინც შეხვდით ფერებს, თუკი „დღე ჩამოჰგავს პეპლებს ჭრელფრთიანს“ (12), მზე კაშკაშებს და მისი სხივები ცისარტყელას მსგავსად გადატყდება ნაძვის ტოტებში, ეს ან სიზმარია, ან – ბავშვობის მოგონებები. დღევანდელობა კი იმდენად ბნელი და დამთრგუნველია, რომ სიზმრად გამოცხადებული სილამაზეც კი აშინებს ადამიანს და სიცოცხლეც სასჯელად იქცევა:

„ისე დიადი და მომხიბვლელი
ჩანდა ფაქიზი დილა,
რომ შემაშინა ამ სილამაზემ
და გამეღვიძა.“ (12)

და თუკი ეს ფერები მაინც გაჩნდა, ე. ი. უკვე სხვა, მომავლის პლანეტაზე ვართ:

„აი პლანეტა, ეგზოპლანეტა –
ეს ჩვენი მომავალი დედამიწაა,
ახალ სიცოცხლის აკვნად ირწევა,
აქ ხეები შეფოთლილან უცხო ფერებით
და წვიმას გადასდის ვარდის სურნელი;
მესმის გალობა, იდუმალი,
ყოვლისმომცველი...“ (12)

გენრიეტა ქუთათელაძის პოეზიაში ფერების, მელოდიების დაკარგვა მზისა და მთვარის, ვარსკვლავების დაკარგვასთანაცაა დაკავშირებული. ისინი აღარ ანათებენ ადამიანებისთვის, გაგულგრილდნენ: მიწის მკვიდრთა აღარც ტირილი მოქმედებს მათზე და აღარც – სიცილი. ამის მიზეზი, შესაძლოა, ციური მნათობების მიმართ ადამიანების გაუცხოებაა, მათი რწმენის დაკარგვაა, ამიტომ ევედრება პოეტი მნათობთა მეუფეს – მზეს, ასევე – მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებიც მისთვის უფლის ნათლის მატერიალური ხორცშესხმაა:

„არ ჩანხარ მზეო,
ჩემო ოქროსთვალება ღმერთო,
უზეშთაესო და სიცოცხლის წყაროვ,
ჩემო მეგობარო და დიდო მეუფევ,
რად გამინაწყენდი,
მე ხომ შენზე ვლოცულობდი
ჟამსა წარმართობისას;
ახლაც ვილოცებ,
განა ნაკლებად წარმართული დროა...“
*(„ამოდი, მზეო“, 17)*

დიახ, ფერები, მელოდიები, სიტყვები ქრება, როცა ადამიანი ივიწყებს უზენაესს, უფრო მეტი, უპირისპირდება მას, როცა აღარ უყვარს თიბათვის ღამე, ვეღარ ხედავს „მთვარე როგორ უგზავნის შროშანის ყვავილს“ (36), აღარ ესმის შრიალა ვერხვის ჩურჩული და ფეხს ვეღარ უწყობს მზეს... ყველაფერ ამასთან ერთად ქრება ბედნიერების შეგრძნება და რჩება ადამიანი – დევნილი და მარტოსული – უზარმაზარი, მტრული, პირქუში, შემზარავი სამყაროს პირისპირ, რადგან მხოლოდ უფალს ძალუძს აანთოს ადამიანის სულში ის სინათლე, რომელიც წუთისოფლის გზას გაუნათებს.

„გაუხედნელ რაშებს ჩამოჰგვანან სიტყვები ზოგჯერ...“ (112) – წერს ერთ ლექსში გენრიეტა ქუთათელაძე. მეორეგან კი ამატებს: „ჩემს სათქმელს სხვა ვერვინ იტყვის, სათქმელი ჩემი მხოლოდ მე მიცდისო“ (119). როგორც ამ კრებულში შესულმა ლექსებმა დაგვარწმუნა, პოეტმა შეძლო გაუხედნელი რაშების მოთვინიერებაცა და ორიგინალური ფორმით, მხოლოდ მისეული ხმითა და ინტონაციით, თავისუფალი ლექსით, რომელსაც ძლიერი შინაგანი რიტმულობა საკმაოდ მელოდიურსა და დინამიკურს ხდის, თავისი სათქმელის მაღალმხატვრულად გადმოცემა.

ესაა ოღონდ, გენრიეტა ქუთათელაძე არაა „პუბლიკაზე მომუშავე“ პოეტი, მას უფრო მრავლისმეტყველი დუმილი ეხერხება, თუმცა, როცა მის ხალხსა და ქვეყანას სჭირდება, ეს „დუმილი ზოგჯერ ისე ყვირის, ისე ხმაურობს, ვით ნახანძრალზე გაჩენილი აშარი ქარი...“ (84), ეს დუმილი მისი ტანჯული სულის ლოცვაა, ყვავილებივით სათუთად გამოზრდილ-გახარებული და ღვთისადმი აღვლენილი:

„დღეს ლექსებმა ყვავილივით გაიხარეს!
ლანდები სიზმრის ირეკლება ყველა სტრიქონში,
ფურცლებს მივანდე გაქვავებული ცრემლი და დარდი,
წიგნად ვაქციე და ვით ძვირფასი სამკაული
უჯრაში გამოვკეტე, წიგნი,
რომელიც ხვალის წიგნია და ელოდება დღის სინათლეს.“
*(„ჩაესვენება მზე მიმწუხრისა საცაა ზღვაში...“, 15)*

უნდა დავეთანხმოთ პოეტს: „რეკვიემი დევნილთათვის“, მართლაც, „ხვალის წიგნია“, მისი მკითხველი „ღმერთის სიკვდილის“ ეპოქაში ნაკლებად მოიძებნება, მაგრამ, იმედი ვიქონიოთ, რომ თვითონ ეს და მსგავსი კრებულები ნელ-ნელა გამოზრდიან თავიანთ მკითხველებს, ახალი თაობაც დაუბრუნდება ღმერთს, რომელიც არის სიყვარული – ამის რწმენითაა სავსე გენრიეტა ქუთათელაძის სევდითა და, იმავდროულად, მზით სავსე პოეზია.

# ზამთრისპირის მელოდიები

**(მურად მთვარელიძის პოეტური კრებული – „მიდი, გარეკე!“)**

„დღეს, ზამთრისპირზე,
ეს ქვეყანაც ზამთრისფერია...“
*მურად მთვარელიძე*

მურად მთვარელიძის 2018 წელს გამოსული პოეტური კრებული „მიდი, გარეკე!“ *(შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს)* ამავე სახელწოდების ლექსით იწყება და ის აძლევს მას ტონს, რიტმს, დინამიკას, ქმნის განწყობას, იწვევს ემოციას. ეს სტრიქონები ერთდროულად მაჟორულიცაა და მინორულიც, მათში ნაზი სევდაცაა და დიდი იმედიც. ამ მშვენიერ ლექსში დიდებულადაა გადმოცემული ზამთრის მოახლოებით გამოწვეული სიცივისა და სევდის შეგრძნება. ლექსის ლირიკული გმირი ხომ უკვე დაბრძენებული, საინტერესო და რთულცხოვრებაგამოვლილი ადამიანია, ვისაც წლები სადავემიშვებული რაშებივით თვალდახელშუა გაუფრინდა, ვინაც უკვე შორს მოიტოვა გიჟმაჟი გაზაფხულები და:

„დღეს ზამთრისპირის მინანქარში ნაზად ვიწვები,
მხრებზე გადმომდის ამ ცხოვრების მღვრიე მირონი.“
*(„მიდი, გარეკე!“, 4)*

ამ ლექსის პათოსს აგრძელებს შემდეგი ლირიკული აღსარება „იქნებ“ (6). მასშიც შესანიშნავადაა გადმოცემული შემოდგომა-ზამთრისპირის მოახლოებით გამოწვეული ჟრჟოლა, ის სიცივე, ნელ-ნელა შიგნიდან რომ თოშავს ადამიანის სულს, აგრძნობინებს, რომ გაზაფხულის მყვირალობა დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. ერთი იმედიღაა: წუთისოფლის მარადიული წრებრუნვის, ხელახლა აღორძინების, სხვად ქცევის, სხვად მოვლინების:

„შევიმოსები გაზაფხულის ნისლით უბრალოდ
და თრიალეთის ზურმუხტებში დაგელოდები.
მთვარე იქნება მასპინძელი მარადიული
და აღარ უნდა, ალბათ, ამას დიდი მიხვედრა,
როცა აპრილი ბალახებში ჩაციურებს,
მიწის გულიდან სიყვარულით ამოვიხედავ!“ (6)

ზამთრისპირს ბევრი იმედგაცრუება მოაქვს, თითქოს ლექსიცა და ღვინოც კარგავენ გემოს, სურნელს, ძველებურად თავბრუს აღარ გახვევენ, რომანტიკული ბურუსი ჩამოსცილდა ძველ გრძნობებს, ერთგულების ნიღაბი – ძველ მეგობრებს, სიწმინდის საბურველი – კრიალა ცას და ნელ-ნელა შემოდის სულში თოვლის გამთოშავი სიცივე... („აღარც ლექსის გემო მინდა...“, 38). იმედად ისევ მითიურ საბურველში გახვეული წარსული რჩება, შორეულ ბაბილონში ეგულება პოეტს ღვთაებრივი, ამამაღლებელი, სამყაროს დამამშვენებელი სიყვარულის მაგალითები, ამიტომაც მოუხმობს ის „ახალი დროის სემირამიდას“ (40):

„მახსოვს, მზეს გულით დავატარებდი,
ვეზიდებოდი ზეცას ამ ქედით,
ცის წახნაგებზე ბაღებს ვკიდებდი
და შენს ჯადოსნურ სახელს ვარქმევდი.“ (40)

ზოგჯერ არცთუ იოლად პასუხგასაცემი, ზოგჯერ კი რიტორიკული კითხვებიც ეწვევა პოეტს, ეჭვნარევი, ტკივილიანი, ცხელი ზაფხულის მოუბრუნებლად წასვლით აღძრულნი:

„ჩამოიქანცე, ჩემო ზაფხულო?
შემოგწყრნენ ვნების იაგუნდები?
შემოდგომების სიზმრებს ნახულობ
თუ გაზაფხულის ქარში ბრუნდები?“ (28)

თუმცა საბოლოოდ მაინც ვერ იმეტებს ახალგაზრდობის წლებს და გაზაფხულის ქარებთან ერთად მათი მობრუნების იმედიც იღვიძებს. სჯერა, რომ „ცისკრისას ცისკარი ყორანქედიდან ამოვა“ (15), ამიტომ ცდილობს დარდების განდევნას, „ბებერი სისხლიც ყელს მოიღერებს“ (30), სამყარო მთელი თავისი მშვენიერებით – ვარდის გაშლილი კოკრებით, ორღობეების პიტნის სურნელით, კრიალა ცით – გაზაფხულის დღესასწაულის სახით – შემოდის პოეტის არსებაში და სიცოცხლის ხალისსა და წყურვილს, სიყვარულის მარადიულ სურვილს ააღორძინებს („ხცისი... ყორანქედს ჩუმად უღიმის...“, 30).

სიმბოლურია მურად მთვარელიძის „უკანასკნელი ფოთლის მონოლოგი“ (42), ამ ლექსმა ო’ჰენრის გენიალური ნოველა გამახსენა: მასში ხომ ხელოვნების ძალამ, ერთი მხრივ, სიცოცხლის იმედი გადაარჩინა, მეორე მხრივ კი, დიდი ხელოვანის სული შეიწირა:

„ჩვენ უკანასკნელ ფოთლებად შევრჩით
ასწლოვან მუხას – ასგზის ნამეხარს,
სულის წყაროდან კვლავ მოგვაქვს პეშვით
ლექსი, რომელშიც სევდა ჩაგვერხა.“ (42)

სწორედ ასეთი გულწრფელი, მართალი და გულიდან ამოსული ლექსი გადაარჩენს პოეტის სულს, მის მიერ ოსტატურად შექმნილ მოხდენილ, ორიგინალურ მეტაფორებში ჩაიბუდებს მისი გაზაფხულები, ოცნებები, რომლებსაც შინაგანი ილუმინაციით გააშუქებს იმ ქალის ლანდი, ვისი სახელი და სახეც ცხოვრების ორომტრიალში ჩაიკარგა ცხრა მთას იქით:

„ახლა, როცა შემოდგომაც გაიპარა
და მხრებს მაწევს დეკემბრის ცა უჩვევი,
მაგონდებით, შენ, ლიახვის სანაპირო,
და ცხინვალის ნისლიანი ქუჩები.“ („მ-ს“, 43)

წავიდა ის დრო, როცა პოეტი სატრფოს „სიყმაწვილის გაზაფხულიდან ჩუქნიდა ლექსებს ფერადოვანებს“ (54), ზამთრისპირს „ლექსიც თეთრია ჩემი ჭაღარის ვერცხლის ძაფივით“ (54), სულ უფრო ძნელია მიაწვდინო სხვას „დაღლილი სულის უხმო ძახილი“ (55), მხოლოდღა მოგონებებს შემორჩათ გრძნობათა ქარიშხლები, როცა:

„სიყვარულის გრძნეულ ღამეებს
ვქსოვდით კოცნების აბლაბუდებით.“
*(„ეს იყო მაშინ...“, 56).*

ამიტომაც ასე ემოციურად შეიგრძნობს მკითხველი იმ უამრავ მშვენიერ, კაშკაშა, ფერადოვან გაზაფხულს, რომელიც „თვლემს ამ დამჭკნარ შემოდგომაში“ (71):

„აწ, მეყვსეულად წლებმა იქუხეს
და მეც ვბერდები გარდარეულად,
თუმც სიყვარულის ბილიკ-ჭიუხი
ამ გულში მაინც არ დალეულა“
*(„დღევანდელი ლექსი“, 118)*

ზამთრისპირის სიყვარულის ჰანგები ცოტა თვითირონიულიცაა, მასში შეჭრილი სალაღობო ინტონაციები კი გვიჩვენებს, რომ პოეტს უკვე შეუძლია შორიდან შეხედოს და ტკბილი ღიმილით გაიხსენოს თავბრუდამხვევი ვნებებით სავსე წლები:

„რად გამირბი, შენ, ამ დილით
ქარო, შლეგო, გულაშარო,
მეც მყავს ჩემი ფატმანი და
და ჩემი ოქროს გულანშარო...
იქ, სად ეკლის ბაღნარია
მე სამოთხედ უნდა ვშალო
ვარდები და ფატმანი და
სიყვარულის გულანშარო.“
*(„გულანშარო“, 17)*

მსუბუქი იუმორი, თვითირონია განსაკუთრებულ მიმზიდველობას სძენს მურად მთვარელიძის პოეზიას, უფრო გულწრფელს, შინაურულს, ახლობელსა და მისაღებს ხდის მას მკითხველისათვის. მათში ხომ მწარე სიმართლე იუმორითაა შეზავებული, რაც უფრო იოლად აღსაქმელს ხდის ადამიანის, ქვეყნის, ხალხის, პიროვნების ზამთრისპირის საკმაოდ მძიმე სურათს, როცა:

„ამ ფირუზ ზეცას ნოემბერი გადაათეთრებს.
და თრიალეთის ხევ-ხუვებში ჩუმად იტირებს
ნისლი, რომელიც ცის სილურჯეს ჩამოაცილეს.“ (20)

ზამთრისპირს, „როცა მზეც კი ცივია და უნდო“, როცა კართან დაისია მომდგარი, ხოლო ყინულის ლოლუები თითქოსდა ჩხვლეტენ გულს, რომელიც მხოლოდ სიმყუდროვეს მიელტვის, „გედის სიმღერა“ (67) შვენის და კრებულის ბოლო ლექსი – „ჭაღარა – ვერცხლი?“ (123) – ზამთრისპირის მელოდიების ბოლო აკორდია:

„შენ ჩემს ჭაღარას დაარქვი ვერცხლი,
ამბობ: – გიხდება და გალამაზებს,
მე ამ დროს გულში მიღვივის ცეცხლი
და შებინდებულ გულის დარბაზებს

ვაწყდები, თითქოს სევდის ტბის პირას
ჩემი დარდების ტივი მიბია,
როგორ აგიხსნა, ამ ვერცხლის მიღმა
რა ნაღველი და ტკივილებია?!“ (123)

ბევრი რამ იწვევს ამ ნაღველ-ტკივილს, დიდ ადამიანურ სევდას ხომ უამრავი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. ამ მიზეზთა შორის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და გაუსაძლისი, მამულის გამო სევდაა, ის განცდაა, როცა ხედავ, თვალსა და ხელს შუა როგორ იცვლება შენს თანამემამულეთა მშობლიური სახე, როგორ უკვალოდ ქრება მამაპაპური ტრადიციები, როგორ უფასურდება ღირებულებები; როცა ხედავ, რომ:

„უკეთესი საქართველო მიდის,
უარესი საქართველო რჩება...“
*(„მამულის სევდა“, 16)*

მურად მთვარელიძე ალეგორიასაც მიმართავს, რათა გვიჩვენოს, რომ, სამწუხაროდ, ეპოქათა ცვლასთან ერთად, ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ ბევრი არაფერი იცვლება მის მხარეში: არც მტაცებელი მგლები იშლიან ძარცვა-გლეჯის ჩვევას, არც მელაკუდები – ეშმაკობას, არც ტურები – მლიქვნელობას, მეფე-ლომებიც თავიანთი სიმაღლიდან დამცინავად გადმოჰყურებენ ბრბოს და ა. შ., შესაბამისად, პოეტის დასკვნაც საკმაოდ პესიმისტურია:

„არა მგონია შეიცვალოს რაიმე აწი....
წისქვილს? ეჰ, გააქვს რაკარუკი, ფქვავს და რაკუნებს.“
*(„იმ ხეობაში“, 18)*

ზამთრისპირის სევდას ისიც აძლიერებს, რომ პოეტს ახსოვს თავისი ქვეყნის დიდებული წარსული, როცა:

„გვყავდნენ მეფენი,
მეტიც, გვყავდნენ მეფეთ-მეფენი,
ვცხოვრობდით ისე,
ძველთაძველ ერს როგორც შეჰფერის.“
*(„გვყავდნენ მეფენი...“, 47)*

ახლა ეს ძველისძველი ერი ისე დაჩიავებულა, ისე დაუკარგავს ღირსება და თავმოყვარეობა, რომ ხან ვის მიადგება ხელგაწვდილი, ხან – ვის, ისინი კი ამპარტავნულად დაჰყურებენ „მკერდგაგლეჯილ“, დაპატარავებულ ქვეყანას, რომლის მკვიდრნიც ისე ირყევიან, „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ და „უცხო ჰანგზე“ მომღერალი ქართველების შემყურე, მამულიშვილური სევდით შეპყრობილ პოეტს უჩნდება შიში:

„დღეს კიდევ ჰა და,
ხვალ ნეტავი ვინღა ვიქნებით?“ (47)

მურად მთვარელიძის პოეზიის ხიბლი ისაა, რომ მიუხედავად ზამთრისპირის მინორული განწყობისა, მიუხედავად რეალობის ობიექტური აღქმისა, ის, ბევრი თანამედროვე ახალგაზრდა ხელოვანისაგან განსხვავებით, ნიჰილიზმსა და პესიმიზმს არასოდეს თესავს მკითხველის გულში. მის

პოეზიაში მაინც მაჟორული, იმედიანი განწყობა და მელოდიები ჭარბობს. ვფიქრობ, ამის მიზეზი მშობლიური ქვეყნის ისტორიის, წინაპართა ღვაწლის ღრმა ცოდნაა, ის რწმენაა, რომ დიდი დიმიტრი ყიფიანის მსგავსი თავდადებული პატრიოტები 21-ე საუკუნეშიც გამოუჩნდება საქართველოს.

დიმიტრი ყიფიანს, რომელიც დღესაც გვასწავლის „სიტყვითა და საქმით, რომ სამშობლო სიცოცხლეზე მეტია“ (73) – მურად მთვარელიძემ მიუძღვნა მშვენიერი ლექსი: „როცა მამულს საქართველო ჰქვია, მაშინ სუნთქვაც მიწის თითო ბელტია“ (73), ამიტომ ამ სუნთქვასავით, თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ ქართულ მიწას და ყველამ ისე უნდა დაიცვას თავისი წილი საქართველო, როგორც მას დიმიტრი ყიფიანი იცავდა. ეს არც ისე რთულია, საკმარისია, ყველა ქართველს ახსოვდეს, რომ ეს მიწა მისია და მასზე გადამთიელი არ უნდა გააბატონოს, ყველა ქართველმა უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის წარსული, მოუფრთხილდეს ძვირფას ტრადიციებს, აკვნიდანვე ჩაუნერგოს პატარებს ქართული ენისა და ქართული ჰანგების სიტკბოება:

„ქართლში მე ჩემს მართვეებს რომ ვაწრთობ,
ამით ჩემ წილ საქართველოს ვიცავ.“
*(„საქართველოს დასაცავად“, 87)*

პოეტი სულაც არ უხუჭავს თვალს სინამდვილეს, იცის, რომ:

„დღეს პაპაჩემის ძველი ხანჯლის ვერცხლის ქარქაშში
ჟანგი იშენებს სასოებით ხსოვნის სასახლეს“ (20),

მაგრამ ის მაინც არ კარგავს ხვალინდელი დღის იმედს, რწმენას, რომ:

„წინაპრის სული სადაც მზეა, სწორედ იქ უხმობს,
ერთხელ მდინარეც ჩაიძინებს, მერე რა მოხდა,
ჩაიძინებს რომ დილით მთელი ძალით იქუხოს.“ (20)

საქართველო დღემდე ამ იმედით იბრძოდა, დღემდე მოაღწია, ცოცხლობს და რადგან „ცოცხლობს, იმედიც არსებობს, გახსოვდეს.“ (49) ამ იმედს პოეტს აძლევს უფლის რწმენა, მას სჯერა, რომ ღმერთი არ გასწირავს „ნუშისთვალება ღვთისმშობლის“ წილხვედრ საქართველოს, ალბათ, ამიტომაცაა ასე ფაქიზი, ამაღლებული, მომხიბლავი, თან – მწუხარე პოეტის მიერ ნატიფად გამოკვეთილი ხატება ღვთისმშობლისა:

„მერე კი მოწყდა ღაწვთა ლუსკუმას,
შეიფრთხიალა ქარში ერთი და
სულში გაქვავდა სევდის ჩუქურთმად
ღვთისმშობლის ცრემლი ქაშუეთიდან.“
*(„ქაშუეთის ღვთისმშობელი“, 26)*

ადამიანი მუდამ გზაჯვარედინზე იდგა, მარცხნივ ეშმა ეწეოდა, მარჯვნივ – უფალი. ეს არჩევანი წეწდა მუდმივად მის გონსა და სულს, ორად ხლეჩდა მის არსებას („გზაჯვარედინზე“, 27), თუმცა პოეზიის ჭეშმარიტ ქურუმს არასოდეს სჭირდება უფლის ძიება, ის მუდამ მასშია, ის უფლის მარადიული მიჯნურია, მის გზებზე დადის, მისი მზე ანთია მასში:

„მე ვიყავ მოგვი და ეს არის ჩემი სამხილი
და პოეზიის ლოთი ვგავდი ღვინით გალეშილს,
მე ვიყავ მოგვი და როდესაც ქრისტე ვიხილე,
მზე შემოიჭრა ჩემი სისხლის იორდანეში“.
*(„მოგვი, მიჯნური და ქრისტიანი“, 13)*

უფალმა უბოძა ადამიანს სხეული – „ემიგრანტი სულის ჭურჭელი,“ საპატიმრო, რომლიდან გა-ნთავისუფლებისთვის სული „იბრძვის, ბობოქრობს, აწყდება კედლებს“, მაგრამ რაღაც არ უშვებს სულს; ეს რაღაც მზეა, ცაა, ღრუბლებია, ქარია, სამყაროა – მუდამ მბორგავი, მუდამ სადღაც მიმს-წრაფი, ასე ახლობელი და შენეული და, იმავდროულად, ასე შორეული და უცხო... სწორედ ისინი არ აძლევენ სულს სხეულის საპატიმროს დატოვებისა და მშობლიურ მიწასთან შეერთების საშუალე-ბას, იმ მიწასთან:

„რომელიც, ალბათ, ითვლის თვეებს და დღეებს
მის სულში როდის შევსახლდები, როდის მიუვალ,
როდის გავუთბობ გაყინულ გულს,
ანდა სულაც დაშრეტილი სისხლის წვეთისგან
გულზე ყაყაჩოს თუ როდისღა ავუყვავილებ.
სული კი სული, დაუბრუნდება დედა ზეცას,
რომლისკენაც ასე ისწრაფვის.“
*(„სულ ვემუქრები სულს...“, 59)*

მართალია, სული მიისწრაფვის იქითკენ, სადაც „სულ სხვა ცაა – ცხოველმყოფელი...“, სადაც „მარადისი სიმყუდროვეა“ (96), მაგრამ ეს მაცდური და „ნათხოვარი წუთისოფელი“ მაინც უფრო ტკბილია, მასთან გამომშვიდობებაც ტკივილითა და სევდითაა გაჯერებული:

„ვდგავარ და უხმოდ, თუმც მრავლისმთქმელად
გავყურებ სევდით ცხოვრების გემბანს,
არის მოსვლის დრო, მაგრამ უთუოდ,
მაგრამ უთუოდ წასვლის დროც დგება.“ (37)

პოეტსა და სამყაროს, ბუნების მოვლენებს შორის უმჭიდროესი ძაფებია გაბმული, ღრუბლებს პოეტი თავისი „სევდის მთელ არსენალს“ გადაულოცავს ხოლმე და ისინიც ცრემლებად იღვრებიან, დამეგობრებულ ნიავებს „გულისთქმას ანდობს ალალად“ – ისინი ქარიშხლებად იქცევიან და:

„ასეა მუდამ: ჯერ ვპოულობ, მერე კი ვკარგავ...
ასე ვიბრუნებ მას, რაც მხოლოდ
ჩემი სულის ანარეკლია.“
*(„რაც თავი მახსოვს...“, 60)*

როგორც ვთქვით, პოეტი უფაქიზესი ძაფებითაა დაკავშირებული ბუნებასთან, ისინი ერთმანეთს უგებენ, მათში გარდა-იცვლება პოეტის ნათელი და სევდიანი სული, ამიტომაც მზე, ვარსკვლავები, მთები, ღრუბლები, ქარი – ბუნების ნებისმიერი მოვლენა – პოეტის ერთგული მოკავშირეა და ისიც მათ შესთხოვს მფარველობას:

„ხელი მომხვიეთ, ძვირფასებო,
დამხსენით წუთისოფლის ჩალანგარებს
და მარადისობის საბრძანისში
ჩემს წილ საუკუნეს ჩამაბარეთ.“
*(„მზეო, ღამეში მიერთგულე...“, 23)*

მომაჯადოებელ პეიზაჟებად იშლება მურად მთვარელიძის კალმით დახატული თრიალეთის მრავალფეროვანი ბუნება. პოეტი ქმნის ტროპული მეტყველების დაუვიწყარ სახეებს:

„თოვლის ფიფქებზე მიხატულს ჰგავდა
ეს ნუშის ტოტი
ქარის ნოტი კი
ვერ იღებდა სასურველ შედეგს...
ქვიშხეთის ცაზე მზე გალობდა
ძველთაძველ მოტივს
და მოყვავილე ფიფქის ფთილა
– ეს ნუშის ტოტი
ჰგავდა ვან გოგის შეფიფქულ შედევრს.“
*(„ქვიშხეთი, გაზაფხული“, 22)*

ღმერთი-სამყარო-შემოქმედი – ერთიან, განუყოფელ სამებად წარმოგვიდგება მურად მთვარელიძის პოეზიაში, ისინი ერთმანეთს გრძნობენ, უგებენ, ესაუბრებიან:

„აქ, თრიალეთზე ერთი შინდი ისე ყვავილობს,
თითქოსდა ღმერთზე ლაპარაკი მოწყურებია.“ (46)

მიუხედავად სამყაროს მშვენიერებისა, ის უდიდეს ტკივილსაც იტევს – უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანების დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს. წუთისოფელი კვლავ და კვლავ გვარწმუნებს, რომ ცხოვრება მხოლოდ „უნდო მითი“ (12) და ზღაპარია, ჩვენ კი მუდმივად სიკვდილ-სიცოცხლის შუაში ვდგავართ და არავინ იცის, რომელ წამს რომელი დასძლევს.

უძვირფასესი დის დაკარგვით დათრგუნული, გულმოკლული ძმის სულშიჩამწვდომი მოთქმაა „დის საფლავი – ნანის“ (12), „დები“ (32-34):

„მანდ, ტაშისკარში, ბებერ წაბლებთან
ჩემი დაიკოს სხივი მინთია.“ (12)

მურად მთვარელიძე ახერხებს პირადი ტკივილის ზოგადადამიანურ ტრაგედიამდე აყვანასა და სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობის მარადიულ პრობლემად წარმოჩენას:

„და მეც ვდგავარ ხიდის შუაში...
ეს ხიდი ისე პატარაა, მე რომ ასე გრძელი მეგონა...
და ვცდილობ, ვიდგე ისე, როგორც უნდა იდგეს ერთადერთი ძმა ორი დისა,
რომლებსაც უნდათ, ძმა სულ თან ჰყავდეთ...
მთავარია, თვითონ ისინი არ დამეღალონ და უნებლიედ არ გაეშვათ ხელი ჩემ
ხელზე, მე არასდროს არ დავიღლები...“ (34)

და მაინც, სიცოცხლე ყოველთვის თრგუნავს სიკვდილს, ზეიმობს მასზე, რადგან ჭეშმარიტ გრძნობებს აკლდამის ლოდიც ვერ შეაჩერებს, ის მარადიულ სუნთქვად თან დაჰყვება კაცობრიობას, რათა შეახსენოს – ადამიანური სიყვარულის ძალა ყოვლისშემძლეა, უკვდავია:

„ათასწლეულების წრიდან
დგება სიყვარულის ჯერი...
და ჩემთვის ვჩურჩულებ მშვიდად:
ზევახ, სიცოცხლეო ჩემო!..“
*(„ზევახ, სიცოცხლეო ჩემო“, 10)*

მხოლოდ ამ იმედით ცოცხლობს და ქმნის პოეტი, ქმნის დიდი გულით, რადგან ემოციის გარეშე ჭეშმარიტი პოეზია ვერ შეიქმნება: „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანებაო“ – ბრძანებდა ქართული ლექსის მეფეთმეფე. მურად მთვარელიძის პოეზიაშიც ძალუმად ისმის გულის ფეთქვა, ის გრძნობების ძაფებზე აგებს ნაირფერი სიტყვების მარგალიტებს, ის მათ „გულში მოჩუხჩუხე სისხლში“ ავლებს და მინდვრების სურნელით აზავებს, შემდეგ კი:

„და როს გამოვკიდე სულის აივანზე
ეს ჩემი სიტყვების ხმიანა ასხმულა,
მზემ გულში ჩაიკრა, მერე ცის თავანზე
გაფინა და სხივთა მირონი აპკურა.“
*(„ლექსი“, 24)*

ამიტომაც მიდიან ისინი მკითხველამდე პოეტის გულის სისხლის შხეფებად. ეგაა ოღონდ, მურად მთვარელიძეს არ უყვარს მყვირალა ავტორები, რადგან სჯერა: „რად უნდა ყვირილი სულში მზის ამოსვლას,“ „მყვირალა ლექსების ავტორთა გასაგონად“ (62) კი ამბობს: „მე ჩემი სევდა მაქვს და ჩუმად ვჩურჩულებ.“ (62)

პოეტი, უფლის მსგავსად, მწყემსია, ოღონდ – სიტყვების მწყემსი:

„სიტყვათა ფარა გამყავს ქათქათა იალაღებზე,
კუნტრუშ-კუნტრუშით დაბაკუნობენ, დალოცვილები...“
*(„მე – მწყემსი“, 105)*

როგორც ვნახეთ, მურად მთვარელიძე ოსტატურად მწყემსავს ქართული სიტყვების ფარას, მეც შევეცადე, რომ თავად პოეტის მდიდარი ლექსიკით, მშვენიერი ტროპებით, ჰაეროვანი ფრაზებით მომექსოვა ჩემეული შთაბეჭდილებების ხალიჩა, მეჩვენებინა, როგორი ნატიფი, დახვეწილი და გულწრფელია პოეტის აღსარება, როგორ მომხიბლავ მელოდიებად იღვრება მის მიერ გამხელილი ზამთრისპირის სევდა.

# მაია ჯაღიაშვილი


## ღმერთებზე შურისძიება

უძველესი დროიდან ადამიანი უფერული და რუტინული ყოფითი, მატერიალური რეალობიდან მითების, ზღაპრების, ლეგენდების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, რიტუალების სამყაროში გადაინაცვლებდა. ამ მრავალფერიან განზომილებებში დარღვეული იყო დრო-სივრცის ჩვეულებრივი აღქმა, მოკვდავობის ჩარჩოები და ადამიანი ფანტასმაგორიული წარმოსახვების გზით უხილავს ეზიარებოდა. ტექნოლოგიების განვითარებამ ადამიანს გაუქრო პირველსაწყისებთან ერთიანობის განცდა და წყურვილი. საკრალური თანდათან განიდევნა და ადამიანი აღმოჩნდა სიცარიელის წინაშე, რომელმაც ათასნაირი შიში, სასოწარკვეთილება წარმოშვა. დანტესეული ჯოჯოხეთის წარწერამაც თითქოს დაბადების კართან გადმოინაცვლა: „თქვენ, აქ მომსვლელნო, იმედები დატოვეთ ყველა“ (ქება მესამე, კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანი).

კულტურისა და ცივილიზაციის დაპირისპირების მრავალმნიშვნელოვანი თემა ნაირგვარი ვარიაციულობითაა წარმოჩენილი მსოფლიოსა თუ ქართულ ლიტერატურაში. ამჯერად ბორხესის ნოველა „რაგნაროკი“ გავიხსენოთ. მწერალი თავის საყვარელ ჟანრს, ფილოსოფიურ ნოველას ირჩევს სათქმელის გამოსახატავად. იგი ჩვეული ლაკონიურობითა და ირონიით წარმოაჩენს ზოგადსაკაცობრიო სატკივარს, ღირებულებათა დაკარგვას, ადამიანური ყოფის სივრციდან ირაციონალურის, მისტიკურის, მეტაფიზიკურის გაქრობის ტკივილს.

„ღმერთების დაღუპვის“ თემა ამ ნოველაშიც ბორხესისთვის ჩვეული პალიმფსესტური თხრობის სტილით წარმოჩნდება. მკითხველის ინტელექტსა და ინტუიციაზეა დამოკიდებული, მხატვრული ქსოვილის რა სიღრმეებამდე ჩააღწევს მისი გული, სული და გონება. ჩვენი აზრით, იგი ეხმიანება ოსვალდ შპენგლერის „ევროპის დაისს“, რომელშიც ავტორმა ევროპული კულტურის დაბერება და კვდომა იწინასწარმეტყველა. მისი აზრით: „ყოველ კულტურას აქვს თავისი საკუთარი ცივილიზაცია... ეს არის აღსასრული, რომელიც მოსდევს ჩამოყალიბებას, როგორც სიკვდილი სიცოცხლეს, გაქვავება – განვითარებას, გონებრივი მოხუცებულობა და გაქვავებული, ქვის მსოფლიო ქალაქი – სოფელსა და სულიერ ბავშვობას, რომელიც დორიკითა და გოთიკით გამოიხატება. ცივილიზაცია აღსასრულია, რომელიც შინაგანი აუცილებლობის გამო ყოველთვის რეალურია.

მხოლოდ ასე შეიძლება გავიგოთ რომაელები როგორც ელინთა მემკვიდრეები. უსულგულონი, ფილოსოფიისგან შორს მდგომნი, ხელოვნებას მოკლებულნი, რასობრივი, ხშირად მხეცობამდე მისული ინსტინქტებით, ისინი დგანან

ელინურ კულტურასა და სიცარიელეს შორის. მათი ფანტაზია, მიმართული მხოლოდ პრაქტიკისკენ, ხასიათის ის მხარეა, რომელიც საერთოდ არ გვხვდება ათენში. ბერძნული სული და რომაული ინტელექტი – აი, რა არის ეს. ასე განსხვავდება კულტურა და ცივილიზაცია"; „მსოფლიო ქალაქს ეკუთვნის არა ხალხი, არამედ მასა, რომელიც გულგრილია ყოველგვარი ტრადიციისადმი, რაც ნიშნავს კულტურის წინააღმდეგ ბრძოლას. კულტურული ადამიანის ენერგია მიმართულია შიგნით, ცივილიზებულისა – გარეთ" (ოსვალ შპენგლერი, „ევროპის დაისი").

სწორედ კულტურის წინააღმდეგ ბრძოლას ვხედავთ ბორხესის ამ ნოველაში. თავდაპირველად მთხრობელი მკითხველს სიზმრების არსში გაარკვევს: „სიზმრების ჩვენება კი არ იწვევს შეგრძნებებს, როგორც ჩვეულებრივ ჰგონიათ ხოლმე, – შეგრძნებებს ისინი მხოლოდ ასახავენ. ჩვენ იმიტომ კი არ განვიცდით საშინელებას, რომ სფინქსი გვახრჩობს, – სფინქსი იმიტომ წარმოგვესახება, რომ გასაგები გახდეს საშინელების ეს განცდა". შემდეგ მთხრობელი ჰყვება თავის უჩვეულო სიზმარს, იმ შეშფოთების, ჟრუანტელის, შიშისა თუ აღტაცების თანხლებით, რისგანაც მისი სიზმარი გამოიძერწა. მის სიზმარში ერთადერთი სცენაა, რომელზეც წარმოსახული დრამა თამაშდება.

ავტორი ყოველივეს ისეთი დეტალებით წარმოაჩენს, რომელთა საშუალებითაც მკითხველი იოლად გააცოცხლებს მონათხრობს ვიზუალურ ხატებად. პირველ პირში თხრობა ამბავს დამაჯერებლობას მატებს და მკითხველს მთხრობლის ნაამბობში აღარაფერი აეჭვებს, სჯერა მისი გულწრფელობისა.

ნოველის მოქმედება საღამო ხანს, უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ლიტერატურის ფაკულტეტის აუდიტორიაში ხდება. მთხრობელი ესწრება ხელმძღვანელობის არჩევნებს. იგი ესაუბრება პედრო ენრიკეს ურენიას, „სინამდვილეში დიდი ხნის წინათ გარდაცვლილს". თითქოს არაფერი ხდება, მაგრამ მოულოდნელად ჩნდება დაძაბულობა: „უეცრად დემონსტრაციისა თუ ხალხმრავალი ზეიმის ღრიანცელმა გაგვაყრუა. ბახოს მხრიდან ჩვენკენ მოგორავდა ხალხის ღრიალი და მხეცური ღმუილი. ვიღაცამ ამოიგმინა: მოდიან! ამას მოჰყვა ძახილი: ღმერთები, ღმერთები მოდიან!" აუდიტორია, ერთი შეხედვით, სიხარულით ხვდება ღმერთების დაბრუნებას: „ოთხი თუ ხუთი კაცი ამოძვრა ამ ჭაპანწყვეტიდან და დიდი დარბაზის სცენაზე ავიდა. ჩვენ ტაშს ვუკრავდით და ცრემლებით გვევსებოდა თვალები: ღმერთები ბრუნდებოდნენ საუკუნოვანი დევნილობიდან!"

საგულისხმოა, როგორ ხატავს მწერალი სამყაროდან განდევნილ ღმერთებს: „ბრბოზე ამაღლებული, მხრებში გამართული და ყელმოღერებული ღმერთები ქედმაღლურად გადმოსცქეროდნენ ჩვენს თაყვანისცემას. ერთს ხელთ ეპყრა სიზმრის უბრალო მცენარეულის მსგავსი რტო. მეორეს წინ ლაღად ჰქონდა გაშვერილი ბრჭყალიანი ხელი. იანუსის სახე შიშნარევ მზერას ესროდა თოთის მოკაუჭებულ ნისკარტს. მათგან ერთ-ერთს, ახლა უკვე აღარ მახსოვს, რომელს, ალბათ ჩვენი ოვაციისაგან გულმოცემულს, უცებ გამარჯვების ყიჟინა აღმოხდა – აუტანლად მკვეთრი ყაშყაშის, სტვენისა თუ ყელში წყლის გამოვლების მსგავსი ხრიალი".

მკითხველის მოლოდინი, რომ დრო და სივრცე ტრანსფორმირდება და რაღაც ახალი დაიწყება, არ მართლდება. პირველი აღტაცება აუდიტორიას მალევე უნელდება და ჩნდება ეჭვი: „იმ წუთიდან ყველაფერი შეიცვალა. დაიწყო იმ ეჭვით (როგორც ჩანს, გაზვიადებული), რომ ღმერთებმა არ იციან ლაპარაკი. მთასა და ბარში საუკუნოვანმა ხეტიალმა და ველურმა ცხოვრებამ მათში ამოძირკვა ყველაფერი ადამიანური. ისლამურ ნახევარმთვარესა და რომაულ ჯვარს გულმოწყალება არ გამოუჩენიათ დევნილებისადმი. წაქანებული შუბლი, ყვითელი კბილები, მეჩხერი ულვაშები, მულატებსა და ჩინელებს რომ მოგაგონებდათ, და პირუტყვის მსგავსად გადმობრუნებული ლაშები ოლიმპიელთა მოდგმის გადაგვარებაზე მეტყველებდა. მათი ტანისამოსი არ იწვევდა სათნო და პატიოსან სიღარი-

ბეზე წარმოდგენას და უფრო ბახოს ბორდელებისა და სამორინე სახლების პირქუში ბრწყინვალების მოგონებას აღძრავდა. უბის კილოში სისხლივით წვეთავდა მიხაკი, ტანზე შემოტმასნილი პიჯაკის ქვეშ თვალნათლივ იბურცებოდა ბებუთის ტარი. და უცებ ჩვენ მივხვდით, რომ მათ ისროლეს უკანასკნელი კარტი, რომ ისინი საჩიხეში მომწყვდეული გააფთრებული მხეცებივით ვერაგნი, სასტიკნი და ბრმანი არიან და თუ ჩვენ შიშს დავნებდით ან თანაგრძნობა გამოვიჩინეთ – იმწამსვე გაგვანადგურებენ“.

თანამედროვე ადამიანისთვის კულტურული წარსული გაუცხოებულია. ისეთი ღრმა და ფართოა უფსკრული, რომელიც რაციონალიზმმა გააჩინა, რომ ირაციონალურისთვის საერთოდ აღარ დარჩა ადგილი. ამიტომაც ადამიანები არა ნამდვილ ღმერთებს, არამედ მათ კარიკატურულ, გროტესკულ, დამახინჯებულ სახეებს ხედავენ. გონების სარკე უძლურია, მთლიანობაში აღიქვას ხილულ-უხილავი და ამიტომაც დამსხვრეულ-დაშლილი, თანამედროვეობის კონტექსტსა თუ ჭრილში ახსნილ-განმარტებული ირეკლება.

ღმერთების გამოჩენის ამ ინტერპრეტაციაში აუდიტორია დავიწყებული წარსულის გამოცდილების აწმყოზე შურისძიებას ხედავს. ნოველის კულმინაცია მოულოდნელი და შთამბეჭდავია: „და მაშინ ჩვენ ამოვიღეთ დამბაჩები (სიზმარში სადღაც ისინიც მოიძებნა) და სიამოვნებით დავცხრილეთ ისინი“. ადამიანებმა ღმერთები დახოცეს და, ამგვარად, მოიჭრეს გზა იმ შორეული წარსულისკენ, მითების სამყაროსკენ, ყოველივე იმისკენ, რაც კულტურას ასაზრდოებს და რასაც, ამ შემთხვევაში, ღმერთები განასახიერებდნენ.

მირჩა ელიადე ფენომენზე, რომელსაც რაგნაროკი ჰქვია, წერს: „ესქატონი (ბერძ. უკანასკნელი, მითები სამყაროს მოსალოდნელი აღსასრულის შესახებ), რომელსაც წინასწარმეტყველებდნენ და ელოდნენ ძველი გერმანიკული ტომები, სინამდვილეში რაგნაროკი, ანუ ქვეყნიერების კატასტროფული დასასრული იყო. ეს საკუთარ თავში მოიცავდა ღმერთებსა და დემონებს შორის გიგანტურ ბრძოლას, რომელიც ყველა ღმერთისა და ყველა გმირის დაღუპვით და მსოფლიოს ქაოსისკენ საბოლოო რეგრესით უნდა დასრულებულიყო. თუმცა ისიც სათქმელია, რომ რაგნაროკის შემდეგ სამყარო ხელახლა უნდა აღდგეს (ძველი გერმანელებისთვის ასევე ცნობილი იყო კოსმოსური ციკლების დოქტრინისა და სამყაროს შექმნისა და განადგურების განმეორებადობის მითის შესახებ); და მაინც, ქრისტიანული მითოლოგიის ნორდიკულით შეცვლა ნუგეშით და დაპირებებით მდიდარი ესქატოლოგიის (ვინაიდან ქრისტიანებისთვის „სამყაროს აღსასრულით“ მთავრდება და, იმავდროულად, აღორძინდება ისტორია) დაუფარავად პესიმისტური ესქატოლოგიით ჩანაცვლების ნიშანია. პოლიტიკის ენაზე თუ გადავთარგმნით, ეს სუბსტიტუცია დაახლოებით ამას ნიშნავს: მიატოვეთ თქვენი ძველი იუდეურ-ქრისტიანული ზღაპრები და თქვენი სულის სიღრმეში კვლავ გააცოცხლეთ თქვენი წინაპრების, გერმანიკელების რწმენა; შემდეგ მოემზადეთ ჩვენს ღმერთებსა და დემონურ ძალებს შორის გადამწყვეტი დიდი ბრძოლისთვის; ამ აპოკალიფსურ ბრძოლაში ჩვენი ღმერთები, ჩვენი გმირები და მათთან ერთად ჩვენც დავიღუპებით. ეს იქნება რაგნაროკი, მაგრამ მოგვიანებით ახალი მსოფლიო დაიბადება“ (მირჩა ელიადე, „თანამედროვე სამყაროს მითები“, წიგნში: „მითები, სიზმრები და მისტერიები“).

ვფიქრობთ, ღმერთების დახოცვით ადამიანები თითქოს დემონური ძალების მხარეს დგებიან და ილუზიურ თავისუფლებას მოიპოვებენ. მირჩა ელიადეს აზრით, „არქაული და ტრადიციული კულტურის ადამიანს ისტორიის ტერორისგან თავის დაცვა მითის, რიტუალისა და ცერემონიალის საშუალებით შეეძლო“. ახლა კი, ნოველისეული ფინალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადამიანი მარტო დარჩა და თავისუფლება სასჯელად ექცა, ეგზისტენციალური კრიზისი გამოიწვია.

ბორხესის ნოველაში მხოლოდ ღმერთები იღუპებიან, ეს კი, ჩვენი აზრით, პესიმისტური ფინალია და ზუსტად აირეკლავს თანამედროვე

ცხოვრებას, რომელიც სულიერებას მოკლებულია და სჭირდება „ახალი დაბადება“, რათა მარადიულის წყურვილით განიმსჭვალოს, სიყვარულის, სიკეთის, სამართლიანობის, იმედის იდეალები დაამკვიდროს და მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის, კომფორტის, პრაგმატულ-მომხმარებლური სულისკვეთებით არ იცხოვროს.

# სიყვარულის ექოები

**(მაკა ჯოხაძის „ჩაძირული დღესასწაული“)**

როგორ შეიძლება ჩანაწერთა ვიწრო ჩარჩოებში სამყაროს ფერადოვანი უსაზღვროება მოიხელთო? როგორ შეიძლება აგრძნობინო მკითხველს დრო-სივრცეში არსებობის აუტანელი ტკივილი და თან ამ ტანჯვის განუმეორებელი მშვენიერება? როგორ შეიძლება იცხოვრო სიცარიელის წყვდიადში და არ დაკარგო იმედი გადარჩენისა, რწმენა-სიყვარულისა? როგორ შეიძლება სიტყვებად აქციო მზის პირდაპირ ცქერისას თვალებში გაჩენილი კაშკაშა სილურჯე? როგორ?

მაკა ჯოხაძის ჩანაწერების წიგნში, მეტაფორული სათაურით, „ჩაძირული დღესასწაული“, ამ კითხვებზე პასუხები ძვირფასი თვლებივითაა მიმობნეული, მაგრამ იბადება ახალი პასუხგაუცემელი კითხვა: როგორ შეიძლება მკითხველმა გამოხატო ის უცნაურად ჟრუანტელის მომგვრელი განცდა, ამ ჩანაწერთა კითხვისას რომ ჩნდება. „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობის გამოთქმა“ – იტყვის ბარათაშვილი, მცველი ქართული სიტყვის საუნჯისა. სწორედ სიყვარულია ფიქრის ის მთავარი ნაკადი, რომელიც ამ ჩანაწერთა დრო-სივრცის სულის ჩამდგმელია, სიტყვისთვის ძალ-ღონის მიმცემია, მოყვასისა თუ მტრისთვის სითბოსა და სიხარულის უშურველად გამცემია. მაკა ჯოხაძეც სიტყვის მცველია. ეს ჩანაწერები მისი სულის გამომხატველი შემოქმედების ერთი საგულისხმო ნაკადია, ჰუმანისტური იდეალების, უნივერსალური ადამიანური ღირებულებების წარმოჩენით. ეს გამორჩეული ჩანაწერები ნაწილია თანამედროვე ქართული მწერლობისა. აქ თითქოს თავიდან იბადებიან ნაცნობი, გაცვეთილი, დამჭკნარი სიტყვები, დაცარიელებული გულის უდაბნოში მნიშვნელობადაკარგულნი. მის ხელში სიტყვები „ნედლდებიან“ როგორც რობაქიძე იტყოდა და მკითხველიც სამოთხისეული უშუალობით შეიგრძნობს იდუმალსა და მიუწვდომელს. ყოველი ჩანაწერი პოეტური პროზაა, ძალიან ხშირად – თავისუფალი ლექსია, მეტაფორული, დახვეწილი სტილით, სიტყვათა ენერგიით, არტისტულობით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გამოთქმის არისტოკრატიულობით. მწერალი ცხოვრების ჭრელი მოზაიკის ცალკეული ნატეხის ფაქიზ და შეუმჩნეველ ხაზებს ისეთი სიყვარულით გვაცნობს, კითხვისას გეუფლება განცდა სრულიად უცხო და მშვენიერი შეგრძნებების აღმოჩენისა, აღტაცებისა.

ყოვლისმომცველია ამ ჩანაწერების სულიერი დრო-სივრცე, რომელიც საოცარი სისავსით ირეკლავს მაკა ჯოხაძის, როგორც გამორჩეული თანამედროვე მწერლის, პიროვნულ ტკივილს, ერის ჭირ-ვარამსა და კაცობრიულ სატკივარს. ფიქრის ნაკადები ისე ნატიფადაა გადაწნული ერთმანეთთან, რომ ბუნებრივად გადაედინება პიროვნული განცდა ზეპიროვნულში. მაკა ჯოხაძე მთელი თავისი არსებით, ფიქრებით, შემოქმედებით განსახიერებაა მარადქალურობისა, რომელიც გულისხმობს დაუღალავ მზრუნველობას ადამიანური სულისას, რომ არ ჩაქრეს სამყაროში სიცოცხლის კოცონი, ღვთის მიერ დანთებული და ადამიანებს მინდობილი. ის გვა-

გონებს უძველესი დროის განდობილს, სიცოცხლის ტაძრის მცველ ქურუმ ქალს, რომელიც ფლობს უზენაეს საიდუმლოს – როგორ აქციო ქვა ოქროდ, როგორ გაალღო გაქვავებული გული, როგორ ახარო სიყვარულისა და სიკეთის ყვავილები. ეს საიდუმლო მის ჩანაწერებში უშურველადაა გამხელილი და მის მისაგნებად თუ ამოსაცნობად ერთადერთი რამაა საჭირო, როგორც თვითონვე იტყოდა, „მოაზროვნე გული“. ამ ჩანაწერთა ფიქრთა მდინარის ერთი ძლიერი ტალღა სამშობლოა. ერთგან იგი აღნიშნავს, რომ დღეს ამ პროცესებისა და ტრაგედიების შემხედველს, გაუძლიერდა აზრი: „საქართველო უთარგმნელი ლექსია“. იშვიათია ქართულ პოეზიაში ამგვარი განცდა სამშობლოსი. ამგვარივე შთამბეჭდაობით გამოირჩევა სიტყვიერ ქსოვილში მოხელთებული განცდა: „სამშობლოში შეიძლება გენატრებოდეს სამშობლო“. პოეტური, ფერადოვანი, მუსიკალური და ფერწერულია მის მიერ აღქმული სამყარო. მისთვის ლექსი „ოცნებაა თავისუფლებაზე“, რომელიც, მისივე განმარტებით, „სიყვარულს ნიშნავს და იმგვარ პატივისცემას მოყვასისას, როცა ადამიანს შეუძლია იყოს ის, რაც არის და არა ის, რადაც ჩვენ გვსურს რომ ვიხილოთ იგი“. მისი დაკვირვებით, „ჭეშმარიტება და სამშობლო იმ სხივთა განუყოფლობაა, რომელთა გადაკვეთაც ჯვარს ქმნის. მათი ცალკე წარმოდგენა ისევე აბსურდულია, როგორც დაცილება ჯვრის შემადგენელი, ცისა და მიწისაკენ, ღვთისა და მოყვასისაკენ მიმართული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზებისა. „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის...“ – მისთვის, ილიას „ამ ლექსის სემანტიკური მნიშვნელობაც გრაფიკულად სწორედ ჯვრის ფორმით შეიძლება გამოისახოს“.

წიგნის ბოლო ჩანაწერი „ჩაძირული დღესასწაული“ წამებული სამშობლოს თავზე დანახული შარავანდედიანი ეკლის გვირგვინივითაა, რომელიც მკითხველს ღვთის ყველაზე დიდი საჩუქრის, თავისუფლების, ეროვნული სულისკვეთების მოფრთხილებას შთააგონებს: „თბილისი ჩამოგდებული ხოხობივით ჩაეშვა ცოდვის მდუღარე ჭაობში. იმ წლების საქართველოს ჩაძირული დღესასწაულივით შეინახავს დღესდღეობით ყველაზე დიდი „კონტრაბანდა – ხსოვნა“. ამ ჩანაწერებში მდიდარი მასალაა საბჭოთა ეპოქის ხელოვანთა ბედის კვლევისთვის. მაგალითად, როგორ არ უბეჭდავდნენ პირველ წიგნს, მოთხრობების კრებულს „გურამ-გურამ“, მხოლოდ იმის გამო, რომ მის ერთ მეორეხარისხოვან უარყოფით პერსონაჟს რუსული სახელი – დუსია – ერქვა. როგორ აქცევდა საბჭოთა რეჟიმი რომელიმე ლიტერატორს ცენზორად. ამ ჩანაწერებში არის მახვილგონივრული და ხატოვანი ახსნა, როგორ გარდაქმნიდა ნამდვილი ხელოვანი რეალობას მეტაფორად, რათა სიმართლე ეთქვა: „რაც უფრო ჭკვიანი და გამჭრიახი იყო ცენზორი, მით უფრო ლავირებული და შენიღბული ხდებოდა მეტაფორაც“. ჩანაწერებში – „პერესტროიკის“ ფრაგმენტები – არაჩვეულებრივადაა წარმოჩენილი დროის მაჯისცემა, ხელოვანის გულსა, სულსა და გონებაში აღბეჭდილი. უახლესი ისტორია.

მაკა ჯოხაძე შეუცდომლად იგზნებს ნამდვილ ლიტერატურას. ამ ჩანაწერებში, როგორც, საზოგადოდ, მის ლიტერატურულ წერილებში, იგი წარმოგვიდგება ოსკარ უაილდისეულ კრიტიკოს ხელოვანად. აქ იხატება მისი თვალსაზრისი ნამდვილ ხელოვანსა და ხელოვნებაზე, რომელიც „ყოველთვის იყო და რჩება ღვთის მაძიებლად“. შესანიშნავადაა წარმოჩენილი არსი თანამედროვე ხელოვნებისა, რომელმაც „მოიხსნა სრული მორალური პასუხისმგებლობა ადამიანის ბედისა და სამყაროს წინაშე. აღვირახსნილობის ენერგიით რეტდასხმული შეუდგა ნგრევას, რღვევას, გაპარტახებას“. იგი წუხს, რომ „კოსმოსი ყველას აინტერესებს, ადამიანი – აღარავის. აი, სნობიზმის პიკი. ესეც XXI საუკუნის კიდევ ერთი ესთეტიკური აბსურდი“. მაკა ჯოხაძის ჩანაწერები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მწერალი საუკეთესო შემფასებელია სიტყვისა. მას შეუძლია ორიოდე შტრიხით შექმნას სულიერ-ხორციელი პორტრეტი ადამიანისა. მაგალითად, დაუვიწყარი სახეებია დახა-

ტული ჩვენთვის ცნობილ მწერალთა, ხელოვანთა, სასულიერო პირთა: რეზო ინანიშვილისა, ოთარ ჩხეიძისა, როსტომ ჩხეიძისა, ოთარ ჭილაძისა, დავით წერედიანისა, რობერტ სტურუასი, მღვდელმონაზონ ანდრიასი, პატრიარქისა, ბორენა ჯაჭვლიანისა, არჩილ და გიგი სულაკაურებისა, ესმა ონიანისა, ზვიად გამსახურდიასი, ირაკლი ჩარკვიანისა, მამა არჩილისა (მინდიაშვილისა), მერაბ ელიოზიშვილისა და სხვა ცნობილ თუ უცნობ კეთილშობილ ადამიანთა, რომელთაც კვალი დაუტოვებიათ მის სულზე.

ანა კალანდაძე განსაკუთრებული სიყვარულით წარმოჩნდება პორტრეტთა ამ მრავალფეროვან გალერეაში. მასთან მეგობრობა ამხელს მაკა ჯოხაძის საოცარ სიფაქიზეს. ანა კალანდაძე ამ ჩანაწერების მიხედვით სრულიად სხვაგვარი უშუალობით წარმოგვიდგება და უფრო გასაგები ხდება მისი პოეზიის ღვთაებრიობა.

ყურადღებას იქცევს მისი ჩანაწერები გურამ რჩეულიშვილზე: „როგორ შეიძლება მისი ნაწერები არ მიაწოდო დღევანდელ ახალგაზრდობას, როგორც ჟანგბადი“. ორიგინალური და ღრმააზროვანია მზია და ბათარეკა ჭინჭარაულების ხასიათების ახსნა: „ნაკადულები აუმღვრევლად მხოლოდ სიმღერებში კვდებიან. „მზია, ბათარეკას ასული“ სიმღერაა. სიმღერას ვერ დაიჭერ, ვერ გასრეს, ვერ მოიხელთებ, როგორც ჰაერს, როგორც ძახილიდან წამოფრენილ ექოს თარეშს მთებში“. ეს ჩანაწერები ხშირად ლიტერატურული ესეებია. საგულისხმოა ფიქრი გრიგოლ რობაქიძეზე. მწერალი ერთ ისეთ სიტყვას მიაგნებს მის შემოქმედებაში, რომელიც მასაც და ჩვენც საუკეთესოდ დაგვანახვებს მთავარს: „ყველაზე დიდი ინტენსიურობით სიტყვა „უბიწოება“ გამოანათებს. თავისი დიდი წინაპარივით მან ყველაზე ღრმად იცოდა ამ უბიწობის ფასი, მაგრამ ფიროსმანისგან განსხვავებით, რომელიც „მეთევზის“ ბავშვური უშუალობით ფეხშიშველა იდგა უბიწობაში, გრიგოლ რობაქიძეს გაცნობიერებულად, ინტელექტუალურად ჰქონდა ეს მიზანი დასახული – რადაც არ უნდა დაუჯდეს, წინ – ფესვებისაკენ, საკუთარი მიწისაკენ, საკუთარი წიაღისაკენ, საკუთარი მამისაკენ უძღები შვილივით მიაბრუნოს ადამიანი“.

ნიკოლოზ გაბაონის „აივნიანი ქალაქზე“ ჩანაწერში ვკითხულობთ: „ამ რომანში „დუღს და გადმოდუღს“ არა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის, სრულიად საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის დამუხტული, სისხლსავსე ცხოვრება. უფრო მეტიც, ევროპული ქალაქების სალონებით, ევროპელ ინტელექტუალთა თუ ქართველ ემიგრანტთა მიზნებითა და ინტერესებით, დიპლომატებით, ელჩებით, ჩინოვნიკებით ხელისგულზე დევს მაშინდელი მსოფლიოს მაჯისცემა“. ლიტერატურაზე ამ მრავალფეროვანსა და საგულისხმო ჩანაწერებში გამოირჩევა 1985 წლის ერთი ჩანაწერი, რომელშიც არაჩვეულებრივადაა წარმოჩენილი და შეფასებული მისი თაობის, სამოცდაათიანელების, ბედისწერა: „ჩემი თაობა არც დელაკრუას წითელი ფერით კივის და ვერც იმპრესიონისტების ჩახჩახა, მზიანი პეიზაჟებით ზეიმობს“... „იქნებ პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, ისიც მთავარია, იმ ღვინის ფერი უჩვენო, ფიროსმანის ყანწში რომ ესხა ოდესღაც, მაგრამ უმთავრესი მაინც იმის ჩვენებაა, ძველებური სათნო, ლაღი გულუბრყვილობით რატომ ვეღარ ქეიფობენ ჩვენი კაცები“.

გასაოცრად ზუსტი და ორიგინალურია თანამედროვე მწერლობის მისეული შეფასებები: „დღევანდელები ვირტუალური სამყაროს თუ სამყაროს ვირტუალური მწერლები პრომეთეს კარიკატურები არიან“, რადგან მათ არ შეუძლიათ მკითხველთათვის ცეცხლის, იგივე, ნუგეშის, სიყვარულის მოტანა. იგი იზიარებს სერაფიმ როუზის განმარტებას, რომ ისინი „საკუთარი თავის თაყვანისცემის რელიგიას აღიარებენ“. თანამედროვე ხელოვნებაზე დაკვირვებას ის მიჰყავს მნიშვნელოვან და ყოვლისმომცველ დასკვნამდე, რომ მან დაკარგა ღვთაებრიობის განცდა, რომ ყოველივე ახსნილია, დამიწებულია. არაჩვეულებრივია ჩანაწერები ჰარუკი მურაკამის რომანზე „ნადირობა ცხვარზე“. ჩინგიზ აითმატოვის „საჯალათო კუნძზე“, იაპონურ

პოეზიაზე, ახლად ნათარგმნ ფრანგულ რომანებზე. ლიტერატურაზე მსჯელობისას ერთგან დაიმოწმებს ალენ ნადლოს დაკვირვებას: „ლიტერატურა თავისთავად საფრთხეში არ არის, საფრთხეშია ეს საზოგადოება, რომელსაც არ აქვს უნარი, ჩასწვდეს ლიტერატურის მიზნებს და მნიშვნელობას“.

ჩემი ანა, ჩემი დავით კლდიაშვილი, – წერს მაკა ჯოხაძე და ამ თითქოს „ეგოისტური ჩემით“ კი არ ზღუდავს და შემოსაზღვრავს ამ შემოქმედთა ნააზრევს, არამედ, პირიქით, საოცრად გაშლის საზღვრებს ისე, რომ მთელი სამყაროს სასიცოცხლო ძალების გამომხატველებად წარმოაჩენს. ყურადღებას იქცევს პარიზული დღიურები, რომლებშიც უცხოელ მწერალ ქალთა პორტრეტებია წარმოჩენილი, მათ შორის კი გამოირჩევა სიყვარულით დახატული სახე პოეტ ვიზმა ბელშევიცასი. ამ ჩანაწერებში მოჩანს მისი ოჯახი: აკაკი და ანუკი მინდიაშვილები, ისინი თითქოს ნოველების პერსონაჟები არიან: „კაკუჩა და ანუკი დაბრუნდებიან, აბა, რას იზამენ“. მათი გამოჩენისას კი ქრება შემხუთველი შიში და ამის გაცნობიერება მწერალს სამყაროს კანონზომიერებას კიდევ ერთხელ აღმოაჩენინებს: „არაფერიც არ ქრება, ყველაფერი დროებით იმალება, იძირება, ილექება, თვით ღმერთიც კი ხანდახან თვალს ხუჭავს ჩვენი შემხედველი და ჩნდება ილუზია, რომ იგი გაქრა, წავიდა, აღარ არის“. ვფიქრობ, ეს ხატი „თვალდახუჭული უფლისა“ ჩვენი დროების მრავლისმეტყველი სიმბოლოა. ღმერთს ხანდახან თვალს ახელინებენ ბავშვები, მათ შორის, მწერლის შვილიშვილი სანდრო, რომელიც როგორც ყველა ბავშვი, გასაოცარი სიბრძნით შეიგრძნობს სიცოცხლის საიდუმლოს, შემოქმედს და ამგვარად გამოხატავს მისკენ სწრაფვას:

„ღმერთო! მე შენთან მოვდივარ,
მე შენს პურს ვჭამ,
ღმერთო! მე შენთან მოვდივარ,
შენს ეკლესიაში,
მე შენს ღვინოს ვსვამ,
მადლობელი ვარ, ღმერთო!“.

ამ წიგნის ერთ გამორჩეულ ჩანაწერში „შეკითხვები – სისხლიანი ყვავილები“ ვკითხულობთ: „ბავშვმა იცის, რომ ცა არის ცისფერი. მზე არის მზისფერი, სისხლი სისხლისფერი და ადამიანი – ადამიანისფერი. ეს მერე იწყება შეფერადება, გაფერადება, მერე ხდება მზე მკვდრისა, სისხლი – ცისფერი, ადამიანი – შავკანიანი, თეთრკანიანი, ყვითელკანიანი“. ამიტომაც არის მისთვის მხოლოდ ბავშვობაში „კოსმოპოლიტიზმი სუფთა და უანგარო“. ბავშვებზე ფიქრი მას თანამედროვე ხელოვნების არსს აღმოაჩენინებს: „მეოცე საუკუნის ხელოვნება, ესაა ბრძოლა, სამყაროს კი არ გამოსტაცო და აღბეჭდო სიცოცხლის წამი და ზეიმი, როგორც ამას იმპრესიონისტები ჩადიოდნენ, არამედ ბრძოლა, რომ საკუთარ თავს დაუბრუნდე, დაიბრუნო თავდაპირველი, ღვთაებრივი იერი და სამყაროს აღქმის ბავშვური უნარი“.

ეს ჩანაწერები, გარდა ფილოსოფიური სიღრმისა, გამოხატვის სილამაზითაც გხიბლავენ და სამუდამოდ აღიბეჭდებიან მეხსიერებაში, როგორც ფერწერული ხატები: „არსებობს მარადიული ბავშვური შეკითხვები, რომელთა გამოჩენასაც წინ არ უსწრებს კვირტად ქცევის ხალისიანი მზადება, სიცოცხლით სავსე ჩუმი ხმაური. ეს შეკითხვები პირდაპირ სისხლიან ნაკადულებად ამოსკდებიან დროის უსასრულო უდაბნოში და ამ ე. წ. ცივილიზებული პროგრესის უამრავ აღმოჩენასა და მიღწევას ერთბაშად ანგრევენ და აუფასურებენ“. ამგვარი ფიქრები მას მწერლის ბუნებასაც სხვაგვარად დაანახვებენ: „იქნებ მწერალიც ბავშვია და მწერლობაც დიდი ანგარიშით დამალობანას თამაშია“. როცა დროის მაჯისცემა უნდა გამოხატოს, გალაკტიონივით („მე თვითონ დაჭრილი ვნახე, ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი“)..., მასაც ბავშვი წარმოუდგება უპირველესად: 90-იანი წლები, ქუჩებში გახშირებული ორმხრივი უაზრო სროლა. „1993 წლის 5 აგვისტო... გოგონას, რომელსაც ფეხში მოხვდა ტყვია, ოპერაცია გაუკეთეს და ფეხი მოკვეთეს. სამი წლის ფეხმოკვეთილი გოგონა, სამი წლის ფეხმოკვეთილი, სარეცელს მიჯაჭ-

ვული ანგელოზი – დღევანდელი საქართველოს ხატი, რომელიც დღევანდელ საქართველოში დაიწერა“.

გასაოცრად გულწრფელი და პოეტური კითხვა-პასუხია: „რატომაა ახალშობილთა თვალის ფერი უმეტესწილად ცისფერი? იქნებ იმიტომ, რომ ეს-ესაა გადმოსახლდნენ ციდან“. ჩანაწერებში წარმოჩენილი ოჯახური სითბოს თაფლივით ტკბილი სიმყუდროვიდან, როგორც მღვიმის უჩინარი სიშორიდან, გამოიკვეთება მშობლების სახეები და მათ მიმართ „უმწვერვალესი“ სიყვარული, როგორც ნიკო ლორთქიფანიძე იტყოდა. „რა უნდა დავწერო დედაზე ისეთი“... _ ...წუხდა რეზო ინანიშვილი და ქმნიდა სრულიად განსხვავებულ პორტრეტს მშობლისას. ეტყობა, რამდენი შვილიცაა, იმდენგვარი განსხვავებული აღქმაა დედაშვილობისა თუ მამაშვილობისა, მთავარია, როგორმე შეძლო სიტყვიერ ქსოვილში შენეული განცდის მოხელთება და ამას გულშიჩამწვდომი სიწრფელით ახერხებს მაკა ჯოხაძე. გრძნობ, როგორ გამოთქვამს შენს შეგრძნებებსაც. ამ ჩანაწერებში არის დედა-შვილის ინტიმური ურთიერთობის გამომხატველი დეტალები და ამ ყოველივეს ფილოსოფიური განზოგადებანი:. „დედა დროის განუყოფლობაა. მისი წარსულიც, აწმყოც და მომავალიც ერთი მთლიანობაა. დედა სამივე დროში შენია, გიხარია და გეამაყება“.

როცა თვითონაა დედა, ცდილობს სრულიად ახალ შეგრძნებებს სიღრმემდე ჩაჰყვეს და გააანალიზოს ქვეცნობიერში ჩაკარგული ფესვების რაობა. ძიების ამ გზაზე უღალატო მეგობარი ეხმარება. მაგალითად, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს შეიგრძნო შვილის თითქოს ჩვეულებრივი, ბუნებრივი სიყვარული და დაიბნა, ძვირფასმა მეუღლემ დაამშვიდა: „სწორედ ამგვარად უნდა აგზავნიდეს ჟამიდან ჟამზე ამ განცდებსა და აღმოჩენებს ღმერთი ჩვენთვის, თორემ ამგვარ დაძაბულ და გამუდმებულ შეგრძნებას სიყვარულისას, ამ მაღალ ძაბვას ადამიანი ვერ გაუძლებდა, გადაიწვებოდა, მოკვდებოდა“. მისი მშობლები თითქოს მარადიულ წინაპრებად იქცევიან: „მთავარი ხომ მაინც ისაა, ცხოვრებაში რას უყურებდნენ, რას იმახსოვრებდნენ, რას ისმენდნენ, რა რჩებოდა რომელი ხმაური და ჩქამი სამარადჟამოდ მათი ყურის ნიჟარებში, ამ ღვთაებრივ პაწია მღვიმეებში“.

თუ როგორ ღრმად აზროვნებს იგი, ეს კარგად ჩანს ქართული და რუსული ხასიათების ანალიზისას. იშვიათია ამგვარი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური წვდომა ისეთი რთული ფენომენისა, როგორიც ერია, ამას იშვიათნი ახერხებენ და მათ შორისაა მაკა ჯოხაძე. მისი აზრით, „იქნებ სწორედ სივრცის ძალადობაა, ამოდენა სტეპებისა და ტრამალების ერთფეროვანი ძალადობაა ის, რომ ჩრდილოელს (რუსს) არ ყოფნის უნარი (ენერგია) გაუძალიანდეს თვალუწვდენელი ტრამალების ერთფეროვან შემოტევებს, თავისი სივრცე, სასიცოცხლო სივრცე შექმნას და შემოზღუდოს. გამუდმებით ამ სივრციდან გაღწევას ცდილობს. გამუდმებით სხვათა სივრცეებისა და სხვათა ტერიტორიების დაპყრობისკენ უჭირავს თვალი. ეს კი ყველანაირად არღვევს ღვთიურ კანონზომიერებაზე აკინძულ სამყაროს რუკას. სხვათა მიწებისაკენ, ტერიტორიებისაკენ ეს გამუდმებული, ქრონიკული ლტოლვა საბედისწერო ბუმერანგივით უბრუნდება მის ხასიათს, მის თვისებებს“.

მისი აზრით „ქართული სივრცე ლოკალურია, შეზღუდულია. ეს სივრცე, როგორც სურათი, ვთქვათ, ალაზნის ველისა, ანდა ჯავახეთის ზეგნისა, ისე ჰკიდია საქართველოს ტერიტორიის კედლებს, ცისკენ მიილტვის და მზე, როგორც მარჯვენა ხელი, მისი მოუწყენელი და შეჩვეული მეტაფორაა... აქ სივრცე შემოფარგლულია მთებით, კლდეებით, გეოგრაფიული გარემო (რელიეფი) გამაშტერებლად ცვალებადია“. საქართველოს პეიზაჟები მარადიულ ღირებულებებზე ფიქრისკენ უბიძგებენ მნახველს. ამ ჩანაწერებში ბუნებრივად ჩნდება ფიქრი ხალხისა და ბრბოს რაობაზე, ეროვნულ ფასეულობებზე, რწმენაზე. ამ თემებზე მსჯელობისას ხშირად იმოწმებს წმინდა მამათა ნააზრევს, რათა თვალნათლივ წარმოაჩინოს მარადიულისა და წარმა-

ვლის ჭიდილი. და ამ მრავალფეროვან გალერეაში მოჩანს მისი პორტრეტიც, მისი ბუნება: „რომანტიკოსს პლუს ეგზისტენციალისტი, საშიში ნაჯვარია, უფრო ზუსტად, საშინელი – მთელი სამყარო რომ გიყვარს და მაინც მარტოობა გენატრება, რადგან მხოლოდ დიდ მარტოობაში შეგიძლია პირუთვნელად, უანგაროდ ამტკიცო და აჩვენო, როგორ გიყვარს, როგორ იცი და როგორ გენანება ადამიანი, თუმცა ცოდნაც ეფემერაა და სინანულიც სადღაც მიმავალი. მხოლოდ სიყვარულია მკვიდრი, მარადიული და რეალური“. სიყვარული, ერთგან ამგვარად გამხელილი: „მე ვნახე შენი სიზმრები“.

იგი საოცრად მართალია საკუთარი თავის, ახლობლებისა და სამყაროს წინაშე: „არც ერთი წამით, არცერთი წუთით არ მიზრუნია საავტორო მითების შესაქმნელად... იმდენად სავსე, რთული და მძიმე ინტენსიური სულიერი ცხოვრებით ვცხოვრობ, რომ ფასადზე ზრუნვისთვის არც დრო და არც სურვილი აღარ მრჩება“. გიგი სულაკაურთან ერთ საღამოს ცხარე კამათი კარგად ამხელს მის პრინციპულობას, შეურიგებლობას უსამართლობასთან: „ვიცავ სიმართლეს, სამართლიანობას, ყველგან, ყველა სიტუაციაში, ხშირად მარტოობის ფასად“. მეოცე საუკუნის 90-იანი წლების სამხედრო გადატრიალებისთვის სხვებივით არასოდეს უწოდებია სამოქალაქო ომი, არ უღიარებია ყალბი დემოკრატია, ფეხქვეშ არ გაგებია არცერთ მთავრობას, არ უზრუნია მწერალთა კავშირის მდივნობასა თუ თავმჯდომარეობაზე. მხოლოდ ის აწუხებს, რომ პიესა არ დაწერა და არ ამხილა მამათელი პოლიტიკოსისაგან გაცურებული პოეტები, რეჟისორები. წერა მისთვის იგივე ფრენაა თბილი ქვეყნებისაკენ: „ყველაზე ლაღად, ბუნებრივად, შეუზღუდავად სწორედ წერის დროს გამოვიხატები“. მისი ეს გამბედაობა კარგად წარმოჩნდა ჩანაწერში „მოციმციმე არითმია“, როცა დატოვა დარბაზი, როცა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ასტაფიევის ცნობილ თხზულებას არაფერი აქვს საერთო მხატვრულ ლიტერატურასთან. სხვისი გამბედაობაც ხიბლავს, ამიტომაც ხატავს ანა ჭავჭავაძის პორტრეტს სხვანაირი აღტაცებით.

გულისამაჩუყებელია ის ეპიზოდი, როცა სვანი ქალი დიდთოვლობისას მთაში უცხოელის დაღუპვას მოთქვამს და მაკა ჯოხაძეს უხსნის: „ფინეთის ომში დაღუპული ჩემი ძმა გამახსენდა, იქნება ისიც დაიტირა ვინმე უცხო ქალმა ჩემსავით“ და გახსენდება „უცხო კაცის მოზარე აღაზა“, ქართული სულიერების უზადო გამომხატველი. სვანეთი, ამ ჩანაწერების მიხედვით, მისთვის პირველქმნილი სამყაროს ხატია, სადაც სიცოცხლისთვის გაფხიზლებენ „სვანეთის ძახილის ნიშნები – კოშკები!“. ამიტომაცაა, რომ სხვანაირი ჟინით და გატაცებით წერს. აქ გრძნობს „ცხოვრება აგერაა, ამ გზის გადაღმა, მდინარის გადაღმა თავისი ვნებით, სიცოცხლით, შეცდომებით, დარდით და აღმაფრენებით. გზა და მდინარე კი მეტაფორებია. როცა მინდა, მაშინ შევხედავ და მოვისმენ ცხოვრების ხმებს, ოღონდ ისე, რომ ვერ ჩამითრევს ამაო ფუსფუსში“.

არაჩვეულებრივია მისი ჩანაწერები მხატვართა ტილოებზე, მაგალითად, როგორ აღიქვამს ფიროსმანის, იმპრესიონისტებისა და სხვათა ნახატებს. აი, რას წერს სალვადორ დალის ცნობილ სურათზე „დროის სიჯიუტე“: „ეს სრულიად განსხვავებული ახსნაა დროისა და ადამიანის დამოკიდებულებისა: „მკვდარი, გაცრეცილი, განძარცული ნახევარუდაბნოა წარმოდგენილი, როგორც გაცამტვერებული ქვეყნიერების სიმბოლო... დრო უაღრესად გულგრილია ჩვენი მიწიერი ვნებებისა და ინტერესებისადმი. მისთვის არ არსებობს ამგვარი ფასეულობები და ხშირად დროისთვის არსებული რეალობა ისეთივე ნაცრისფერი და უმნიშვნელო ფონია, როგორიც ამ საათებისთვის სურათზე წარმოჩენილი სამყარო. დრო კი არა, თვით ადამიანი არ უფრთხილდება დროს, ე. ი. თავის თავს“. ამ ჩანაწერებში წარმოჩნდება, როგორ განიცდის მწერალი საქმეებში დანთქმული ადამიანების უსულგულობას: „ჩემს ქალაქში პირდაპირ ბედისწერას უყურებ თვალებში და ტკივილთან ერთად სირცხვილითაც

იწვი“. თითქოს ყველას მაგივრად ცდილობს ცოდვის გამოსყიდვას, როცა მტანჯველი სინდისის ქენჯნისაგან თავდაღწევის სურვილით ქუჩაში ამაოდ დაეძებს მათხოვარს, რომელიც უცებ გაუჩინარდა ადამიანებით სავსე ქალაქის უდაბნოში: „პატარა მხეცივით წრიალებდა ჩემს არსებაში სინდისი. სინდისი, რომელსაც სხვაგვარად ღვთის ხმა ჰქვია ადამიანში“. პოლ ვალერის ერთი ჩანაწერი გაგვახსენა ამ ამბავმა: „დროდადრო მთელი ჩემი სხეული ნათდება... მე ანაზდეულად ვხედავ ჩემს თავს შიგნიდან... მე ვარჩევ ჩემი სხეულის შრეების სიღრმეს, მე ვგრძნობ ტკივილის სარტყლებს – ტკივილის რგოლებს, წერტილებს, კონებს“. ამ ჩანაწერების ყოველი ფრაზა ხან შიშის, ხან სიცარიელის, ხან სიკეთის, ხან სიყვარულის და ხან აღტაცების შეგრძნებებითაა დამუხტული, ყოველი ფიქრი გულიდანაა გამოტანილი. თითქოს ხედავ კიდეც ფიქრის კვალს, გრძნობ, რა სიღრმეებში იძირება, როგორ მიიკვლევს გზას ტვინის ხვეულებში და მერე როგორ გამოაღწევს იქიდან სრულიად განსხვავებული ემოციისა და შინაარსის თანხლებით. ამ ჩანაწერებში კიდევ მრავალ აქტუალურ თემაზეა დაფიქრება, მათ შორის, საგულისხმო დაკვირვებებია მასმედიის ავკარგიან გავლენაზე საზოგადოების ცნობიერებაზე, წარმოჩენილია ტელევიზიის როლი თანამედროვე ცხოვრებაში: „ტელევიზიამ, მართლაც, ახალი სახის ადამიანი შექმნა – „ჰომომედიუმი“. ადამიანი, გამოფიტული განუწყვეტელი სანახაობით“.

„მწერლობა ორმხრივი სიყვარულია“, – ასე ერქვა გაზ. „წილკანში“ გამოქვეყნებულ მის წერილს, მწერალთა თუ უბრალო მკითხველთა აღტაცება რომ გამოიწვია. ამგვარ აღტაცებას ხშირად იწვევს მისი ნაწერები, რადგან ყოველთვის გულწრფელია და სჯერა: „ამ გაპარტახებულ, გაუდაბნოებულ ქალაქში ჯერ ისევ სუნთქავს თანალმობის, თანადგომის, სიყვარულისა და ამ სიყვარულის გამოხატვის უნარი“. მაკა ჯოხაძის ფიქრების უკიდეგანო და ჰარმონიული დრო-სივრცე მკითხველს წარმავლობასა და მარადიულობაზე დააფიქრებს, ახალ ხმებს, შეგრძნებებს, ფერებს აღმოაჩენინებს, რეჰანისფერი თუ უნაბისფერი საღამოების გრილ სიმყუდროვეს აზიარებს და სამყაროს სიყვარულით აღავსებს. ამ წიგნის („ჩაძირული დღესასწაული“, გამომცემლობა „ინტელექტი“) ყოველი ჩანაწერი თითქოს ასოციაციებს „აფეთქებს“ შენში და დაუსრულებელი ფიქრისთვის განგაწყობს. ეს ჩანაწერები თითქოს ერთგვარი კომენტარებია მაკა ჯოხაძის გამორჩეული შემოქმედებისა. მკითხველს ჰაერივით სჭირდება ასეთი წიგნები, რომლებიც გაჯერებენ, რომ შეიძლება „სულში ჟასმინებმა გაიხარონ“.



# დევან გიგინეიშვილი

## ორიოდე სიტყვით

**ირაკლი ლაითაძის „კედელზე ამოკაწრული ამბები“** არის ფილოსოფიურ-მემუარული ხასიათის მინი-ჩანახატების კრებული, რომელშიც ასახულია ავტორის უნიკალური, ორიგინალური ხედვები და დამოკიდებულებები სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან, უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ საკითხებთან – სიკვდილთან, ღირსებასთან, რომელიც ნებისმიერ ასაკში რისკის და სიკვდილის ენით გელაპარაკება, სიყვარულთან, რელიგიასთან თუ არსებობის საზრისთან.

ამ საკითხებზე ავტორი არასდროს საუბრობს ზოგადად და განყენებულად, არამედ ის მთელი გულწრფელობით, და ამასთან, ერთგვარი შემოქმედებითი დაგემოვნებით და გატაცებით, გადმოსცემს მათ თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებების, პირადი ტკივილის თუ სიხარულის, უიმედობის, თუ მის უფსკრულში გამოჩენილი მძლავრი იმედის კონკრეტულ მაგალითებზე.

ეს არის შეკუმშული, მოულოდნელი აზრებით დატვირთული, ძალიან კარგად, მოხერხებულად და ინტერესით საკითხავი პროზა, სადაც უბრალო წინადადებაში უცბად და მოულოდნელად დიდ სიღრმეს აღმოაჩენ; ან უბრალო მოვლენას, რომლის მონაწილეც თავადაც მილიონჯერ ყოფილხარ, მაგალითად ისეთს, როგორიცაა შუქნიშანთან მანქანის მინის ჩაწევა და მათხოვრისთვის ხურდის მიცემა, ახალი თვალით დაგანახებს და განგაცდევინებს. აი ერთი მაგალითი მინიმოხრობის „გულუბრყვილობა“, რომელიც მისი სიმცირის გამო მთლიანად მომყავს: „ყველაფერი დარჩეს ისე, როგორც იყო, ბავშვური და არარეალური ოცნებაა. მაგრამ ამავე დროს ხომ ითქვა, ვინც ბავშვივით არ მიიღებს ღმერთის სასუფეველს, ვერ შევა მასში. ლუკა, 18:17“. ამ უბრალო თქმებში გამსხლტომი და ღრმა აზრია, რომ ვალდებულები ვართ, თუ გადარჩენა გვინდა, ერთგვარი ცხოვრებისეული ოქსიმორონი გავითავისოთ: შეუძლებელს ვესწრაფვოთ და ყველაფერი ისე შევინარჩუნოთ, როგორც ბავშვობის შეუბღალავი განცდისას: სიყვარული, მეგობრობა, სამშობლო, ოცნება. ავტორი სხვაგან დაბეჯითებით ამბობს, რომ თავად ადამიანობა რომ შეინარჩუნო, ყოველდღიურად არანაკლები შრომაა ჩასატარებელი, რამდენიც ეგვიპტის პირამიდის აგებას სჭირდება. ამ სიტყვებშიც თვალუწვდენელი სიღრმე ჩანს.




ნოსტალგიის თემა ლაიტმოტივურია ირაკლი ლაითაძის „კედელზე ამოკაწრულ ამბებში“. ეს

არის ნოსტალგიური გახსენება წინა საუკუნის ოთხმოციანების ბოლო და ოთხმოცდაათიანი წლების, როცა მოხდა საუკუნის უდიდესი ნგრევა, საბჭოთა კავშირის დაშლა და ყველაფერი, რაც ამას მოყვა. ამ მოვლენამ უდაოდ ახალი, მანამდე არნახული პერსპექტივები გახსნა, მაგრამ ამავე დროს დრაკონებიც დაბადა: სამი სამოქალაქო ომი, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო დაკარგვა. ავტორი ამ ეროვნულ ჭრილობებს როგორც თავისას, ისე ატარებს და გადმოსცემს. ამ მოვლენებზე ტკივილიან, ზოგჯერ ტრაგიზმით სავსე თხრობას, ის აზავებს სევდიანი ირონიით, როგორც, მაგალითად იმ სცენის აღწერისას, როდესაც აფხაზეთიდან გამოფრენილ გადატენილ თვითმფრინავში ერთ-ერთ, როგორც ჩანს, არაპროფესიონალ მებრძოლს, რომელსაც წელზე პისტოლეტი ჰქონდა მორტყმული და მუხლებზე კი ხმალი ედო, უცბად მხარზე მაკაკა დააჯდა; ყურში ოქროს რგოლიც და ნაღდ მეკობრედ მოევლინებოდა ამ სრულიად შეუსაბამო ადგილს; ეს ამბავი ამ ფრაზით სრულდება: „ამის შემხედვარეს გულმა რეჩხი უყო; რატომღაც იგრძნო, რომ ომს ვერ მოიგებდნენ“.

„ამოკაწრულ ამბებში“ გვხვდება ავტორის დამოკიდებულება დიდ წიგნებთან და ავტორებთან, მაგრამ არა თვითმიზნურად, არამედ რამდენადაც ეს ავტორები და მათი სიტყვები თვით მისთვის მშობლიური და ღვიძლი გამხდარა, ნეტარი ავგუსტინე იქნება ეს, ჰემინგუეი, კამიუ თუ მარკუს ავრელიუსი. აქ ნახავთ მოგონებებს ბავშვობაზე და სტუდენტობაზე გაჯერებულს სინათლით და იმედებით; დამსხვრეულ იმედებსაც ნახავთ; სასოწარკვეთილებამდე, დეპრესიამდე მისვლასაც და მასთან ვაჟკაცურ დაპირისპირებას; აბსურდის, ცხოვრების გაუგებრობის განცდასაც, მაგრამ იქვე, მოულოდნელად, ღრმა სახარებისეულ რწმენას და სინანულის და განახლების სურვილს თუ ენერგიას.

ვფიქრობ, ავტორსაც გარკვეულწილად ეკუთვნის ის მზერა, რომელსაც ერთ-ერთ თავისი მინიატურის პერსონაჟს მიაწერს, რომელიც ნებისმიერ ადამიანს უყურებდა, როგორც შემღვრეულ წყალს, რომლის წიაღშიც მარგალიტებს და ძვირფას ქვებს არჩევდა. ასევე, ამ სევდიან და ზოგჯერ ტრაგიზმამდე მისულ თხრობაში, ავტორი მკითხველს მრავალ მოულოდნელ მარგალიტს და ძვირფას ქვას დაანახებს.



მამია ფაღავა

# ორიოდ სიტყვა პროფესორ თინა შიოშვილზე და მის ნაკვლევზე „ქართული ზეპირსიტყვიერება“

2022 წელს გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა“ დასტამბა პროფესორ თინა შიოშვილის სახელმძღვანელოდ ჩაფიქრებული ნაშრომი „ქართული ზეპირსიტყვიერება“. წიგნი, მართლაც, შთამბეჭდავია თავისი შინაარსითაც და მოცულობითაც (A4 ფორმატის 1090 გვერდი). ნაკვლევი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭომ 2021 წელს, გამოცემამდე, აღიარა სახელმძღვანელოდ...

ახლა ხელთა მაქვს ხსენებული წიგნი, უფრო მაგიდაზე მიდევს (აბა ხელში დაჭერა გაუჭირდება კაცს თავისი მოცულობის გამო), ვათვალიერებ... უპირველესად ყურადღებას იქცევს, რომ ავტორი შრომას უძღვნის მის აღმზრდელს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, მეცნიერების ორგანიზატორსა და გამორჩეულ მკვლევარს, ქალბატონ ქსენია სიხარულიძეს. ამ წიგნით მოსწავლემ (პროფესორმა თინა შიოშვილმა) მასწავლებელს (ქალბატონ ქსენია სიხარულიძეს) ანგარიში ჩააბარა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაწყებული საქმე წარმატებით შეაჯამა სახელმძღვანელოთი და მკითხველს, უპირველესად სტუდენტობას, შეუქმნა „ქართული ზეპირსიტყვიერების“ სისტემური კურსი. ბარემ აღვნიშნავ, რომ მიხეილ ჩიქოვანის „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“ ბოლოს 1975 წელს გამოიცა (პირველი გამოცემა 1956 წელს). ქართული ხალხური სიტყვიერების ცალკეულ პრობლემაზე, ბუნებრივია, ბევრი დაიწერა დიდებული ნაკვლევები, მაგრამ სისტემური კურსი, სახელმძღვანელო, მიხეილ ჩიქოვანის შემდეგ არავის შეუქმნია. თინა შიოშვილის წიგნში შეჯამდა ათეული წლების განმავლობაში ქართულ ფოლკლორისტიკაში წარმოებული კვლევის შედეგები, რაც მნიშვნელოვანია. სახელმძღვანელოს ერთ-ერთი მოთხოვნა, სწორედაც, დარგში არსებული კვლევების გააზრება და წარმოჩენაა...

სახელმძღვანელოს შექმნის იდეამდე ავტორი ერთბაშად არ მისულა, აქამდე გრძელი გზა გაიარა, რომელსაც მე მოსამზადებელ პერიოდს ვუწოდებდი, რაც კარგად წარმოაჩინა თავად მკვლევარმა წიგნის შესავალში. ჩვენ კიდევ ეს პერიოდი, ქალბატონი თინას შემოქმედებითი

მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეტაპი, ასე წარმოგვიდგენია:

I. საველე-შემკრებლობითი მუშაობა: ქალბატონი თინა მონაწილეა რამდენიმე ათეული დიდი და მცირე საველე ექსპედიციისა, რომლებიც მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (გასული საუკუნის 60-70-იანი წლები), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (XX საუკუნის 80-90-იანი წლები) და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ქართველოლოგიის ცენტრის" (ყოფილი: ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (2000 წლიდან), შემდეგ – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (2005 წლიდან), შემდეგ – ქართველოლოგიის ინსტიტუტი (2008 წლიდან), ახლა „ქართველოლოგიის ცენტრი") ორგანიზებით. კოლეგებთან ერთად ქალბატონ თინას მოვლილი აქვს თანამედროვე საქართველოს კუთხეები, ჭოროხის ხეობის ისტორიული ქართული პროვინციები – შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში გაშენებული ქართველ მუჰაჯირთა დასახლებები, უმუშავია საქართველოსა და თურქეთის ლაზეთში; შეკრიბა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა მრავალფეროვანი ფოლკლორული მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო მის მონოგრაფიებს, სტატიებსა და მოხსენებებს, წაკითხულთ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე/შეკრებებზე.

II. კვლევითი საქმიანობა: ქალბატონი თინა ნახევარ საუკუნეზე მეტია, იკვლევს ქართული ფოლკლორისტიკის აქტუალურ პრობლემებს. იგი ავტორია ორ ათეულზე მეტი მონოგრაფიისა, ორ ასეულზე მეტი სამეცნიერო სტატიისა, ათეულობით მოხსენებისა...

III. „ქართული ხალხური სიტყვიერების", „ქართული მითოლოგიის", „საბავშვო ფოლკლორისა" დ „სასულიერო ფოლკლორის" სწავლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სტუდენტურმა აუდიტორიამაც ჩააგონა ქალბატონ თინას „ქართული ზეპირსიტყვიერების" სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობა. არსებულმა საჭიროებამ შეაჭიდა იგი ამ მეტად რთულსა და სათუთ საქმეს, რასაც სახელმძღვანელოს შექმნა ჰქვია...

როგორც ვხედავთ, სახელმძღვანელოს ავტორი მომზადებული შეხვდა მისთვის ახალ გამოწვევას – შეექმნა „ქართული ზეპირსიტყვიერების" სისტემური კურსი. ეს სამზადისი ათეული წლები მიმდინარეობდა, მწიფდებოდა იდეაც და ავტორიც, ამიტომაც სიმართლეა ავტორის სიტყვები: „ეს წიგნი ათეული წლების განმავლობაში იწერებოდა... მისი ადრეული ყლორტები ჩემი ბავშვობის წლებიდან იმზირება, როცა გულისყურით ვუსმენდი კახეთში ცნობილ სახალხო მთქმელს – ილია შიოშვილს". ამ წიგნს სკოლის მოწაფეს ჩააგონებდა შაშო ბაბოს მოთხრობები, თსუ პროფესორის – ქალბატონ ქსენია სიხარულიძის ლექციები, ახალგაზრდობის წლებში გიორგი ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მოწყობილი „ფოლკლორული კალმასობები"... თანდათან იზრდებოდა და იწრთობოდა ახალგაზრდა მკვლევარი, ველზე მასალებს კრებდა, თეორიულ ცოდნას ეწაფებოდა, კალამს სინჯავდა, პირველ მოხსენებებს კითხულობდა სტუდენტურ თუ დიდ აუდიტორიებში, სტატიებს აქვეყნებდა, საკვალიფიკაციო ნაშრომებს წერდა... ახალგაზრდა მკვლევარის გონებაზე წარუშლელი კვალი დაუტოვებია საქვეყნოდ აღიარებული ფოლკლორისტების – ე. მელეტინსკის, ვლ. გუსევის, ბ. პუტილოვის, ელ. პომერანცევას მოხსენებებს, რომლებიც სათანადოდ აფასებდნენ ფოლკლორისტიკის ქართულ სკოლას, განსაკუთრებით – „ფოლკლორისტიკის დედოფლად" წოდებულ ქ-ნ ქსენია სიხარულიძის ღვაწლს. წარმოგვიდგენია, რა სიამაყის გრძნობა დაეუფლებოდა ახალგაზრდა მკვლევარს ესოდენ დიდ აუდიტორიაში ძვირფასი მასწავლებლის სახელის გაგონებაზე...

ქალბატონი თინა, უკვე ჩამოყალიბებული მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი საცხოვრებლად გადმოდის ბათუმში, მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, პარალელურად თანამშრომლობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან, ლექციებს კითხულობს მოწვეული ლექტორის სტატუსით, 1996 წლიდან იგი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრის დოცენტია, 2004 წლიდან – პროფესორი, 2007 წლიდან – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორია. 2005 წლიდან იგი ბსუ „ქართველოლოგიის ცენტრის“ ფოლკლორის მიმართულებას ხელმძღვანელობს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია 2003 წლიდან. იგი მონაწილეა „ქართველოლოგიის ცენტრის“ მიერ მოწყობილი 40-ზე მეტი კომპლექსური ექსპედიციისა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ჭოროხის „ქვეყნებში“) და ქართველ მუჰაჯირთა დასახლებებში თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში.

დიახ, ემზადებოდა ქალბატონი თინა ორიგინალური სახელმძღვანელოს შესაქმნელად. და ამ სამზადისში შექმნა ქართული ფოლკლორისტიკისათვის მნიშვნელოვანი ნაკვლევები. დავასახელებთ ზოგიერთს: „თედო სახოკია ფოლკლორული მოღვაწეობა“ (1987), „ილია ჭავჭავაძე და ქართული ხალხური სიმღერა“ (1987), „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“ (ორ წიგნად, 2002), „სტუმარ-მასპინძლობა ქართულ ფოლკლორში“ (2009), „იესო ქრისტე ქართულ ფოლკლორში“ (2012), „თამარ მეფე ქართულ ფოლკლორში“ (2014) „შავშური ფოლკლორი“ (2016), „კლარჯული ფოლკლორი“ (2017), „ტაოური ფოლკლორი“ (2022), გამოსაცემად მზად აქვს „მუჰაჯირთა ფოლკლორი“ (რომელიც მალე დაისტამბება)... აღარ გავაგრძელებთ, წიგნების (ზოგადად შრომების) უბრალო ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. მკითხველისათვის, ვფიქრობთ, ნათელია, ხვავრიელ ავტორთან გვაქვს საქმე.

მე მინახავს ქალბატონი თინა ველზე – ზემო აჭარაში, ჭოროხის „ქვეყნებში“, მუჰაჯირთა სოფლებში, ვიცნობ მისი მუშაობის სტილს, მინახავს, რა სიყვარულითა და საქმის ცოდნით მუშაობდა თითოეულ მთქმელთან, რა რუდუნებით იწერდა თითოეულ ფოლკლორულ ნიმუშს, თუნდაც უმნიშვნელოს... კრებდა და ამზადებდა მკვიდრ საფუძველს დიდი ოთხწიგნეულის („შავშური ფოლკლორი“, „კლარჯული ფოლკლორი“, „ტაოური ფოლკლორი“, „მუჰაჯირთა ფოლკლორი“) შესაქმნელად, თავისი წილი შეჰქონდა ქართველოლოგიის ცენტრის ფუნდამენტური კოლექტიური მონოგრაფიების – „შავშეთი“ (2011), „კლარჯეთი“ (2016), „ტაო“ (2020) – შექმნაში (აღვნიშნავ, რომ მონოგრაფიისათვის „კლარჯეთი“ 2018 წელს თინა შიოშვილს, თანაავტორებთან ერთად, მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობითი აკადემიური პრემია). დიახ, შვიდივე წიგნში შეტანილი ფოლკლორული მასალების აბსოლუტური უმრავლესობა ქალბატონი თინას შეკრებილია. აღვნიშნავ იმასაც, რომ ველზე მუშაობისას ვაჟკაცურად იტანდა გაუსაძლის ტკივილებს, სიტყვის უთქმელად განაგრძობდა ძიებას. დღეები ავტომანქანაში ვისხედით, სოფლიდან-სოფელში დავდიოდით, ქალაქიდან ქალაქში, ვეძებდით ქართულად მოლაპარაკე სოფლებს, ხშირად ხელცარიელიც დავბრუნებულვართ, მაგრამ დარწმუნებულები, რომ სადღაც, მთის „ქართულ სოფელში“ (ასეთი ინფორმაცია გვქონდა), ქართული აღარ იციან, „გადაბრუნებულან“... ასე რუდუნებითა და მოთმინებით შეკრიბა მკვლევარმა დროს გადარჩენილი ფოლკლორული ნიმუშები და შექმნა მრავალწიგნეული. თამამად ვიტყვი: მსგავსი მომავალში ვეღარ დაიწერება, რამდენადაც დაინტერესებულ მკვლევარს ჭოროხის „ქვეყნებში“ და მუჰაჯირთა დასახლებებში, რამდენადაც საწუხარი არ იყოს, ქართული ფოლკლორის ნი-

მუშები აღარ დახვდება. ალბათ, ჩვენი თაობის ხვედრი იყო სამხრეთ საქართველოს ეთნოლოგიის, სამხრული ფოლკლორისა და კილოების/დიალექტების კვლევა; უფრო მეტიც, ისტორიული სამხრეთ საქართველოს პირველადი პორტრეტის შექმნა და ამ საქმეში, სხვებთან ერთად, დიდია ქალბატონი თინას წვლილი.

სიტყვა გამექცა, დავუბრუნდეთ მთავარ საქმელს.

რამდენიმე დიდი პრობლემის წინაშე დგას სახელმძღვანელოს შექმნის მსურველი:

1. შემოქმედებითად უნდა გაიაზროს დარგის თანამედროვე მდგომარეობა;

2. არსებულზე დაყრდნობით შეიქმნას თეორიული საფუძველი;

3. მოგვცეს მასალის საკუთარი ინტერპრეტაცია.

ამასთან, სახელმძღვანელოს ავტორის თხრობა უნდა იყოს მარტივი, ყველასათვის გასაგები. ის, რაც ასატანია სამეცნიერო ნაშრომისათვის, მიუღებელია სახელ-მძღვანელოსათვის.

ქალბატონი თინა ახერხებს მარტივი ენით, გასაგებად გვესაუბროს ხალხური სიტყვიერების არცთუ მარტივ პრობლემებზე. აქ ჩანს ავტორის ლიტერატურული გემოვნება და დარგში ღრმა განსწავლულობა. ეს ერთის მხრივ დამსახურებაა თსუ ფოლკლორული სკოლის, მეორეს მხრივ – ქართული მეცნიერული ტრადიციების ერთგულების. და ბოლოს, ვერაფერი ფასეული შეიქმნება საქმისა და მოწაფეების სიყვარულის გარეშე. ქალბატონი თინა ყველა ამ თვისებით შემკული პიროვნებაა. მას უყვარს თავისი საქმე, უყვარს მკითხველი, უპირველესად – ახალგაზრდობა, ერთგული მიმდევარია თავისი მასწავლებლებისა თავად უკვე აღიარებული მასწავლებელი და მოძღვარი.

„ქართულ ზეპირსიტყვიერებაში“ ავტორი სიღრმისეულად გვესაუბრება ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა:

**ფოლკლორი და ფოლკლორისტიკა** (ფოლკლორული შემოქმედების რაობა და სპეციფიკა, ჟანრები, მთქმელი და ავტორმთქმელი...);

**ქართული ფოლკლორის ისტორიოგრაფია** (ფოლკლორისტიკა ძველ ქართულ მწერლობაში, ფოლკლორისტიკა ახალ და უახლეს პერიოდში);

**ხალხური ლირიკა** (ჟანრები, სტრუქტურა, პოეტიკა);

**შრომის პოეზია თავისი სახეებით** (სამონადირეო, გუთნური, სამკალი, კალოური, მთიბლური, ნადური, ხელხვავი, საფეიქრო, საწყალზედო, მეტიური, ურმული, წველისა, მწყემსური);

**საწესჩვეულებო პოეზია** (საოჯახო საწესჩვეულებო ლექს-სიმღერები, საწესჩვეულებო-კალენდარული ლექს-სიმღერები);

**მაგიური პოეზია** (სამკურნალო და სამეურნეო შელოცვები);

**საგმირო პოეზია;**

**სატრფიალო პოეზია** (ქება, ნატვრა, გაბაასება, ელეგია, სატრფიალო წერილი, მინიატურა);

**საყოფაცხოვრებო პოეზია** (მშობლები და შვილები, უმცროს-უფროსობა, ძმობა-მეგობრობა, და-ძმობა, ძმობილ-დობილობა, ცილ-ქმრობა, რძალ-დედამთილი, სტუმარ-მასპინძლობა);

**ფილოსოფიური ლირიკა** (სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, წუთისოფელი...);

**სასულიერო პოეზია** (ხალხური შესაქმე, სულეთი და მისი ბინადარნი, ხალხური „აბრამიანი“, „იობიანი“, სოლომონ ბრძენი, მაცხოვარი, ღვთისმშობელი);

**ბალადა**;

**პოეტური პაექრობანი** (ზმა, გაბაასება, კაფია, შაირი);

**ანდაზა და სიტყვის მასალა;**

**გამოცანა**;

**წყევლა**;

**მითი** (მითის რაობა და გენეზისი, მითოლეგემა, კოსმოგონიური მითოსი, მარადიული გაზაფხულის მითოსი, ფარნავაზის სიზმარი, კულტის დაარსების მითოსი);

**ეპოსი** (საგმირო ეპოსი, სამიჯნურო ეპოსი, სოციალურ-ეგზისტენციალური ეპოსი);

**ლეგენდა**;

**თქმულება-გადმოცემები**;

**ზღაპარი**;

**მახვილსიტყვაობა**;

**დრამა**;

**საისტორიო ზეპირსიტყვაობა;**

**საბავშვო ფოლკლორი;**

**ძირითადი ფოლკლორისტული სკოლები და თეორიები...**

ბუნებრივია, თითოეულ საკითხზე მსჯელობა ერთი წერილის ფარგლებში შეუძლებელია და არცაა ჩვენი მიზანი. ერთს ვიტყვით: არ დარჩენილა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში დიდი თუ მცირე პრობლემა, ავტორი რომ არ შეხებოდა და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ყველა დებულება „ილუსტრირებულია“ მარჯვედ შერჩეული ფოლკლორული ნიმუშებით, რომელთა საკმაო ნაწილი ქალბატონი თინას მიერაა ველზე მოპოვებული. საყურადღებოა, რომ „ქართული ზეპირსიტყვიერების“ სახელმძღვანელოში პირველად აისახა სამხრეთ საქართველოს ფოლკლორი, რაც სიახლეა სარეცენზიო წიგნისათვის. მიხეილ ჩიქოვანისა და მისი თაობის ნაკვლევებში ვერ გამოჩნდებოდა სამხრეთ საქართველოს ხალხური სიტყვიერება იმიტომაც, რომ იგი არ იყო ცნობილი ქართული ფოლკლორისტიკისათვის. ნიკო მარის „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურებში“ (1911 წ.) შეტანილი რამდენიმე ფოლკლორული ნიმუში, ბუნებრივია, ვერ იძლეოდა საკმაო წარმოდგენას ისტორიული სამხრეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერებაზე. როგორც აღვნიშნეთ, სამხრეთ საქართველოს ფოლკლორული ნიმუშები უპირატესად სარეცენზიო წიგნის ავტორმა შეკრიბა და შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში (იქამდე პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ „ჩვენებურების ქართულში“ (1993 წელი), დიალექტურ ტექსტებთან ერთად, შეიტანა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიც, რასაც სათანადოდ იყენებს ჩვენი ავტორი). აქვე აღვნიშნავთ, რომ მან „შენიშნა“ „ამირანის ნაკვალევი“ ჭოროხის ხეობაში და ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის (ბალხი, ბალხი ბარი, კალმახის ციხე...) ანალიზით მივიდა დასკვნამდე, რომ ამირანის მოქმედების ასპარეზი ჭოროხის ხეობაცაა, რაც საყურადღებო სიახლეა ქართული მეცნიერებისათვის.

სიახლე სხვაც ბევრია სარეცენზიო წიგნში, ბევრი რამ მისი ავტორის კვლევის შედეგია.

დაბოლოს, სახელმძღვანელოს ერთვის „სამახსოვრო ფოლკლორის შემკრებთათვის“. ეს რჩევაა მომავალი ფოლკლორისტებისათვის, როგორ შეკრიბონ ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. ყურადღებას მივაქცევ რამდენიმე მომენტს:

– ჩაწერილი ტექსტი ვარგისი უნდა იყოს ფოლკლორისტულად და ლინგვისტურად (მნიშვნელოვანი სწავლებაა; როგორც წესი, ჭირს ფოლკლორული ტექსტის ისე ჩაწერა, რომ სანდო იყოს დიალეტოლოგისათვისაც).

– ლინგვისტური დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად ფოლკლორული მასალის ჩაწერისას საჭიროა ორთოგრაფიაში შევიტანოთ ხმარებიდან გასული ასოები, მახვილი (სჯობს – ტონური მახვილი), ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის ნიშნები, ფონეტიკური სიმბოლოები.

– აუცილებელია ჩაწერილი ტექსტის პასპორტიზაცია.

შემდეგ ავტორი გვთავაზობს ზეპირსიტყვიერების შემკრებთა დასახმარებელ კითხვარს, ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა მთქმელის ფურცელს და ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შემკრების ფურცელს...

ვკითხულობდი რა ამ სქელტანიან, მრავალპროფილიან წიგნს, ვფიქრობდი:

– ეს არაა სახელმძღვანელო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იგი კვლევაა, ავტორის ორიგინალური (უმეტესად მაინც) ნაკვლევია ქართული ხალხური სიტყვიერების შესახებ.

– რომ ეს არაა სახელმძღვანელო მხოლოდ პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) სტუდენტთათვის, სადაც ქართული ზეპირსიტყვიერების კურსი იკითხება, იგი სამივე საფეხურის სტუდენტთათვის განკუთვნილი წიგნია.

– რომ ეს წიგნი ახალ შესაძლებლობებს ხსნის ქართული ხალხური სიტყვიერების მკვლევართათვის, რომ მას ინტერესით წაიკითხავენ ფოლკლორის მოყვარულები, რიგითი მკითხველები...

– რომ ესაა წიგნი სტუდენტთათვის და ყველასათვის...

დასანანია, რომ თინა შიოშვილის „ქართული ზეპირსიტყვიერება“ მცირე ტირაჟით დაიბეჭდა და იგი ხელმისაწვდომი ვერ იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის. ამ ნაკლს ერთგვარად შეავსებს წიგნის ელექტრონული ვერსიის განთავსება საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკაში.

აღვნიშნავ, რომ პრობლემის სრულყოფილად წარმოჩენისათვის სასურველია, საანალიზო წიგნს მოჰყვეს „ქართული სიტყვიერების“ ქრესტომათია, რაც დიდად წაადგება ქართველთმცოდნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის სწავლებისა და პროპაგანდის საქმეს.

მკითხველისაკენ გზა დავულოცოთ „ქართულ ზეპირსიტყვიერებას“, მის ავტორს კი მივულოცოთ წიგნის დასტამბვა და ახალი შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვოთ.

წინ მნიშვნელოვანი კვლევები გელოდებათ, ქალბატონო თინა, ყველაფერი რომ დავივიწყოთ, საკვლევი გვაქვს სპერი და კიდევ ერთი დიდი ქართული ქვეყანა.

*14 ივნისი, 2023 წლისა*

ნუნუ
დიასამიძე

# მემედ აბაშიძის მოსაზრებანი ქართული ენის სიწმინდისათვის

დედა სამშობლო საქართველოსთან 1878 წ. შემოერთებული აჭარის პოლიტიკური და კულტურული გათვითცნობიერების საქმეს, იმთავითვე სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე. ილიას დიდი მცდელობის შედეგად 1881 წლის 12 მარტს ბათუმში გაიხსნა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი ქართული სკოლა.

აი, სწორედ ილიას მიერ დაარსებულმა ბათუმის ამ პირველმა ქართულმა სკოლამ მოგვცა საქართველოს უძველესი კუთხის – აჭარის უდიდესი შვილი, საქართველოს მთლიანობისათვის თავგანწირული მებრძოლი, ილია ჭავჭავაძის მაღალეროვნულ და ზნეობრივ იდეალებზე აღზრდილი, მისი სულიერი მემკვიდრე მემედ აბაშიძე.

მემედ აბაშიძე თავის ავტობიოგრაფიაში წერდა: დავიბადე ქალაქ ბათუმში 1873 წელს, მამაჩემი, იბრაიმი იყო ბათუმის სანჯაყის ბეგის – იუსუფის შვილი, რომელიც ითვლებოდა ბათუმის სადროშოს მმართველად. დაწყებითი სწავლა მივიღე ქართულ ენაზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველდაწყებით სკოლაში. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღე შინაური განათლება მამაჩემის ხელმძღვანელობით. ვსწავლობდი, არაბულ, თურქულ და სპასრულ ლიტერატურას.

თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელი განათლების კულტურულ დონეს, საუკუნეებით განმტკიცებულ ტრადიციებს, გასაკვირია, რომ მამაჩემი და მთელი ჩემი ოჯახი ლიბერალობდა, მფარველობდა მწერლობას, მეცნიერ სწავლულებს და ჩენც აქედან გამოგვყვა ლიბერალური სული.

მემედ აბაშიძე შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად, ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობასაც. იგი თარგმნიდა, როგორც ქართულიდან უცხო ენაზე, ასე უცხო ენიდან ქართულად.

– ამის თაობაზე იგი თავის ავტობიოგრაფიაში წერს: „თურქული ლიტერატურიდან რამოდენიმე ნიმუში გადმოვთარგმნე ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომი გავხადე მკითხველთათვის, მაგალითად, ოსმალეთის გამოჩენილი მწერლის ნამიკ-ქემალის პიესები: „სილისტრა“, „ზევალი ჩოჯუკი“ და „გულ-ნეჰალი“. ოსმალეთის პუბლიცისტის სეფვეთ ნეზთიჰის „არც შეკითხვა და არც განმარტება“. (ორმოქმედებიანი პიესა). აგრეთვე, ოსმალეთის მწერალი ქალის, გუუზიდე საბრის მოთხრობა „მუნევერი“ და აზერბაიჯანულიდან ჯელილ მემედ ყული-ზადეს „მიცვალებულნი“. ხოლო ქართულიდან აზერბაიჯანულ ენაზე ს. შანშიაშვილის „ანზორი“. აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის დავალებით დაიწყო და თურქულ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ ორი მესამედი.

მემედ აბაშიძემ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის შეადგინა არაბული ენის გრამატიკა. ის იყო საქართველოს მწერალთა კავშირის, აჭარის განყოფილების პირველი თავმჯდომარე, საქართველოს და საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირების წევრი.

მემედ აბაშიძე ბავშვობიდან ეზიარა მშობლიური მეტყველების დაუშრეტელი სალაროს მთელ მრავალფეროვნებასა და უკიდეგანო სიღრმეებს, მის ფართო და ამოუწურავ შესაძლებლობებს, მომხიბლელობასა და სიტურფეს, ამის შესახებ მოგვიანებით წერს კიდეც: „ქართული ენა თავისი მეტყველების სიღრმეში არსებული, ხოლო ჯერ კიდევ გაუვრცელებელი სიტყვების სიძლიერით არის მდიდარი, სიტყვა ქართული წარმტაცია, საამური, სურათოვანი და შინაარსიანი“, იგი „ჩვენი შემეცნების, შეგნების, ხელოვნებისა და შემოქმედების წმინდა საუნჯეა“ (იხ. ქართული მწერლობა, №ა, 1926 წ.).

მემედ აბაშიძემ მთელი სიმწვავით გაილაშქრა მშობლიური მეტყველების გაღარიბების, ქართულ ენაში უცხო სიტყვების უადგილო ხმარებისა და შემოღების წინააღმდეგ: „უცხოთაგან შემოღებული სიტყვების დახმარებით არა თუ ჩვენი მშობლიური ენა მდიდრდება და ვითარდება, არამედ იგი ღარიბდება და სუსტდება. მე არ დავიჩემებ, ნუ იქნება უცხო სიტყვები შემოღებული ჩვენს მეტყველებაში-მეთქი; ის სიტყვები, რომლებიც ჩვენს კილოს ეგუება და ქართულ ბუნებას ეთვისება, შეიძლება მივიღოთ, მაგრამ ისე, როგორც დღეს ხდება ყოვლად მიუღებელია“.

ქართული ენის ბუნებრივი გამდიდრებისა და განვითარების გზას, მემედ აბაშიძე ასევე საკუთარ ლექსიკურ მარაგში ხედავს. „ჩვენი მშობლიური ენის სიმდიდრე და განვითარება ისევ ჩენი სიტყვიერების სიღრმეში მალული ძალების კვლევა-ძიებასა და მათ განვითარებაზეა დამოკიდებული. ერთი სიტყვით, ჩვენი სიტყვები ისევ მშობლიური ენის სალაროში უნდა ვეძიოთ, გამოვიტანოთ და გამოვიყენოთ“.

ალჟირელების ენა შთანთქეს უცხო ენებმა. იგი დღეს არც ლათინურია, არც იტალიური, არც ფრანგული, არც ესპანური და არც თვით ალჟირული. არამედ რაღაც, ექსპერანტო მსგავსი ენა – როდესაც ესა თუ ის ერი დაკარგავს მშობლიურ ენას, შემდეგ დაურჩება განა მას რაიმე ეროვნული-სახელმწიფოებრივი სახე? რასაკვირველია, არა“.

ენა ეროვნებისა და სახელმწიფოებრიობის მთავარი ღერძია, ბურჯია მასზე დასაყრდნობი. აი, მემედ აბაშიძის ამოსავალი კრედო; „სიტყვა „საქართველოს“ განმარტება არ ესაჭიროება, როცა სიტყვა „საქართველო“ ითქმის, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, თვალწინ წარმოგვიდგება ამ სახელწოდების ენით მეტყველი ერის მიწა-წყალი, სამშობლო!“

როგორ ეხმიანება ეს სიტყვები გიორგი მერჩულეს განთქმულ ფორმულას: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. მ. აბაშიძე ამბობდა „თუ ჩვენ ალჟირელებივით გულგრილნი ვიქნებით და ჩენი სიტყვიერების საზღვრების ღიად დატოვებისთ საშუალებას მივცემთ შემოიპაროს და შემოიჭრას უცხო სიტყვები ჩვენ სიტვყიერებაში, დიახ, ასე თუ იქნა, ალჟირელების ბედის საზღვარზე შევადგებით ჩენს ოდესღაც მდიდარს და შინაარსიან მეტყველებას“.

მემედ აბაშიძე კარგად გრძნობდა, რომ მხოლოდ მშობლიური ენა იყო საუკუნეების მანძილზე ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანების ერთადერთი ბურჯი. ამიტომაც იგი ყოველნაირად ცდილობდა თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის გაეხსნა ქართული სკოლები.

ქართველ მაჰმადიანებისა და ქართველ ქრისტიანების გაერთიანებისა და თურქეთში მცხოვრებ ქართველებს შორის წერა-კითხვის გავრცელების მიზნით, რამდენიმე დღის წინათ მემედ ბეგ აბაშიძის ერთ-ერთი თანამებრძოლი ქემალ ნოღაიდელი, რამდენიმე ხოჯის თანხლებით გაემგზავრა

ქ. თბილისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ კომიტეტში თხოვნით, რათა მათ ეშუამდგლომლათ თურქეთის მთავრობის წინაშე, ქ. კონსტანტინეპოლში, ქართული სკოლის გახსნის თაობაზე, სადაც ქართველ მაჰმადიანებს შესაძლებლობა ექნებათ შეისწავლონ მშობლიური ენა“.

ქართული ენის სიწმინდისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ასევე თავგამოდებით ზრუნავდა ქართული მწერლობისათვის და ცდილობდა, თავისი მოკრძალებული კვალი დაეჩნია მისთვის.

თანამედროვეთ არ გამოპარვიათ, მემედ აბაშიძის ღვაწლი და სულისკვეთება, ჩვენი დროის ერთ-ერთმა პოეტმა ჯემალ ქათამაძემ საინტერესო სტროფები მიუძღვნა მემედ აბაშიძის პიროვნებას.

„არ დამიკარგავს ქართული სიტყვა,
ვთესე, მოვიმკე, როგორც მარცვალი,
თუმცა მტკიოდა იარა დიდხანს
ვინ ნახა სული ჩემი დამცხრალი!
ქართული ნანა, ქართული ლექსი
ეს იყო ჩემი, რწმენა და პური,
წარსულის ფუძე და ფესვი,
ჩემი ტკივილი და სიხარული“.
– მე სხვა სიმდიდრე ამაზე მეტი,
არცა მქონია, არცა მელოდა
და თუ ვიწამე ქართველმა ღმერთი
ეს ღმერთი ჩემი საქართველოა!..

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1) გურამ შარაძე, „მემედ აბაშიძე“.
2) გურამ შარაძე, „მემედ აბაშიძე“ – თხზულებანი.
3) თეიმურაზ კომახიძე, „მამულიშვილი“.

# ჯოროხი 4

2023

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2023
malkhaz.pagava@gmail.com